“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№5 (269)
მაისი
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი "LITERATURULI MESKHETI"

სახალხო დღესასწაული „ასპინძობა – 2021“

251 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ყველა დროის ქართველთათვის საყვარელმა მეფე ერეკლემ ასპინძაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა რიცხობრივად მეტ ლეკ-ოსმალთა ჯარზე და მსოფლიო ომების ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მხედართმთავრის ადგილი დაიკავა.

ასპინძის ომსა და ერეკლე მეორეზე იმ დღიდან მოყოლებული მრავალი ლექსი, ლეგენდა და თქმულება, ლიტერატურული ნაწარმოები, ფერწერული ტილოები შეიქმნა და ქართველმა ერმა დიდების შარავანდედით შემოსა და ოქროს ასოებით ჩაწერა ამ ომში ქართველთა გამარჯვების ბრწყინვალება.

შარშან, ამ დროს, განსაკუთრებული სამზადისი იყო ერეკლე II-ის დაბადების 300 და ასპინძის ომში ქართველთა გამარჯვების 250-ე საიუბილეო თარიღების აღნიშვნისათვის,

მაგრამ პანდემიის გამო იგი ძალზე მოკრძალებულად, ვიწრო წრეში აღინიშნა.

პანდემიის გამო შეზღუდვების დიდი ნაწილის მოხსნის შემდეგ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოიყენა, რომ წელს „ასპინძობის“ სახალხო დღესასწაული, რომელიც ასპინძის ომის დღეს – 20 აპრილს უკავშირდება, რეგულაციების სრული დაცვით საზეიმოდ აღენიშნა.

ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მუზეუმის პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც გვირგვინითა და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსი.

მამა **აკაკიმ** 1770 წლის 20 აპრილს, ასპინძის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

შემდეგ „ასპინძობის“ სახალხო დღესასწაულმა კულტურის ცენტრში გადაინაცვლა, სადაც, ღია ცის ქვეშ, გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომლის მთავარ ნაწილს „საპატიო ასპინძელის“ წოდებაზე წარდგენა წარმოადგენდა.

სახალხო დღესასწაულის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა – გუბერნატორმა **ბესიკ ამირანაშვილმა,** საქართველოს პარლამენტის წევრმა, ასპინძის, ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ანტონ ობოლაშვილმა,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** და ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ **მერაბ ბერიძემ.**

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ** საზოგადოებას მიულოცა „ასპინძობის“ სახალხო დღესასწაული და წარუდგინა 2021 წლის „საპატიო ასპინძელები“ – **ნატო ყრუაშვილი** – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის უფ. მეცნიერ-თანამშრომელი; **ნათელა ცისკარაძე** – გაზეთ „ასპინძის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; – **ალუდა სეთურიძე** – საქართველოს შეიარაღებული ძალების თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, რომელმაც 2011 წლიდან ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა და მრავალგზის მიიღო მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2021 წლის „საპატიო ასპინძელებს“ გადაეცათ მოწმობები და მედლები. ნატო ყრუაშვილმა და ნათელა ცისკარაძემ მადლობა გადაუხადა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას მათი ღვაწლისა და დამსახურების დაფასებისათვის.

სცენაზე ასევე მიიწვიეს 2020 წლის „საპატიო ასპინძელები“ – **ემზარ ასპანიძე, მერაბ** და **ავთანდილ ბერიძეები,** რეგიონის მუნიციპალიტეტის მერები, სხვა საპატიო სტუმრები, რომლებსაც სამახსოვრო საჩუქრად გადაეცათ გასულ წელს ერეკლე II-ის დაბადების 300 და ასპინძის ომის 250-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით ასპინძის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული წიგნები – **„სიკვდილის ლხინი ასპინძაში“,** რომლის შემდგენელი და გამომცემელ-რედაქტორია ავთანდილ ბერიძე.

„ასპინძობის“ სახალხო დღესასწაულზე ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრები, ხოლო სცენაზე ბრწყინვალე საშემსრულებლო ნომრებით წარსდგნენ ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,სამცხე'', ფოლკლორული ანსამბლი ,,წუნდა'', ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგები და აღსაზრდელები.

ქეთევან დავლაშერიძე

ანა კალანდაძე

ასპინძას მიდის მეფე ერეკლე...

ასპინძას მიდის მეფე ერეკლე,
თათარზე მიჰყავს ქართლის ლაშქარი...
გადაიარეს ბებერ ხერთვისთან,
საათაბაგოს მტვერი აშალეს...

უკან დატოვეს ძველი აწყური –
ისიც მრავალი ბრძოლის მომლევი...
ბევრი მტერი გყავს, დიდო მეფეო,
არავინაა შენი მომრევი!

მზე ბრწყინავს შენი ლაშქრის მარჯვენას,
მზე კელაპტარობს იმათ მახვილზე...
სულ გამარჯვებით, ძლევით, მხედრებო,
ესმოდეს მიწას თქვენი ძახილი;

შენ გაგიმარჯოს, ხალხის ლაშქარო,
ქართლის ხსენება რომ არ წაშალე!..
გადაიარეს ბებერ ხერთვისთან,
საათაბაგოს მტვერი აშალეს.

„საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ნამდვილად ღმერთს იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, უბრალოდ, არ არსებობს.“

ლევილ ლორდი, ქართველოლოგი

ვახტანგ გორგასალი

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან)

ანზორ სიფრაშვილი

(დასასრ. დასაწყ. იხ. NN3-4)

როდესაც ვარაზმა ოფლში გახვითქული ცხენით მცხეთის მისადგომები ჩამოიტოვა, აღარ იცოდა საით წასულიყო: მარცხნივ, – არმაზისკენ, სადაც სამეფო სასახლე იდგა თუ მარჯვნივ, – სვეტიცხოვლისკენ, სადაც ვახტანგ მეფეს უყვარდა ყოფნა და როცა ტფილისში არ იმყოფებოდა, აქ, თავისივე განახლებული, სინამდვილეში კი ახლად აგებული ტაძრის გვერდით, ვაზის ტალავერში არაერთი დღე გაუტარებია თავის აღმზრდელთან, ქართლის ეპისკოპოს მიქაელთან საუბარში, იმ საუბარში, რომელიც, მათდა უნებურად, ზოგჯერ, მცირე პაექრობაშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.

როცა ახალი დედაქალაქი გამოვლო, ვარაზმა ტფილისის პირველი მამასახლისის, მცხეთის მამასახლისის ძის, ბარტამისგან შეიტყო, რომ მეფე სპარსელ მეციხოვნეებზე გამარჯვების დღესვე, მცხეთას გაემგზავრა, რათა სვეტიცხოველში მეუფე მიქაელის მიერ გადახდილ სამადლობელ წირვას დასწრებოდა. ვარაზმა ბარტამისგან ისიც გაიგო, რომ მეფეს განზრახული ჰქონდა, რამდენიმე დღის შემდეგ, უჯარმას გადასულიყო და საკუთარი თვალით ეხილა ციხე-სიმაგრეთა ის წყება, რომელიც სწორედ უჯარმასთან იწყებოდა, მდინარე ჭერმისხევს დაჰყვებოდა, რომელზეც ქალაქი ჭერემი იყო გაშენებული თავისი საკმაოდ ძლიერი ციხე-გალავნით, წვერდაბალას მთაზე რომ იყო გადმომდგარი და მიმსვლელ-მომსვლელს ფხიზელი თვალით გაჰყურებდა, იქიდან კი, ველისციხეს ეშვებოდა, სადამდეც ნახევარი დღის სავალი აღარც იყო.

ეს ჭერემ-ქალაქი ადრე პატარა სოფელი ყოფილა, და, მას შემდეგ, რაც ჯუანშერმა უჯარმის ხელახალ აღშენებასა და გამაგრებას მიჰყო ხელი და მეფესაც მოახსენა, ველისციხემდე მიმავალ გზას ეს პატარა სოფელი თითქმის შუაზე რომ ჰყოფს, კიდევ ერთი ციხე სჭირდებაო, ვახტანგმა სწორედ მაშინ ბრძანა აქ მტკიცეკედლებიანი საფარის აშენება.

ვარაზმა მეფეს სწორეს იმ დროს ჩაუსწრო, როდესაც ვახტანგი ბრძანების გაცემას აპირებდა მისი და ჯუანშერის მხლებლებად მცირე რაზმის შეკრების შესახებ. სასახლის ეზო სავსე იყო შეჭურვილი მხედრებით, რომლებიც მეფის გამობრძანებას ელოდნენ.

ვარაზმა ითხოვა, მეფეს სასწრაფოდ მოახსენეთ, რომ გადაუდებელი საქმისთვის ვეახელო. მცირე ხნის შემდეგ ვახტანგი კიბის თავზე ელოდებოდა მისკენ აჩქარებით მომავალ ერთგულ ადამიანს, რომელიც მოუთმენლად არბოდა და ორ-ორ საფეხურს ერთად ახტებოდა.

– მშვიდობა შენს მოსვლას, ვარაზო, – შეეგება ვახტანგი, – შენი აგრე აჩქარება და მოუთმენლობა მარწმუნებს, რომ ფრიად საქმეზე ხარ გარჯილი!

– დიდო მეფეო, – დაუჩოქა ვარაზმა, – ნუ მიწყენ, რომ ისე გეახელ, ჩემი თავი არ გიხმია, მაგრამ მეტად კარგი ამბის მახარობელი გახლავარ.

– კარგი ამბის მახარობელი? მაგას რა ჯობია! მაინც რა კარგი ამბავი უნდა მამცნო?

– დიდო მეფეო, ქართლში შენი თანამეცხედრე მობრძანდა, შაჰან-შაჰის ასული, ჩვენი დედოფალი, თავის მამამძუძესთან, რაჟდენთან ერთად.

მეფე ერთ ხანს უხმოდ შესცქეროდა ვარაზს, შემდეგ მიუახლოვდა, წამოაყენა, ორივე ხელი მხრებში წაავლო და კმაყოფილი ხმით უთხრა:

– მართლა კარგი ამბის მახარობელი ხარ, ვარაზო! დე, მერმეც სულ სასიკეთო ამბების მაცნე ჰყოფილიყავი! – შემდეგ ზურგს უკან მყოფ სპასპეტს მიუბრუნდა: – გაიგონე, ჯუანშერ?

– დიახ, მეფეო! მომილოცავს ქართლის დედოფლის ჩამობრძანება! გულით მიხარია, დიდო მეფეო!

– დაჰკარით ძელს და დაბდაბს! შთაბერეთ ბუკებს! ჯუანშერ, დღეს უჯარმას აღარ წავალთ, მცირე ხნის შემდეგ საზეიმო სვლით ქართლის დედოფლის შესაგებებლად გავემართებით! სთხოვეთ მეუფე მიქაელს, აგრეთვე მიხმეთ მცხეთის მამასახლისს, ქალაქს მყოფ ერისთავებსა და მოქალაქეებს! მეჭურჭლეთუხუცესმა ძვირფასი საჩუქრები მოამზადოს! მემუსიკეთ უბრძანეთ საამო ჰანგებით შეეგებნენ დიდებული შაჰან-შაჰის ბრწყინვალე ასულს! – მერმე ვარაზს მიუბრუნდა, – ვარაზო, ამ ბედნიერი ამბის მოხსენების სანაცვლოდ აზნაურობა მიბოძებია შენთვის და შენი შთამომავლობისთვის!

– ო, დიდო მეფეო, რით დავიმსახურე ესოდენ ამაღლება? თანაც, მე უფრო...

მეფემ ცოტა არ იყოს გაოცებით შეხედა მისთვის თავდადებულ ქვეშევრდომს:

– რაო, ვარაზო, იქნებ შენ სხვა რამ გსურს?

– ვერ ვბედავ მოგახსენო, დიდო მეფეო...

– ხედავ, ჯუანშერ, ჩვენს ვარაზს, თურმე, ეცოტავა აზნაურობა... – გაეცინა ვახტანგს. ჯუანშერსაც გაეღიმა, ვარაზი კი შემცბარი იმეორებდა:

– არა, დიდო მეფეო, შენი წყალობა ვის არ გააბედნიერებს, მაგრამ ჩემისთანა ცოდვიანს კი...

– რაო, ცოდვიანსაო? – მართლაც გაკვირდა მეფე, – რა ცოდვა მიგიძღვის, ვარაზო?

ახლა კი მთლად აირ-დაირია ვარაზი, აღარ იცოდა როგორ დაეძვრინა თავი:

– დიდო მეფეო, თუ არ განმირისხდები... მოგახსენებ...

– ასეთი სასიხარულო ამბის მაცნეს როგორ გაგირისხდები! თქვი, ვარაზო, მითხარ, რაც გულში გაქვს.

ვარაზი დარწმუნდა, მეფე მართლაც არ გამიჯავრდებაო და ძლივს, გასაგონად, ამოღერღა:

– დიდო მეფეო, როდესაც შაჰან-შაჰის ასულს, შენს ბრწყინვალე თანამეცხედრეს წარვუდექი...

– ჰო, რაო მერე, რომ წარუდექი?

– ქარავანბაშმა, ვინც პირველი შემხვდა, მკითხა: ქართლის მეფესთან რა სამსახურს ეწევიო?

– მერე, შენ რა უპასუხე?

– მე... მე ვუთხარ, ვახტანგ მეფის კარის მგოსანი ვარმეთქი! მომიტევე, დიდო მეფეო...

– კარის მგოსანი ვარო? ჰა-ჰა-ჰა! – და მეფეს გულიანად გაეცინა, – კარის მგოსანიო? მერმე არა ხარ თუ? გესმის ჯუანშერ? ხომ არის ვარაზი ჩვენი მგოსანი, კარის მოლექსე?

გაღიმებულმა ჯუანშერმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ვარაზს თვალიც ჩაუკრა, ის კი ჭარხალივით გაწითლებულიყო და მეფისთვის შეხედვას ვეღარ ბედავდა.

– მეფის კარის მგოსანიო, აგრე უთხარ, ვარაზო? მართლა აგრე უთხარი?

– დიახ, მეფეო! გამიგია, სპარსეთში შაჰებს კარის რამდენიმე მგოსანი ჰყავთო, ბიზანტიაშიც, სხვაგანაც... მომიტევე, დიდო მეფეო... შემეშინდა, რომ გაიგოს, უბრალო მოლექსე ვარ, ვაითუ დედოფალმა არ მიმიღოს-მეთქი...

– მერმე, მიგიღო შაჰან-შაჰის ასულმა?

– დიახ, მეფეო, მიმიღო და აი ეს ბეჭედიც მიბოძა, – ვარაზმა ხელსახოცში გამოკრული ძვირფასი, ლამაზი ბეჭედი უბიდან ამოიღო და მეფეს მიართვა. მან დახედა და მცირე ხნის თვალიერების შემდეგ ჰკითხა:

– მაშ, მითხარი, მართლა ლამაზია ბალენდუხტ დედოფალი?

– მისი სახე არ მიხილავს, მეფეო, რიდე ეფარა, მაგრამ საჭურისმა მითხრა, ულამაზესიაო, მთვარესავით მკრთალია და მზესავით ბრწყინვალეო.

– ეგ ბეჭედი შენ გეკუთვნის, ვარაზო, – უთხრა ვახტანგმა, – კარის მგოსნობაც დაიმსახურე და გიბოძებ კიდეც, ხოლო აზნაურობა უკვე მოგანიჭე, მე კი ჩემი სიტყვის უკან წაღება არა მჩვევია. და შორიახლოს მდგარ სასახლის მდივანს, რომელსაც გასანთლული დაფა მუდამ კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული, რათა მეფის ყოველი ბრძანება იქვე, ნაუცბადევად ჩაენიშნა, შემდეგ კი ეტრატზე გადაეტანა, სიტყვასიტყვით უკარნახა:

– ებოძოს ვარაზს აზნაურობა, გადაეცეს საცხოვრისი მცხეთასა შინა და, მასთან ერთად, შესაფერი სამოსი, ასევე მიენიჭოს სამეფო კარის მგოსნის სახელო და, პირველადვე, სათანადო საწერ-კალამი და პერგამენტი, ხოლო შემდეგ, ეტრატნი, ამო შაირთა საწერად.

გახარებული ვარაზი მეფეს მარჯვენაზე სამთხვევად მიეტანა, მაგრამ მან ხელი აუქნია და კიბის საფეხურზე ჩაინაცვლა:

– ახლა კი ყველა წავიდეთ და ქართლის დედოფალს, შაჰან-შაჰის ასულ ბალენდუხტს შევეგებოთ! – მერე, სიხარულით ჯერ ისევ თავბრუდახვეულ ვარაზსაც ხელი დაუქნია და ღიმილით დასძინა: – შენ კი არ მოდიხარ, კარის მგოსანო? მახარობელი შენა ხარ და უნდა მეახლო კიდეც დედოფალთან პირველშეყრის ჟამს.

და... დიდი ხანი არ გასულა, რომ მტკვრის სანაპიროს სიახლოვეს, ტფილისიდან არც თუ შორს, ვრცელ მინდორზე, სხვადასხვა მხრიდან მომავალთა, ორი დიდი გუნდი ისრის, ერთი გასროლის მანძილზე შეეყარა ერთმანეთს. შორიდანვე იცნობოდა, რომ ჭრელ სამოსში გამოწყობილნი სპარსელნი იყვნენ, რომელთაც წინ ქანაობით მოსიარულე ერთ-ერთ აქლემზე ნაირფერად მორთული ტახტრევანი წამოედგათ, ხოლო მათ საპირისპიროდ, მცხეთიდან დიდი ზეიმით წამოსულნი, ქართლელნი მოდგნენ, რომლებიც დოლებს სცემდენ და ბუკებს ახმიანებდნენ, მათთან შეერთებული სოფლელები კი სალამურებს არაკრაკებდნენ. მცხეთელებსაც მოუძღოდათ წინამძღოლი და ეს წინამძღოლი შავრონზე ამხედრებული ვახტანგ მეფე გახლდათ, რომელსაც ყველა ქართლელი სიყვარულით უკვე „გორგასალად“ იხსენიებდა.

მტკვრის ზემოდან მომავალი გუნდი შეჩერდა. მისი შემხედვარე სპარსელთა ქარავანიც შედგა. სიტყვა მასპინძლებს ეკუთვნოდათ და ვახტანგმაც ხელი ასწია, რასაც მყისვე ქართლელთა მხარეს ყოველგვარი ხმიანობის შეწყვეტა მოჰყვა.

ამის შემდეგ მეფე დაქვეითდა და საზეიმოდ შემოსილ ეპისკოპოს მიქაელს მეტყველად გადახედა. ისიც გვერდში დინჯად და ღირსებით ამოუდგა და ორივემ ჩამოვარდნილ სიჩუმეში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მათს უკან კი, მეფის ბრძანებისამებრ, ჯერ საზეიმოდ გამოწყობილი ვარაზი მოდიოდა, რომელსაც ხელთ ოქროს ლანგარი ეპყრა, ზედ მურასათვლებიანი უძვირფასესი სადედოფლო გვირგვინით, ხოლო მის გვერდით მონასტრის მორჩილი მოაბიჯებდა, ხელში არც თუ მცირე ვერცხლის ჯვრით.

ამ დროს, სპარსელთა მხრიდან, რიდეჩამოფარებული ტანკენარი ასული გამოჩნდა, რომელიც, ის-ის იყო ტახტრევნიდან ჩამოსულიყო და, რომელსაც, ყოველი ნაბიჯის გადმოდგმაზე, ძვირფასი სამაჯურები და ხალხალები უწკრიალებდა, თავზე კი ნატიფად ნაკეთები, უძვირფასესი თვლებით მორთული, აუწერელი სინატიფის, მცირე გვირგვინი ედგა. იგი ველის შუაგულისკენ გამოემართა, თან მანძილჩაგდებით, წითელწვერა კაცი მოჰყვებოდა, რომელიც ყველა მოგვ ბინქარანს შეიცნობდა. იგი ამ რამდენიმე ხნის წინ თვით ვახტანგ მეფემ გაგზავნა ქტესიფონს, დიდი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ და შაჰან-შაჰთან დიდძალი ძღვენი გაატანა, ახლა კი, ეს ბინქარანი, იმავე შაჰან-შაჰ პეროზს, ვახტანგის თანამეცხედრედ გამოგზავნილ თავის ასულ ბალენდუხტთან ერთად, ქართლში დაებრუნებინა.

ბინქარანის უკან, სამ-ოთხ ნაბიჯზე, კიდევ ერთი სპარსი მოდიოდა გამორჩევით, ხელში ლანკანით, ხოლო ლანკანზე უძვირფასესი თაჯით, რომელიც ერანის მბრძანებელს სასიძოსთვის ებოძებინა. ეს თაჯი ბევრად აღემატებოდა იმ გვირგვინს, რომელიც სპარსეთის მბრძანებელმა, ქართლის მეფეს, ჯერ კიდევ მაშინ გამოუგზავნა, როდესაც ის ჩრდილოეთის დიდი ლაშქრობიდან დაბრუნდა.

ამ სპარსელს გვერდით კიდევ ერთი მოჰყვებოდა, და მას, ოქროს მცირე ქოთნით, წმინდა ცეცხლი მოჰქონდა, რომლიდანაც სურნელოვანი კვამლი იფრქვეოდა და მთელ მინდორს ეფინებოდა.

ქოთნის დანახვაზე ცეცხლი მეუფე მიქაელის გულშიც აენთო, თუმცა ეს ამაო ბრაზის ცეცხლი იყო. მართალია ეპისკოპოსი მაზდეანობას მთელი თავისი არსებითა და საქმით თავდაუზოგავად ებრძოდა, მაგრამ, ხშირად, იძულებული იყო, ქართლში, ხან აქ და ხან იქ, საგზებლების არსებობა დაეთმინა, რამეთუ, ჯერ კიდევ დედოფალ სადგუხტის მამის, სპარსეთის დიდმოხელის, მარზაპან ბარზაბოდისგან იყო შემოთვლილი: – ვისაც ცეცხლის თაყვანისმცემა სურს, ნუ აყენებთო, ანუ ნუ დაუშლითო. რა თქმა უნდა, ეს ბრძანება შაჰან-შაჰიდან მოდიოდა – ქართლი ხომ მაშინაც და ახლაც სპარსეთის ხელდებული იყო.

ვახტანგი შეჩერდა და მისკენ მომავალ შაჰან-შაჰის ასულს დაკვირვებით დააცქერდა, რაც მცირე ხნის შემდეგ კმაყოფილებით, მოგვიანებით კი აღტაცებით, შეეცვალა: ბალენდუხტი უზადო იყო! უნაკლო იყო მისი ტანადობაც, გამჭვირვალე რიდეთი დაფარული მწყაზარი სახეც, ფაქიზი თითებიც, თვალს იტაცებდა პირსაფარიდან ოდნავ გამოჩენილი აფრიალებული, რვალისფერი თმებიც და ის სამოსიც, რომელშიც ცისფერს წითელი შეხამებოდა, სწორედ ისე, დილის მზე რომ ამოცურდება უღრუბლო ტატნობზე; მზერას იტაცებდა მოქარგული, ოქროს აბზინდებიანი წაღებიც, რომელთა დაბალი ყელი ბალახისფერი მოსასხამის ქვეშ იკარგებოდა.

ამ ყველაფერს ვახტანგმა სულის ერთ ამოსუნთქვაში მოჰკრა თვალი და გული სიამით შეუთრთოლდა: ბალენდუხტი უდავოდ ულამაზესი ჩანდა. მაშ, ქართლს დიდებული დედოფალი ეყოლება!

როდესაც შაჰან-შაჰის ასულს მომავალ მეუღლემდე მცირე მანძილი დარჩა, ვახტანგი ადგილიდან დაიძრა და მის შესაგებებლად გაემართა, ხოლო როდესაც მათ შორის სულ ორიოდ ნაბიჯიღა იყო, ბალედუხტი შედგა, ქართლის მეფემ კი მის წინ მუხლი მოიყარა და მომავალ თანამეცხედრეს კაბის სარტყელზე ეამბორა.

ის იყო მეფე წამოდგა, რომ ახლა ბალენდუხტმა დაიჩოქა და მეუღლეს, ქართლის მეფეს, ხელზე დასაკონებლად მიეტანა, მაგრამ როდესაც ის ხელი თავისი მკერდის სიმაღლეზე დაინახა, თავადაც ჩაეღიმა და ვახტანგ მეფესაც, რომელმაც ხელამდე არ მიუშვა და თავად ემთხვია შუბლზე, გადაუწია რა სახიდან ვარდისფერი, გამჭვირვალე რიდე, რომელიც ნიავზე ოდნავ ფრიალებდა.

ქართლელნიცა და სპარსნიც ამ სურათს თვალს არ აცილებდნენ და სიხარულით რწმუნდებოდნენ, რომ ქართლის მეფე და შაჰან-შაჰის ასული ღირსეულად შეეფერებოდნენ ერთმანეთს.

ხოლო როდესაც ვახტანგიცა და ბალენდუხტიც უკვე პირისპირ წარსდგნენ, ქართლელებმაც და სპარსელებმა ისიც შენიშნეს, რომ შაჰან-შაჰის ასული, რომელიც სულაც არ იყო დაბალი, მომავალ თანამეცხედრეს მკერდამდე ძლივს სწვდებოდა.

ამასობაში ვახტანგმა ვარაზს გადახედა და მანაც მყისვე ოქროს ლანგარი მიართვა. ვახტანგმა გვირგვინი აიღო, დედოფლისკენ მიტრიალდა, წეღანდელი, სპარსული, საქალწულო გვირგვინი მოხადა, კვლავ ვარაზს გაუწოდა და ახალი, კიდევ უფრო მშვენიერი და დიდებული, მცხეთელ ოქრომჭედელთა ნაკეთები დიადემა ფრთხილად, დინჯად, ნელი მოძრაობით, თავს დაადგა.

შესაბამისად, ბინქარან ეპისკოპოსის უკან მდგარმა სპარსმაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი შაჰან-შაჰის ასულისკენ, რომელმაც მამის გამოგზავნილი თაჯის ვახტანგისთვის თავს დადგმა სცადა, მაგრამ ვერ შეწვდა და გაწბილებულმა მომავალ მეუღლეს შემცბარი თვალებით შეხედა. ვახტანგი მიუხვდა, თავი ძლივს შეიკავა, რომ ხმამაღლა არ გაეცინა, მხოლოდ ჩაიღიმა და თავი დახარა.

ბალენდუხტმა, როგორც იქნა, შეძლო თაჯი ქართლის მეფის შუბლისთვის მიეწვდინა და, როდესაც ვახტანგი წელში გაიმართა, ოქროს გვირგვინი და მასში ჩასმული თვლები მის თავზე მზის სხივებმა ნაირფერად ააელვარეს.

მზერადქცეულმა ქართლელებმაცა და სპარსელებმაც ხმამაღალი ყიჟინა დასცეს, ხმლები ფარებს დაჰკრეს და ქუდები ცაში აისროლეს.

ამ დროს სამეფო წყვილს მარჯვენა მხრიდან მეუფე მიქაელი მოუახლოვდა, მარცხნიდან კი მოგვი ბინქარანი.

ჩამოვარდნილ საერთო სიჩუმეში მეუფე მიქაელმა მორჩილს ჯვარი გამოართვა, ჯერ ორივეს გარდასახა, შემდეგ მარცხენა ხელში წამიერად გადაიტანა, თავადაც გადაიწერა პირჯვარი და ბოლოს ის ჯვარი ორივე ხელით მკერდთან ისე დაიჭირა, თითქოს ზედ მიყრდნობა სურსო. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა მჟღერი, გაუბზარავი ხმით ღაღადჰყო:

– უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან ყოველივე ჰქმენ ძლიერებითა შენითა და დაამტკიცე სოფელი ესე, შეგვიწყალენ ჩვენ, დიდითა წყალობითა შენითა, შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, და დაგვიცევ მადლითა შენითა.

და ღირს მყვენ, უფალო, რათა კურთხევა ვყო მონისა შენისა ვახტანგისი ქართლისა მეფისა და მხევლისა შენისა ბალენდუხტისა შაჰან-შაჰ პეროზისა ასულისა, რამეთუ შენი არს სუფევა, და ძალი და დიდება, მამისა და ძისა და

გაგრძელება გვ.9 ▶

ფარნა რაინა

შეგონება – მეათასე...

უნდა იყო:
უფლის –
სახე,
ან, უფალთან,
ახლოს,
რომ... ავსულმა –
სულმზე
სახელს,
ხელი ვეღარ
ახლოს...

5. I. 2021

შხამ– გესლიანი...

რამდენი –
ქარს და...
სიავეს აშლის,
გრძელ ენას –
გესლით
და... შხამით
აქნევს...
რწყილსა და...
ქინქლას
დაეძებს სხვაში,
თავის თავში კი –
ვერ ხედავს
აქლემს?!..

30. X. 2020

ადიადდი, ზაალ, მასე...

ხმალკალმოსანს, –
ზაალ ბოტკოველს

სიყვარულში
წამს არ –
კარგავ,
ადიადდი,
ზაალ, მასე...
გააფხავე –
უფრო,
კარგად,
ხმალკალამი, –
საალმასე...

კვლავ და...
კვლავ –
„ჩვენ“ და...
„მე“ ...
–
სამყაროს –
სხივთა
სუფრით მზე უვლის,
დარდის –
სიკეთით,
გარჯით
ამტანი...
„ჩვენ“ –
ეს, სიბრძნეა, –
უფლისეული,
„მე“ კი –
ეშმაკის,
ქაჯის,
სატანის...

8. XI. 2020

სიყრუხლე უნდა – ზვარაკად დადო...

გაგება, როცა,
იქცევა –
ქვადო,
კარგავსო მიზანს –
აზრი და...
დროცა...
სიცოცხლე უნდა –
ზვარაკად
დადო,
დინების უკუ
ცურვა გსურს,
როცა...

18. XII. 2020

საქმე ის არის...

ვიცი, ზეიმობ –
ზოგჯერ,
ნიკეთი, –
როცა – მტერია,
განა – ფერია?!..
საქმე ის არის,
სძლიო –
სიკეთით,
მტრობით რომ
სძლიო,
არაფერია...

სიყვარულიდან – სიყვარულამდე...

მიყვარს –
სტრიქონი, –
სიბრძნის მთოველი,
მარადიული
სიტყვა თუ, ანდე...
მიყვარს –
სიცოცხლის
წამი, – ყოველი, –
სიყვარულიდან,
სიყვარულამდე...

21. XII. 2020

რატომ?!..

რაიც მოვდივარ,
ვეღარ ვნახე –
სხივთა
მალამო,
ჩამომიღამდა,
დამექუფრა –
ზეცა, – სოსანი...
ვაგლახ! –
საწუთროვ,
უსამართლო დღეთა –
ალამო
რატომ გამწირე –
სიყვარულის
ზევსი მგოსანი?!..
რატომ?!..

7. XII. 2020

ერთია – ღმერთი...*

ვისთვის – მაჰმადი,
ვისთვის – ბუდა, და...
ვისთვის – ღმერთი?..
სხვადასხვა სახით
ვხატავთ –
ყველა, –
ზერწმენის
ამ ლხინს...
ზეძალა არის
სამყაროში:
ერთიან, –
ერთი,
სხვადასხვა ფორმით
ვლოცავთ, ყველგან,
სხვადასხვა
ხალხი...

18. XII. 2020

**„ჰე, ღმერთო, ერთო,*
შენ შეჰქმენ –
სახე, – ყოვლისა –
ტანისა“ ...

შოთა რუსთაველი

ხომ ხდება?!..

ხომ ხდება?! –
ვისთვის:
ათიც... ასიც –
ერთიც
არ არი...
მაგრამ... თუ, ნებავს,
მაშინ –
ერთიც,
ასჯერ,
ათია?!..
ნეტარებაა მისთვის:
ღმერთის –
ჯვარცმაც,
ვარამიც...
ვითომ, – ვერ ხედავს –
ცის ლაჟვარდში,
მზე რომ...
ანთია...

15. XII. 2020

როგორ გაფრინდა?!..

როგორ გაფრინდა
სიჭაბუკე?! –
კისკასი დროცა,
ჩემი მეგონა:
ცაც და...
მიწაც...
წლები მზით ვთვალე...
გადავეყრები –
ახლა,
გზაზე,
ლამაზმანს, როცა,
თმებდათოვლილი
გავაყოლებ –
ცრემლიან თვალებს...

8. XII. 2020

ასე მგონია...

ეს გონი –
მაგ გზით
სავსე გონია, –
ჩემი ფიქრების
დასალიერთან...
როცა –
ვერ გხედავ,
ასე მგონია:
მთელი სამყარო
დაცარიელდა...

29. XI. 2020

მტერი ვარ – მტრობის...

მძაგს, ვინაც, –
თეთრის ნეტარებს –
მურვით,
მზის მიყვარს –
ოქრო...
და... მთვარის –
ვერცხლი...
მტერი ვარ –
მტრობის,
სიავის,
შურის,
მსურს:
მარად ენთოს
მზეგულთა –
ცეცხლი...

2. XII. 2020

სანამ?!..

ზეცის ქვეშ,
მზე, რომ –
ხელში
გვეყვანა,
უფალს არავინ
მოვიმდურებდით...
სანამ
სანსლავდენ:
ხალხს და...
ქვეყანას –
პოლიტმგლები და
პოლიტტურები?!..

7. XI. 2020

ალბათ, ათასჯერ...

თავს
ანგელოსად მოგაჩვე-
ნებს, –
ზოგჯერ,
ჭინკეთიც,
ეკალ-ბარდები,
წინ, რაც დამხვდა,
ხან, არ –
გადავჭერ...
თუ, –
შეცდომები დამიშვია,
მხოლოდ,
სიკეთით,
გავიმეორებ –
იმ შეცდომებს, –
ალბათ,
ათასჯერ...

26. XII. 2020

სასაცილო და... საკირალია...

დღეს, –
სხვა – მტერია,
სხვა – ტირანია, –
ვინ – ღმერთი,
ვინ კი –
ბნედა ვიწამეთ...
სასაცილო და...
სატირალია:
დღეს,
რაიც ხდება –
დედამიწაზე...

27. II. 2021

პოლიტიკა...

დღეს –
პოლიტიკა ნიშნავს:
ხილულ ზიანს,
ხან, –
შეფარულს,
დღეებს, რომ...
ფატრავს, – მზიანს...
ხან, –
დაბოლებას...
დაბრმავებას...

ნახ. თენგიზ მირზაშვილისა

თუ, შეგიძლია...

დრო, –
ჩვენით არის:
კარგიც და...
ავიც,
გზა – ბენვის ხიდი,
თუ – ვრცელი, –
ფართო...
თუ, შეგიძლია, –
ჯერ, მართე –
თავი...
და... მერე... იქნებ –
მილეთიც
მართო...

P.S.
თავის თავს,
თვითონ,
ვინაც ვერ –
მართავს,
როგორ გაარჩევს:
მტყუანს და...
მართალს?!..

5. I. 2021

ბედნიერება...

ხორცი ირჩია, ვინაც
–
უწინ,
და... არა –
სული,
ყოფნის სამსალას
ცეტი –
დარდით, ვაებით
მოცლის...
ჭეშმარიტება –
თუკი, გნებავს, –
სიკეთით
სრული,
ბედნიერება –
სული არის
და... არა –
ხორცი...

22. II. 2021

ჩვენ გვიბრუნდება, – ყველაფერი...

ზეკოსმოსიდან, –
მზემ, სიცოცხლე,
სიკეთით –
გვასვა...
სიკეთე, მარად,
გზას იკვალავს –
წყვდიადშიც, –
უკვალს...
ვანათებთ,
როგორც...
და... ვასხივებთ –
ავს, თუ, კარგს, –
რასაც,
ჩვენ გვიბრუნდება –
ყველაფერი, –
უცვლელად,
უკან...

23. II. 2021

სიბრძნე...

არ უნდა ვწვავდეთ, –
რაც გვარჩენს –
იმ ძნებს...

არ უნდა ავყვეთ:
ცეტს და...
რეტიანს...
უკან დახევა, –
ხან, არის –
სიბრძნე,
გამარჯვებაზე
უფრო,
მეტია...

24. II. 2021

სჯობს...

გონის, –
თუ, არ გვაქვს –
რეტი,
სჯობს –
მალე მივხვდეთ, –
რატომ?..
ძალა –
სიბრძნეს აქვს, –
მეტი,
ვიდრე –
ტყვიას და...
ატომს?..

25. II. 2021

ფარნა რაინა – 85

რატომ?!.. რამდენჯერ?!..

დრო – ავად,
რატომ იცვლის
იერსო?!..
მზესიბრძნის წყარო,
რატომ –
ილია?!..
ჯვარზე –
რამდენჯერ ვაცვათ
იესო?!..
რამდენჯერ, უნდა
მოვკლათ –
ილია?!..

22. II. 2012

რატომ მგონია?!..

რატომ მგონია:
იესოს –
ახლაც,
ჯვარს ვაცვამთ, –
ისევ, ვცოდავთ –
ამაში...
რომ... დედამიწა
თეატრი
გახლავთ,
ხოლო, ღირსება:
მხოლოდ,
თამაში...

3. II. 2021

შვილიუ არის და... დიადი – ძეგლიუ...

ცეცხლი –
გულზე, რომ...
შემოგენთება, –
ხან, – ჯვარცმა,
ხან, კი –
გვირგვინი, –
ეკლის...

ვული, ანუ – მოღობი-
ლი, შემოღობილი.

მარადი ჯილდო...

ჩვენ ვინდობთ
დროს და...
დრო – არვის ინდობს,
დრო – ვის, მზედ,
ვის კი – აქცევს
ფიფქებად...
მწამს, –
სიყვარულზე,
მარადი ჯილდო,
არა ყოფილა...
და... არც –
იქნება...

P.S.
მეც, მზედ ავანთებ:
ამ სიტყვას,
ამ ხმას,
თუ, მოგანიჭა:
ეს ჯილდო –
ხალხმა...

21. II. 2021

მომენატრება...

ფიქრით მოვივლი:
დედამიწას, –
ირგვლივ,
სამყაროს...
რად ვერ გასრულდა
ბოროტება:
მზაკვართა,
ავთა?!..
დარდსა და ტკივილს,
მინდა, ზოგჯერ,
გული –
ავყარო...
მომენატრება:
ყოფნა –
მარტო,
საკუთარ –
თავთან...

18. II. 2021

მიყვარს...

მიყვარს –
სხვებზე, რომ
ფიქრით ივსები,
ხან, რომ...
თვალებსაც
ანამიანებ...
მიყვარს, როდესაც –
შენი ღირსების
სხივით აოცებ, –
ადამიანებს...

17. II. 2021

ვდევ – ვნებად...

სიტყვის,
სხივის,
სიბრძნის
ბოცა –
დროის ლანდებს
ვდევ – ვნებად, –
თავი მოაქვთ
ჭიებს,
როცა –
ცხრათავიან
დევებად...

8. II. 2021

დემოკრატია...

დღეს –
შავი ფიქრი,
ტანჯვა,
ჯვარცმა,
რაისთვის
გვახლავს?!..
ძალმომრეობით –
ქიშპში,
შუღლში,
ვაღამებთ,
ვათევთ...
დემოკრატიას,
რომ თამაშობს –
მსოფლიო, –
ახლა,
დემოკრატია მეტი
ჰქონდა:
სპარტას და...
ათენს...

ძნელზე ძნელია...

შიმშილის ქარი
დათარეშობს:
ქალაქად,
სოფლად,
ნეტავ, სადამდე?!..
და... როდემდე?! –
ეპოქა –
მგლური?!..
ძნელზე ძნელია, –
უძნელესი,
როდესაც –
ყოფნა,
ფიქრით და
დარდით
იხარშება, როდესაც –
გული...

7. VII. 200

ამაო – სურვილი...

ვარ –
ფიქრის ცეცხლით
გათანგული და...
ფიქრია ჩემი –
დღეთა
მსახვრელი...
ბევრი ვეცადე,
მაგრამ... გულიდან,
ვერ ამოვშალე –
შენი
სახელი...

3. I. 2021

არ მწამს...

უბრმავებს, ვისაც –
თვალებს, –
ახელილს,
მამონას –
თარსი მიზნით, –
მზაკვრულით,
არ მწამს –
საქმე და...
არ მწამს –
სახელიც:
ქვეყნად,
სირცხვილის –
ბოძზე
გაკრულის...

16. II. 2021

უუწინარეს, უზენაეს და... უპირველეს...

სიკეთე – ჩემი,
არ უკვირს – მთებს,
არ უკვირს –
ველებს...
და... მიწონებენ:
ენძელებიც,
ანდა – იანი...
უუწინარეს,
უზენაეს
და... უპირველეს,
ადამიანი მიყვარს,
როგორც –
ადამიანი...

P.S.
რამდენი არის:
დათვობით, თუ –
მგლობით,
მელობით,
მაგრამ...
რა ცოტა –
სიყვარულით
ნადავლიანი...

რატომ მგონია?!..

მოვესწარ –
დარდის, –
უმძაფრესი განცდის
მთოველ დროს,
სულ, სხვა დროის
და...
სხვა ეპოქის –
დავალ თავდებად...
რატომ მგონია?! –
ამ პლანეტას
ყველგან,
მოედო:
კომპიუტერის,
ტელეფონის –
დაავადება?!..

14. II. 2021

ისტორია

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხი XIV საუკუნის 80-90-იან წლებში

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაკვრით შეეხნენ **ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, დ. კაციტაძე, კ. ტაბატაძე, ვ. კიკნაძე** და სხვ., რომელთაც საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს. მიუხედავად ამისა, მათ ნაშრომებში გვხვდება ზოგიერთი სადავო მოსაზრებები თუ დებულებანი.

წინამდებარე ნაშრომი ამ ურთიერთობის ირგვლივ, ბოლო დრომდე ბუნდოვნად მიჩნეული ან ნაკლებად იდენტიფიცირებული ფაქტების და მასში არსებული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს.

ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, ჯერ საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ სამხრეთ კავკასიასა და ოქროს ურდოში აღნიშნულ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარება.

ჯერ კიდევ **ილხან აბუ-საიდ ბაჰადურ-ხანის,** იგივე **ყაენ აბუ-საიდის** დროს ჩამოყალიბდა ძლიერი ადგილობრივი ფეოდალური დაჯგუფებები. ყაენ **აბუ-საიდის** გარდაცვალების შემდეგ (1335 წ. 30 ნოემბერი. მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა), მსხვილმა ფეოდალურმა დაჯგუფებებმა ტახტზე აიყვანეს **ჩინგიზ-ხანის** შთამომავლები, რომელთა ძალაუფლებასაც სცნობდნენ ისიც ნომინალურად. რეალურად კი ძალაუფლება დაშლილ ილხანთა საყაენოს დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებში შესაბამისად ჯელაირიანებმა, ჩობანიანებმა და მუზაფერიდებმა დაიკავეს. არაბეთის ერაყში გაბატონებულმა **ამირა ბოზორგმა** საფუძველი ჩაუყარა ჯელაერიანთა დინასტიას (1340-1440). მათი მმართველობა მხოლოდ დროებით შეწყდა თემურ-ლენგის შემოსევის დროს. მათი მეტოქეები იყვნენ ჩობანიანები – **ჰასან ქუჩუკი** და **მელიქ აშრაფი.** ისინი თავიანთ სამფლობელოში განუსაზღვრელ და შეუზღუდავ სასტიკ ექსპლუატაციას უნევდნენ ადგილობრივ ბინადარ მოსახლეობას, რომელთაც დახმარებისთვის მიმართეს ოქროს ურდოს ხან **ჯანიბეგს.** იგი დიდი ჯარით მოვიდა და დაიკავა თავრიზი. მან ბოლო მოუღო ჩობანიანთა სახელმწიფოს (1356). მათი წასვლის შემდეგ სპარსეთის ერაყი და სამხრეთ აზერბაიჯანი დაიპყრო მუზაფერიდმა **მუბარაზ ად-დინ მუჰამედმა** (1357). შემდეგ თავრიზი დაიკავა ჯელაირიანთა სულთანმა **უვეისმა** და მისი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა გარდა ერაყისა, ჰამადანი, ყაზვინი, სულთანიე, ქურთისტანი, სახმრეთ აზერბაიჯანი, სომხეთი, ყარაბაღი,

სამხრეთ კავკასიაში ილხანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ანგარიშგასაწევი ძალა გახდა საქართველო, რომლის გაერთიანება, აღორძინება-რესტავრაცია **გიორგი V** ბრწყინვალეს მეფობაში გახდა შესაძლებელი, მაგრამ მისი მეფობის ბოლო წლებში გარკვეულმა სიძნელეებმა იჩინა თავი.

1338 წელს საქართველო დალაშქრა აზერბაიჯანის მმართველმა ჩობანიდმა **ჰასან ქუჩუკმა**, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა. „ადარბადაგანის“ მფლობელს დაუკავებია სომხეთი, რანი და მოვაკანი. განჯას მოსულს გიორგი მეფის დამორჩილებაც მოუნდომებია, მაგრამ ქართველებს სასტიკი ომით უკან გაუძევებია. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილის გვაწვდის ცნობებს: *„... ხოლო ვინაითგან დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნეტასა შინა თჳსს და კავკასნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე: კუალად რანი, მოვაკანი და შირვანშა მოხარკედ აქუნდა და აღარავინ იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი...“* .

აღმავლობის გზაზე შემდგარ საქართველოს დიდი სიძნელე შეექმნა გიორგის შვილის **დავით IX**-ის დროსაც (1348-1360). 1349-1350 წწ. საქართველომ ანუშირვანს გადაუხადა ხარკი 400000 დინარის რაოდენობით. აკად. **ნ. ბერძენიშვილის** შენიშვნით: *„გიორგი ბრწყინვალემ ვერ აღადგინა ქართული მიწისმფლობელობა საქართველოს განაპირა აღმოსავლეთ ნაწილში, რის გამოც ეს მხარე (აღმოსავლეთ ნაწილი საარიშიანოსი – შაქი) საქართველომ სულ მალე, XIV ს-ის მიწურულს მთლიანად დაკარგა. თუ გიორგი ბრწყინვალე დიდი ძალისხმევის შედეგად ინარჩუნებდა დარუბანდამდე ტერიტორიებს, ბაგრატ V-ს დროს აღმოსავლეთ საქართველოს გავლენა შეკვეცილია. ვახუშტის ცნობით: „...არამედ აქუნდა მას (ბაგრატ V – რ.გ.) მოხარკედ რანი მოვაკანი და დვინი...“ (ვახუშტი, 1973:269)*. მაგრამ თემურ-ლენგის შემოსევებისთანავე ეს მხარე საბოლოოდ ჩამოშორდა საქართველოს.

რაც შეეხება ოქროს ურდოს პოლიტიკურ ვითარებას, განსხვავებით ილხანთა სახელმწიფოსაგან, მან რამდენადმე გვიანობამდე შეინარჩუნა ერთიანობა. ჩვენთვის განსახილველ პერიოდში ოქროს ურდოს ხანებიდან, ვინც აზერბაიჯანის შემოერთებას ოქროს ურდოსთვის აქტიურად უჭერდა მხარს, იყო ჯანიბეკი, რომელმაც დაიკავა აზერბაიჯანი და აიღო ქალაქი თავრიზი. მისი გარდაცვალების (1357 წ.) შემდეგ თავრიზი და ჩრდილო აზერბაიჯანი დაიპყრო ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენელმა **უვეისმა.** ჯალაირიანების დინასტიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო **სულთანი აჰმედი** (1382-1410), მან სახელი გაითქვა, როგორც ყველაზე მრისხანე და უმოწყალო მბრძანებელმა.

ოქროს ურდოს მომდევნო ხანებიდან, ვინც აზერბაიჯანის შემოერთებას უჭერდა მხარს, იყო **თოხთამიშ ხანი.** ის ყურადღებით ადევნებდა თვალს აზერბაიჯანსა და ირანში მიმდინარე პროცესებს. სულთან **აჰმედ ჯალაირიანის** აუტანელი მმართველობის შესახებ თავრიზში და ჩრდილო-დასავლეთ ირანში კარგად იყო ინფორმირებული თემურ-ლენგი და თავისი აგენტების საშუალებით აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა თავრიზის მოსახლეობაში აჰმედის საწინააღმდეგოდ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. თემურ-ლენგი, რომელმაც იცოდა რა თავისი „პოპულარობის“ შესახებ თავრიზის მოსახლეობაში, ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის აჰმედის საწინააღმდეგოდ, რის წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1385 წელს სულთანიის მახლობლად, სადაც გამარჯვებული გამოვიდა თემურ-ლენგი. ამის შემდეგ თემურს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გამოუჩნდა ცენტრალურ ირანში და თავრიზზე აღარ ილაშქრა, მით უმეტეს, რომ თავრიზის ელიტა მას ამისაკენ უბიძგებდა. თოხთამიშ-ხანმა, რომელმაც კარგად იცოდა აზერბაიჯანში შექმნილი ვითარება, 1385-1386 წლის ზამთარში, **ზეინ ად-დინ ყაზვინის** (ჰამდალა ყაზვინის შვილი) ცნობით გაიარა დერბენტი, შირვანი, სადაც მმართველი იყო ჯალაირიანების ვასალი **იბრაჰიმ დერბენტი** (1382-1417) და 90000-იანი ლაშქრის დახმარებით დაიკავა ქალაქი თავრიზი. ვიდრე თოხთამიში თავრიზს დაიკავებდა, მანამდე მან დაამარცხა კულიკოვის ბრძოლაში დამარცხებული ოქროს ურდოს ყაენი **მამაი,** 1382 წელს ილაშქრა რუსეთში და მოსკოვი გადაწვა. მას მორჩილება გამოუცხადა ლიტვის დიდმა მთავარმა **იაგელომ,** ტვერის მთავარმა **მიხეილ ალექსანდრეს ძემ.** მას კავშირი ჰქონდა ლიტვის დიდ მთავარ **ვიტოვტთან** და აგრძელებდა ბრძოლას ოქროს ურდოს ხანის ტიტულისათვის **თემურ-ყუთლუღთან** და **ედიგეისთან.**

ახლა კი განვიხილოთ საქართველოსა და თოხთამიშ ხანის შესაძლო ურთიერთობის მიზეზები და გარემოებანი.

საქართველოში თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობის მიზეზად თემურის ისტორიკოსს **შერეფ ედ-დინ ალი იეზიდს** განმარტებული აქვს, რომ მაჰმადიანობის გასავრცელებლად გაილაშქრა მან საქართველოშიო.

აკად. **მ. ბროსეს** თემურის ისტორიკოსის ასეთი მოსაზრება არასარწმუნოდ მიაჩნდა და მისი აზრით თემურ-ლენგი ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. ვინაიდან რანი, ყარაბაღი და ლეკეთის მთავრებიც მისი ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდნენ და მონღოლთა ბატონობისთვის ასეთი სამეფოს ხელში ჩაგდება, რასაკვირველია, სასახელო იქნებოდა და ამითაც უნდა ყოფილიყო საქართველოში მისი გამოლაშქრებაც გამოწვეული.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით თოხთამიშ ხანმა 90000 ლაშქრით დარიალინისა და დარუბანდის გზით თავისი სარდლებით ქ. თავრეჟის დასაპყრობად გაგზავნა. ჩრდილოეთის ულუსის ამ ლაშქარში მონღოლების გარდა უ რ წ მუნონიც“ , ე.ი. არა მაჰმადიანებიც ერივნენ. მისი აზრით თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეჭრილიყო საქართველოს მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებისა და მოკავშირეების გარეშე.

მიუხედავად რეალობასთან მდგარი ასეთი მოსაზრებისა, ვფიქრობთ, რომ იგი გადახედვას საჭიროებს. მიზეზთა და მიზეზთა გამო ასეთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია: **პირველი:** არცერთ წყაროში სამხრეთ აზერბაიჯანში თოხთამიშის ლაშქრობის მარშრუტად დარუბანდის გადასასვლელის გარდა სხვა გზა დასახელებული არ არის. წარმოუდგენელია, რატომ უნდა გამორჩენოდათ დარიალის გზა ამ ამბის დაწვრილებით აღმწერ სპარსელ ისტორიკოსებს. **ჰამდალაჰ ყაზვინის** შვილი „თარიხე გუზიდეს“ გამგრძელებელი **ზეინ ად-დინ ყაზვინი** წერს, რომ თოხთამიშმა *„გაიარა დერბენტი და შირვანის ოლქი, სადაც ხელისუფალი იყო ჯალაირიანების ვასალი იბრაჰიმ დერბენდი* (1382-1417) *და ჰიჯრიმ 787 წ. ზამთარში* (12. II 1285 – 1. II 1386) *90000 ჯარით თავრიზი აიღო*. როგორც ამ წყაროდან ჩანს, შირვანზე და დერბენტზე პოლიტიკური გავლენა ჯალაირიანების დინასტიის წარმომადგენელს **აჰმედ სულტანს** აქვს დამყარებული. გარდა ზემოაღნიშნული სპარსული წყაროსი, ამ ფაქტს ქართველი ისტორიკოსი **ვახუშტი ბატონიშვილიც** ადასტურებს. ბაგრატ V-ის დროინდელი საქართველოს შესახებ ვახუშტი წერს: *„...არამედ აქუნდა მას* (ბაგრატ V – რ.გ.) *მოხარკედ რანი, მოვაკანი და დვინი...“* .

დერბენტზე და შირვანზე ქართველ პოლიტიკოსებს რომ ხელი არ მიუწვდებოდათ, ჩანს იქიდანაც, რომ 1388-1390 წლებში აქ იჭრებოდა ფული თოხთამიშის სახელზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოკავშირეთა შორის ასეთი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ ერთმა მოკავშირემ, მეორე მოკავშირეს, ამ შემთხვევაში სტრატეგიულ პარტნიორს, ტერიტორიები წაართვა და თავის გავლენა დაამყარა, რაც ისეთ მრისხანე მეტოქესთან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ, როგორიც თემურ-ლენგი იყო, წარმოუდგენელია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს არ ეკუთვნოდა იმ დროისთვის და მასზე კონტროლის დაწესება საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო.

მეორე: აკად. ივ ჯავახიშვილი ხაზგასმით ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ამ ლაშქარში მონღოლების გარდა „ურწმუნოებიც“ , ე.ი. არამაჰმადიანებიც ერივნენ. ჩანს, იგი გულისხმობს თოხთამიშთან ერთად ქართველთა ლაშქარსაც, რაც ასევე, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როდესაც თოხთამიშმა მოსკოვი აიღო და გადაწვა, ურდოში მასთან გამოცხადდნენ რუსეთის მთავრები და მათი შვილები. ხანმა ამანათად დაიტოვა მოსკოვის მთავრის **დიმიტრი დონელის** ვაჟი **ვასილი,** ასევე ტვერისა და ნიჟნინოვგოროდის მთავრის შვილები სამი წლის განმავლობაში (1382 წ. აპრილი). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მონღოლებს დაპყრობილი ქვეყნებიდან სამხედრო ბეგარის სახით ჯარი გაჰყავდა, ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ რუსი მთავრების რაზმები იღებდნენ თოხთამიშის ლაშქარში მონაწილეობას. მსგავსი ფაქტი დადასტურებული აქვს თემურ-ლენგის ისტორიკოსს **შერეფ ედ-დინ ალი იეზიდს** წიგნში „ზარაფნამე“ , „ამბავი თემუ-ლენგის ბრძოლისა თოხთამიშ ხანის წინააღმდეგ“ . ავტორი აღნიშნავს, რომ „თოხთამიშმა გამოიყვანა ჯარი თემურის წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: რუსები, ჩერქეზები, ბულგარები (ვოლგის. *რ.გ.*), ყივჩაყები, ალანები, ყირიმის მცხოვრებნი კაფადან და აზაკიდან (აზოვი – *რ.გ.*) ბაშკირები და სხვა. ვფიქრობთ, ჯარის ასეთივე შემადგენლობა უნდა ჰყოლოდა თოხთამიშს თავრიზზე ლაშქრობის დროსაც. მეორე სპარსი ისტორიკოსი **ზეინ ად-დინ ყაზვინი** კი წერს, რომ *„თოხთამიშის არმიაში ურწმუნოები ერივნენ, რომლებმაც ტყვეებად აიყვანეს ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილები და ჭაბუკები...“* .

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი, როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები ეჭვქვეშ აყენებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ მოსაზრებას დერბენტ-შირვანზე საქართველოს გავლენას აღნიშნულ პერიოდში.

საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობები დაცული აქვს ესპანეთის მეფის **ენრიკე III** (1390-1407 წწ.) თემურ ლენგთან გაგზავნილ ელჩს **რუი გონსალეს დე კლავიხოს,** სადაც გვხვდება რამდენიმე ცნობა საქართველოსა და მისი მეფის **გიორგი VII**-ის შესახებ. აღნიშნული ცნობები ქართულ ენაზე პირველად გამოსცა მკვლევარმა **ელდარ მამისთვალიშვილმა.**

კლავიხო თავის დღიურებში საქართველოსა და მის მეფეს ქალაქ კალმარუნთან კონტექსტში ახსენებს. მისი თქმით, ეს კარგად გამაგრებული და დიდი ქალაქი მდ. არაქსზე ყოფილა. ამ ქალაქის მდებარეობის აღწერის შემდეგ კლავიხო მოგვითხრობს, რომ მის მისვლამდე რვა წლით ადრე იგი დაუმორჩილებია ოქროს ურდოს ყაენს თოხთამიშს. მიუხედავად იმისა, რომ მას ქალაქი ბრძოლით ვერ დაუმორჩილებია, როგორც ეს მას ადგილობრივებისგან შეუტყვია, მოსახლეობას მისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდა აღუთქვია. თოხთამაშს ასევე მოუთხოვია იმ ჯარის ნახევარი, რომელიც ქალაქს იცავდა, რათა წაეყვანა საქართველოში მეფე **სორსის** წინააღმდეგ საომრად. როგორც მკვლევარი ელდარ მამისთვალაშვილი ფიქრობს, *„თოხთამიშს საქართველოში ლაშქრობის მოწყობა შესაძლებელია მართლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ თუ მას ამის განხორციელებაში რამემ შეუშალა ხელი, ეს თემურ-ლენგის სამარყანდიდან მის წინააღმდეგ წამოსვლა და დადევნება უნდა იყოს. როგორც ცნობილია* – იქვე განაგრძობს, – *თოხთამიში თემურ-ლენგთან შეჯახების შიშით უკან ულუსში გაბრუნდა“.* მკვლევარ ე. მამისთვალიშვილს მოჰყავს კლავიხოს დღიურების რუსულ ენაზე მთარგმნელის **ი. სრეზნევსკის** მიერ დღიურების ბოლოს დართულ განმარტებაში ნათქვამი, რომ ხსენებული ამბავი უნდა მომხდარიყო არა რვა წლის წინათ (როგორც კლავიხო ამბობს), არამედ 18 წლის წინათ, ე.ი. 1386 წელს (მამისთვალიშვილი, 1971:120). როდესაც კლავიხო ყაბარდოს ველზე დაბანაკებულ **ომარ მირზას** (მირანშაჰის შვილი) ლაშქარში მომხდარ არეულობაზე მოგვითხრობს, რაც ომარ მირზაზე ერთ-ერთი დიდებულის მიერ თავდასხმის ცდას გამოუწვევია, ამბობს *„...ურდოში ხმა გავრცელდა, რომ თათართა ყაენი ედიგეი და მეფე გიორგი თავს დაგვესხნენო“* . როგორც ჩანს თურქმენებში გიორგი VII ცნობილი იყო როგორც ედიგეის მოკავშირე. მოტანილი მასალები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველო ოქროს ურდოსთან კავშირს თოხთამიშის გადაყენების შემდეგაც ინარჩუნებდა.

კლავიხო კალმარინს 1404 წლის 29 მაისს მიადგა. თუკი ადგილობრივი მოსახლეობისაგან გაგონილი ამბავი 8 წლის წინათ მოხდა, მაშინ ეს 1396 წელს უნდა მომხდარიყო. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, კლავიხო არ ცდება, ვინაიდან 1394 წელს თოხთამიშმა მართლაც გადმოლახა დერბენტი, მაგრამ შირვანიდან მირან-შაჰმა იგი უკუაქცია. ასე, რომ თოხთამიშმა არათუ არაქსამდე ილაშქრა, არამედ ჩრდილო აზერბაიჯანშიც ვერ გამაგრდა და უკან გაბრუნდა, რაც, თავისთავად, გამორიცხავს კალმარინში (სურმარი) მის ყოფნას. კლავიხო იქვე ახსენებს ოქროს ურდოს ყაენს ედიგეისაც, რაც, ჩვენი აზრით, წარმოუდგენელია, ვინაიდან, ვითომ საქმე გვაქვს ოქროს ურდოს ორი ყაენის – თოხთამიშისა და ედიგეის ერთდროულ ლაშქრობას აზერბაიჯანში.

1395 წლის 15 აპრილს თერგის ბრძოლაში თოხთამიში თემურ-ლენგთან დამარცხდა და ცოტა ხანში ტახტიც დაკარგა. ოქროს ურდოს ყაენი გახდა იდიგუ უზბეკი (რუსული მატიანეებით – ედიგეი). მანამდე ის თოხთამიშის ბანაკში იყო, შემდეგ განუდგა და კუნდუზჩასთან ბრძოლაში თემურის მხარეს იბრძოდა. ამავე ბრძოლის შემდეგ თემურის ბანაკიც მიატოვა და მას გადაემტერა.

კლავიხოს ცნობა რომ სიმართლეს შეესაბამება და ზემოთ აღწერილი ამბავი მართლა 8 წლის წინათ, ე.ი. 1396 წელს უნდა მომხდარიყო, ამას ადასტურებს ქართული წყაროც. კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც გიორგი VII ლაშქრობას ალინჯის ციხეზე 1396 ნლით ათარიღებს: *„არამედ გამოიყვანა კუალად ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი... მიუხდა ციხესა ალიჯანს, შემუსრა იგი... მოაოჭრნა და მოსწყჳანა გარემონი მაჰმადიანნი, აღიღო ალაფი დიდძალი და მოვიდა გამარჯვებული შინავე და განუტევნა ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი ალაფითა ფრიადითა“*.

ამ ბრძოლაში გიორგი მეფემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ციხეში მყოფი ჯალაირიანი უფლისწული თაჰერი გამოიხსნა და საქართველოში წამოიყვანა. როგორც კლავიხო აღნიშნავს, მაჰმადიანებში დიდი შიში და დაბნეულობა განსაკუთრებით იმას გამოუწვევია, რომ ქრისტიანებს მაჰმადიანებზე გაუმარ-

ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში

ნომადი ბართაია

ახლახან გამოვიდა მეტად საინტერესო წიგნი ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა *„ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“.*

ბოლო ხანებში, შაჰ-აბას პირველის მიერ საქართველოდან ირანში გადასახლებულ ქართველთა თემამ, აქტუალობა შეიძინა, როგორც ჩვენში, ისე ირანში.

თუ აქამდე, ფერეიდნელების სახით, მხოლოდ ის ქართველები იყვნენ მოქცეულნი მკვლევართა მხედველობის არეში, რომლებმაც შეინარჩუნეს ქართული ენა, ახლა, მათ მიმართაც აღიძრა ინტერესი, რომლებმაც დაკარგეს ენა, მაგრამ თავს ქართველებად თვლიან.

თუ უფრო შორიდან შევხედავთ, პირველი, ვინც ირანელ ქართულენადაკარგულ ქართველებზე მოგვაწოდა ცნობები, იყო **ყარამან კიკნაველიძე,** რომელსაც 1905-1907 წლების ცარიზმის წინააღმდეგ წარმოებული რევოლუციის მარცხის შემდეგ, მოუწია გადახვენა ირანში. მას ეკუთვნის წერილი *„ქართველები ირანში“* (*გაზ. „სახალხო საქმე“ N27, 17, 08; N28,18. O8. 2017*), რომელიც ეხება ირანის კასპიისპირეთის ქართულ დასახლებებს, სადაც ავტორი ასევე გვაწვდის ცნობებს ქართველებით დასახლებულ სხვა ადგილების შესახებ.

ირანში ქართული დასახლებების კვალის ძიებით დაინტერესებული იყო სახელგანთქმული ირანისტი **მაგალი თოდუა,** რომელმაც ვერ მოასწრო ბოლომდე მიჰყოლოდა დაწყებულ საქმეს და, როგორც წინამდებარე წიგნიდან ვგებულობთ, მას სხვადასხვა დროს ჰქონია ამობარათებული ცნობები ირანში მიმოფანტულ ქართველთა შესახებ, რომელიც წიგნის ავტორისთვის გადაუცია, რაც, შეიძლება ითქვას, ოსტატის მიერ შეგირდისადმი საქმის გადალოცვასაც ნიშნავდა. ასეთი სულ 24 ბარათია, რომელთა მონაცემებიც შეტანილი აქვს ავტორს წიგნში.

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ირანში დიპლომატიურ სარბიელზე და თუ როგორ გამოიყენა მან ეს დრო ამ მიმართულებით, კარგად ჩანს უხვ და სანდო წყაროებზე დაყრდნობით და მორგებული სათაურით გამოქვეყნებული მისი ამ წიგნიდან – „ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“.

ამ სახის დასახლებებიდან ერთ-ერთისადმი არის მიძღვნილი 2017 წელს **პაატა ჯაფარიძის** რედაქტორობით გამოქვეყნებული საინტერესო კოლექტიური ნაშრომი **(პაატა ჯაფარიძე, გრიგოლ ბერაძე, გიორგი გოცირიძე, თამარ დემეტრაშვილი, დავით შავიანიძე, ზვიად ცხვედიანი)** – *„მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება“.*

ნიკოლოზ ნახუცრიშვილის წიგნი, რომელიც მოიცავს მთელ ირანს, შედგება ოთხი თავისგან:

1. *გორჯ-ის (ქართველი, ქართული) შემცველი ტოპონიმები ირანში;*

2. *ისპაჰანის ოსთანი;*

3. *ირანის კასპიისპირეთის ქართული დასახლებანი;*

4. *ირანში მიმოფანტული ქართული დასახლებანი.*

პირველ თავში მოტანილია ცნობები სიტყვა **გორჯ**-ის შემცველი დასახლებების შესახებ დოქტორ **მოჰამად-ჰოსეინ ფაფოლი-იაზდის** – *„ქვეყნის დასახლებული პუნქტებისა და რელიგიური ადგილების ლექსიკონიდან“.* ესენია: **დეჰგორჯი, ყასემაბადე გორჯი, გორჯაი, გორჯან** (ორ სხვადასხვა ადგილას), **გორჯანსუ, გორჯექე, გორჯეფოშთ, გორჯემაჰალე, გორჯი** (ხუთ სხვადასხვა ადგილას), **გორჯიაბადე, გორჯიბაინ, გორჯიფოლ, გორჯიჩაღ, გორჯიხეილ, გორჯისარა, გორჯიქოლა, გორჯომაჰალე** (ორ სხვადასხვა) და **გორჯხან** (გვ. 10).

აქვეა ცნობები **აბას ჯაფარის** *„ირანის გეოგრაფიული ენციკლოპედიიდან“* ცხრა დასახლებული პუნქტის შესახებ, რომელთა სახელწოდება შეიცავს სიტყვას **გორჯ,** საიდანაც ოთხი: **გორჯაი, გორჯექე, გორჯიბაიან** და **გორჯილუ,** რაოდენობივად ზრდის ზემოჩამონათვალ დასახლებათა სიას.

სწორად შენიშნავს წიგნის ავტორი, რომ *„ირანის სხვადასხვა ოსთანში კიდევ უფრო მეტია იმ გეოგრაფიულ სახელთა რიცხვი, რომელთა სახელწოდება არ შეიცავს სიტყვას გორჯ, მაგრამ, სხვადასხვა მონაცემებით, იქ ბინადრობდნენ ან კვლავაც არიან ქართულენადაკარგული ირანელი ქართველები“* (*გვ. 12*).

ვფიქრობთ, ასეთი ადგილები ცალკე ყურადღების ღირსია.

ფერეიდანი ერთადერთი ადგილია ირანში ქართველებით დასახლებული, სადაც შემონახულია ქართული ენა. თუმცა, **აფუსის** სახით, გამონაკლისი აქაც არის. წიგნის მეორე თავიც სწორედ ამ გამონაკლისს ეძღვნება, რომელმაც 1996 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო.

იმის გამო, რომ აფუსელებმა მშობლიური ენა დაივიწყეს, ასე ვთქვათ, ფერეიდნელთა გაკილვის საგნადაც ქცეულან და მათ თავის მართლების რეჟიმში უწევთ ყოფნა. ისინი დღეს ცდილობენ შეისწავლონ მშობლიური ენა.

ამ თავში განხილულია ფერეიდუნშაჰრის მკვლევართა მოსაზრებანი აფუსის ენობრივი სიტუაციის შესახებ. მოტანილია ცნობები როგორც სამოყვარულო, ისე 2018 წელს გამოსული **ჰადი აფარიზადეს** დოკუმენტური ფილმიდან **„აფუსი“,** სადაც მრავალი საინტერესო ამბავია გადმოცემული მათი ყოფა-ცხოვრებიდან.

მოვიტანთ ერთ ამონარიდს ამ თავიდან, რომელიც განსაკუთრებით ეთნოგრაფებს დააინტერესებს. ეს არის ქალთა მმართველობის დღის, ანუ მოსავლის დღესასწაულის აღნიშვნა ამ დასახლებაში, რომელიც ტარდება ივნისის ბოლოს:

„გაზაფხულის ბოლოს ხვნა-თესვის სამუშაოები დასრულებულია და მიწათმოქმედები უკვე მოსავლის აღებას ელიან. დღესასწულის წინ სოფლის უხუცესები (მამაკაცებიც და ქალებიც) იკრიბებიან და განსაზღვრავენ დღესასწაულის ჩატარების დღეს. ქალების საბჭო დამოუკიდებლად არჩევს ღირსეულ, ავტორიტეტულ და პატივცემულ ქალბატონს, რომელიც იმ ერთ დღეს დასახლების მბრძანებელი (შაჰი, სულთანი) ხდება. ხდება სხვა დანიშვნებიც, კერძოდ, ირჩევენ მარჯვენა და მარცხენა ხელის ვეზირებს. იქმნება ქალთა ლაშქარი. ზოგი გუშაგია და აკონტროლებს სოფლის შემოსასვლელებს, რომ იმ დღეს კაცმა სოფელში არ შემობედოს. თუ რომელიმე ადგილობრივი ან უცხო მამაკაცი ამ დღეს შევა სოფელში, მას შეიპყრობენ და მიჰყავთ მბრძანებელთან, რომელიც ადგენს სასჯელის ზომას. შეიძლება დამნაშავე სცემონ, ვირზე შესვან და სოფლიდან გააძევონ. დასაშვებია ფულადი ჯარიმის დაწესება. ინფორმატორები იხსენებენ ერთ ამბავს: ქიშმიშითა და ხმელი ხილით მოვაჭრე ვინმე ნაჯაფაბადელი ამ დღეს შევიდა აფუსში. იგი დააპატიმრეს, საქონელი ჩამოართვეს და დღესასწაულს მოახმარეს, მაგრამ მერე, „შაჰის“ ბრძანებით, დაცარიელებული ხურჯინი იმავე მოცულობის ხორბლით აუვსეს და მშვიდობით გაუშვეს სოფლიდან“ (*გვ. 49*).

ამავე თავში წიგნის ავტორი გვიამბობს ისპაჰანის მხარის კიდევ ერთ ქართულენადაკარგულ ქალაქ **ბადრუდზე,** სადაც ის გაცნობია ქალაქის მკვიდრის, **ჯაჰანფურების** ოჯახს, რომელიც თავს **უნდილაძეთა** შთამომავლად თვლის. ამ ოჯახიდან რამდენიმე პირს, ამ საკითხთან დაკავშირებით, თანაავტორობით, გამოსაცემად მოუმზადებია 413 გვერდიანი წიგნი.

მესამე თავი ეხება ირანის კასპიისპირეთის ქართულ დასახლებებს, რომლის პირველ ქვეთავში მოტანილია ზემოხსენებული ყარამან კიკნაველიძის ცნობები ქართულ დასახლებათა შესახებ, რომლებთან ერთად, წიგნის ავტორს მოაქვს მონაცემები ირანის გეოგრაფიული ლექსიკონიდან და ინტერნეტრესურსებიდან, რაც კარგად ქმნის ამ დასახლებათა ცხოვრების დინამიკის სურათს XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

აქაურ მკვიდრებს მშობლიური ენა უკვე დავიწყებული ჰქონიათ.

ამის მერე ავტორი მიმოიხილავს მაგალი თოდუას მონაცემებს.

საინტერესოდ აღწერს ავტორი **მაზანდარანის** ქართველებით დასახლებულ ადგილთა მონახულებას, სადაც მისთვის შესაშური მეგზურობა გაუწევია ირანელი ქართველების ისტორიის კარგად მცოდნეს, **ჰასან ჯავანმარდ-გორჯის.** ამ თავში დახასიათებულია მაზანდარანის მხარის 32 სოფელი.

მეოთხე თავი ეძღვნება ირანის შემდეგ ადგილებში მიმოფანტულ ქართულ დასახლებებს, ესენია: **ლურისთანი, ქურთისთანი, ქერმანშაჰი, ჰამადანი, ხუზისტანი, ხორასანი, სემნანი, არდებილი, აღმოსავლეთ აზერბაიჯანი, დასავლეთ აზერბაიჯანი, თეირანი, ალბორზი, ფარსი, იაზდი** და **ქერმანი.**

ქართულენადაკარგულთა რაოდენობა უამრავია ირანში, რომელთა სატკივარს კარგად გვიხატავს ერთი ამონარიდი მათ მიერ წიგნის ავტორისადმი გამოგზავნილი წერილიდან: *„მთავარი მიზეზი, რამაც ეს წერილი დაგვაწერინა, გახლავთ ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებმაც, დროთა განმავლობაში, გამანადგურებელი გავლენა იქონია ქართული მოდგმის ენაზე, კულტურასა და იდენტობაზე იმდენად, რომ ქართველებით დასახლებულ ზოგიერთ რაიონში შენარჩუნებულია მხოლოდ მოგონება იქ ქართველ ემიგრანტთა ბინადრობის შესახებ...*

ტანჯულმა, მაგრამ კეთილშობილმა ქართველობამ საკუთარი სამშობლოსგან დაშორებისა და



ირანის ფადიშაჰების მიერ მათი სხვადასხვა ადგილას გაფანტვის გამო... დაკარგა თავისი კულტურა, ენა, ისტორიული იდენტობა და შეერწყა ახალი ადგილსამყოფლის კულტურასა და ენას.

ახლა, როდესაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, მოველით, რომ ქვეყნის ამჟამიდელი ხელისუფლება რაიმეს იღონებს ქართველი ერის სიამაყის შენარჩუნების, ირანის სხვადასხვა მხარეში მიმოფანტული ამ გამორჩეული მოდგმის დაკარგული იდენტობის შესაცნობად და შეიმუშავებს საგანგებო პროგრამას.

ერთი მომენტი იმსახურებს ყურადღებასა და კრიტიკას: ისპაჰანის ფარეიდუნშაჰრის რაიონში მცხოვრებ ქართველებს მონოპოლიურად მინიჭებული აქვთ „ქართველობა“, რის გამოც ირანის სხვა რაიონებში მცხოვრები ქართველები დავიწყებული არიან, ეს კი მთელ ირანში ქართველთა ერთიანობაზე ზეგავლენას ახდენს. ზემოხსენებული მიზეზების გამო, ახლა ძალიან ძნელია ძირძველი ქართველებით დასახლებული იმ რაიონების იდენტიფიცირება, სადაც უკვე აღარ ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ წარსულიდან დღემდე დარჩენილი მდიდარი კვალი ამ რაიონებში მათ [ქართველების] ბინადრობაზე მიუთითებს“ (*გვ. 121*).

ამ ვრცელი ამონარიდიდან ნათლად იკითხება, რომ ისინი, მოითხოვენ ქართულენაშენარჩუნებულებთან გათანაბრებას.

მეც მქონდა საშუალება, გამეცნო ერთ-ერთი ქართულენადაკარგული პირი 2012 წელს **საადისა** და **ჰაფზის** სამშობლოში, შირაზში, ფაჯრის (განთიადის) პოეზიის დიდ საერთაშორისო დღესასწაულზე, სადაც მომიწია სიტყვით გამოსვლა. დამთავრდა თუ არა საღამო, აღელვებული სახით ჩემთან მოიჭრა ერთი ჭაბუკი და მახარა: მე ვარ ქართველი, ალავერდი-ხანის მეცხრე თაობის შთამომავალი, **მოჰამად ჰოსეინ ებრაჰიმ შირაზელიო.**

გადავეხვიეთ ერთმანეთს. შენი ქართული გვარი თუ იცი-მეთქი? – არაო. მან ჩემგან გაიგო თავისი ქართული გვარი – **უნდილაძე.** დაიბნა, აღელდა... მერე ჩემს წიგნს რომ ვჩუქნიდი, შემაშველა: *„ბე ფესარე გორჯ“* (*„ქართველ ახალგაზრდას“*) წააწერეო. შემდეგ დაუმატა: ქართულადაც წააწერეო!

ამით იმის თქმა გვინდა, თუ როგორ შეიძლება შემთხვევით გადააწყდე ირანში ქართულენადაკარგულ ქართველს, რომელსაც გული მაინც ქართულად უძგერს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო ხანებში, ირანსა და საქართველოში აქტუალური გახდა ზოგადად, ირანელ ქართველთა თემა, მაგალითად: ირანში 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, ფერეიდუნშაჰრსა და ნაჯაფაბადში, ფერეიდნელი ქართველის დოქტორ **საიდ მულიანის** დიდი მცდელობით, ორჯერ ჩატარდა ირანელ ქართველთა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ირანის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული ქართულენადაკარგული ქართველებიც.

ასევე, საქართველოში 2014 წელს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოდან ირანში ქართველთა გადასახლების ოთხას წლისთავს. კონფერენცია არ იყო შემოფარგლული ფერეიდნის თემით, მაგალითად, ირანელმა მეცნიერმა **ამინ ყიზილბაშანმა** წაიკითხა ჩვენთვის სრულიად სიახლის შემცველი მოხსენება: *„ხუზისტანელი ქართველები (ისტორია, თანამედროვეობა)“.*

აღნიშნულმა მკვლევარმა ახლახან გამოაქვეყნა წიგნი *„ბარათაშვილთა გვარი ირანში“.* ამ სფეროში მას სხვა არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

ასევე ქართულენადაკარგულ მწერალ **ჰეიდარ გორჯის** კალამს ეკუთვნის *„ირანის ქართველების ისტორია“.*

უნდა აღინიშნოს რომ, ზოგადად, ირანელ ქართველთა თემის გააქტიურებას, არა აქვს მნიშვნელობა ისინი ფერეიდნელები იქნებიან თუ სხვანი, ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მერე, ირან-საქართველოს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობების დამყარებამ.

ირანის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკათა კატალოგებში, ცნობისმოყვარობის დაკმაყოფილების მიზნით, მიიქნია ხოლმე გურჯის შემცველი სახელები და წარმოუდგენლად მრავლად შემხვედრია ისინი, რომლებიც მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

წიგნს, რომლის გამოცემაც განხორციელებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ინტერნეტ-რესურსები, გეოგრაფიულ სახელთა ინდექსი და ფოტოები.

იმედია, ნიკო ნახუცრიშვილი კვლავაც წარმატებით გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას, რაშიც მას, ცოდნასთან ერთად, დიდ სამსახურს გაუწევს ის რესურსები, რაც გააჩნია ირანელ ქართველებთან თუ, საერთოდ, ირანელებთან წლობით დაგროვილი თბილი ურთიერთობების სახით.

ხაქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ხაკითხებისთვის XIV ხაუკუნის 80-90-იან წლებში

←

ჯვიათ (მამისთვალიშვილი, 1971:121).

სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, ძნელია იმის მტკიცება, მართლა მონაწილეობდა თუ არა ედიგეი ხანი არაქსზე ლაშქრობაში, მაგრამ ერთის გადაჭრით თქმა შეიძლება, რომ გიორგი VII-ის ლაშქარში დარიალიდან გამოყვანილი „სრულად კავკასნი“ იღებდნენ მონაწილეობას ნახჭევანის ლაშქრობაში, რასაც შემდეგში კალმარინზე გალაშქრება უნდა მოჰყოლოდა. რამდენადაც ჩრდილო კავკასია ოქროს ურდოს შემადგენლობაში შედიოდა, ეს ყველაფერი ოქროს ურდოს ხანთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. თემურ-ლენგთან დაპირისპირებაში მყოფი ედიგეი ხანისთვის ეს აქტი მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო. ხოლო ის ფაქტი, რომ თითქოს ედიგეი ხანიც იღებდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობას, ეს უფრო მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებისთვის უნდა ყოფილიყო გათვლილი.

ამგვარად, საკითხის ირგვლივ არსებული ქართული, უცხოური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობა XIV საუკუნის 80-90-იან წლებში თოხთამიშის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც გრძელდებოდა. ასევე დგინდება ესპანელი მოგზაურის **რუი გონსალეს დე კლავიხოს** ჭეშმარიტება, რომ ქალაქ კალმარუნზე (სურმარი) ლაშქრობა მოხდა 1396 წელს. მაგრამ, ჩვენი აზრით, არა თოხთამიშისა ან ედიგეის მიერ, არამედ ქართველი მეფის გიორგი VII-ის მიერ, რომლის ლაშქარში ოქროს ურდოს ჯარიც ერია. ამასთანავე, გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება, თითქოს XIV საუკუნის 80-იან წლებში შირვანზე და დერბენტის გადმოსასვლელებზე კონტროლი საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა დაწესებული, რეალობას არ შეესაბამება და გადასინჯვას საჭიროებს.

რომან გოგოლაური,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პროფესორი

P.S. *წინამდებარე ნაშრომში საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობებში არსებული ბოლო დრომდე ბუნდოვნად მიჩნეული ან ნაკლებად იდენტიფიცირებული ფაქტების და მასში არსებული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს.*

საკითხის ირგვლივ არსებული ქართული, უცხოური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობა XIV ს-ის 80-90-იან წლებში თოხთამიშის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც გრძელდებოდა. ასევე დგინდება ესპანელი მოგზაურის რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობების ჭეშმარიტება, რომ ქალაქ კალმარუნზე (სურმარი) ლაშქრობა მოხდა 1396წ. არა თოხთამიშისა ან ედიგეი ხანის მიერ, არამედ ქართველი მეფის გიორგი VII-ის მიერ, რომლის ლაშქარში ოქროს ურდოს ჯარიც ერია.

მურმან თავდიშვილი

ოძრხე
(ოძრისხევიდან ოზურგეთამდე)

სამხრეთ საქართველოს რეგიონებიდან ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა სამცხე-საათაბაგო. მესხეთის ამ კუთხეს საათაბაგოს იმად უწოდებდნენ, რომ ***აქ იჯდა ერისთავი*** *[ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 110.]*, რომელსაც ჰქონდა პატივი, აღეზარდა უფლისწული, ქვეყნის მომავალი პატრონი *[იქვე, გვ. 658-59.]*. უცხო სიტყვა **„ათა“** მამას, აღმზრდელსა ნიშნავს; **„ბეგი“** – უფროსს, ბატონს.

სამცხის დედაქალაქი გახლდათ **ო ძ რ ხ ე**. როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ, ***ოძრხის მიმდებარე ტერიტორიები მცხეთოსის შვილსა რგებია წილად, ხოლო ფარნავაზს აქ დაუსვამს პირველი ერისთავი*** *[იქვე, გვ. 57; აგრეთვე 664, 651]*.

ისტორიულ დოკუმენტებში არა ჩანს, ოღონდ ტოპონიმის დადგინების ისტორიული პროცესის წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. აღნიშნულ ქალაქთან ახლოს ჩამოდის პატარა მდინარე, რომელსაც უხსოვარ დროში უნდა რქმეოდა **ო ძ რ ე**. ჰიდრონიმში გამოიყოფა აფიქსები და ძირი: **ო-ძრ-ე**. აქ მეგრულ-კოლხური „ო“ იგივეა, რაიც ქართული „სა“, ხოლო ბოლოსართი „ე“ კი ორივე ქართველურ ენაში ერთნაირია. მაშასადამე, **სა-ე** დანიშნულების მაწარმოებლებია: ძირად გვრჩება „**ძრ**“. ეს ცნობილი შინაარსმატარებელი კომპლექსია. ის აღნიშნავდა და ახლაც აღნიშნავს მოძრაობას, ძვრას, გადაადგილებას, სვლას, სრბოლას, მდინარებას; გვხვდება სიტყვებში: ძრ-ვა, მო-ძრაობა, და-ძრ-ვა და ა.შ. ძირი გახმოვანებული სახით ასე წარმოგვიდგება: ძარ. მაგალითად, და-ვი-ძარ. მაშასადამე, ძარ→ძრ.

უნდა ვივარაუდოთ: უძველეს დროში კოლხური ენების ზეგავლენა მთელ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე ვრცელდებოდა და ჰიდრონიმი სტრუქტურულად მეგრულს უნდა დაუკავშირდეს. ამ ტიპის წარმოება ამ ენაში ჩვეულებრივია: ო-ხორ-ე; ო-ჩორჩხ-ე და სხვ. საგულისხმოა, რომ გურიაში, რომელიც კოლხეთის „გური“, ანუ გული, გახლავთ, დღესაც ხმარობენ სიტყვებს: ო-ჭვათ-ო, ო-ჩორჩხ-ე და სხვ. მეგრული „ჭვათ“ იგივეა, რაც ქართული „წვეთი“; ოჭვათო ჰქვია მხოლოდ იმ წვეთებს, რომლებიც სახურავიდან, კრამიტის ღარიდან, ჩამოდის; სოფელ ძიმითში ერთ ღელეს ჰქვია ო-ჩორჩხ-ა. ესეც, ეჭვი არაა, მომდინარეობს ფორმიდან ო-ჩორჩხ-ე, ე.ი. სათევზე მდინარე.

სწორედ ამ კონსტრუქციისაა სამცხურ-მესხური ჰიდრონიმი **ო-ძრ-ე,** ანუ მოძრავი, სამოძრაო, დაუდეგარი მდინარე.

უძველეს დროში ჰიდრონიმებს ქართველნი გამოხატავდნენ ორი სიტყვით. პირველი კონკრეტულ სახელს წარმოადგენდა, მეორე – ზოგადად მდინარეს, ოღონდ მდინარის სახელი გახლდათ **ხევი.** ასე მივიღეთ შემდეგი ჰიდრონიმები: კისის-ხევი, ქვათა-ხევი, ცხენის-ხევი, ბახვის-ხევი და სხვ. მაშასადამე, ხევი ნიშნავდა წყალს, მდინარეს; შუა საუკუნეებში **ხევი** თანდათან განიდევნა და იგი შეცვალა სიტყვამ **წყალი**. ასე შეიქმნა ცნობილი ჰიდრონიმები: ცხენის-წყალი, ბახვის-წყალი, ბჟუჟის-წყალი... ეს ვითარება კარგად არის დაფიქსირებული „ვეფხისტყაოსანში“. აქ ძალიან ბევრჯერ წყალი სწორედ მდინარეს გულისხმობს: „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი **წყლისა** პირსა“ [რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 26.]. კიდევ რამდენიმე მაგალითი: „მინდორსა იქით **წყალი** დის“ (78,2); „მის მთისა ძირსა **წყალი** დის“ (184,3); „გავლო **წყალი** და ტყენია“ (193,1); „რა **წყალი** ნახის, გარდახდის“ (840,2) და ა.შ. [ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შეადგინა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1956, გვ. 39.].

ამრიგად, ცხენის-წყალი, ბახვის-წყალი, ბჟუჟის-წყალი მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: ცხენის-მდინარე, ბახვის-მდინარე, ბჟუჟის-მდინარე.

დაბოლოს, დღეს უკვე კონკრეტულ სახელებს წინ ან უკან (უფრორე წინ) ერთვის არა ხევი ან წყალი, არამედ თანამედროვე სიტყვა – მდინარე. მაგალითად, მდინარე იორი, მდინარე ალაზანი და ა.შ.

მაშ, ასე:

ისტორიული პროცესი ამგვარად გვესახება: **ხევი, წყალი, მდინარე.**

ახლა კი ისა ვნახოთ, თუ რა დაემართა სამცხის პატარა მდინარეს, რომელსაც ეწოდება ოძხე. ძველი ქართული წესისამებრ, მას დაემატა ტერმინი ხევი, ასე მივიღეთ ცნობილი სტრუქტურა: **ოძრის-ხევი**, შეადარეთ: **კისის-ხევი, ქვათა-ხევი...**

სხვათა შორის, სამსჯელო რეგიონში ამგვარი წარმოება ფრიად და ფრიად გავრცელებული ყოფილა. ეს მდინარეებია: ქუაბის-ხევი; ბობნავის-ხევი; სლესის-ხევი; ღოგად-ხევი; თიხრევის-ხევი; ყინცვისის-ხევი; ზიკილიის-ხევი; ბორჯომის-ხევი; ლიკანის-ხევი და სხვ. [ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 662-663.].

აქვე შევნიშნავთ: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი „ს“ სიტყვის გაკომპოზიტივების ვითარებაში იკარგვის. ეს მოვლენა განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული კახურ მეტყველებაში, მაგრამ არც სხვა დიალექტებისათვის არის უცხო. ამ მხრივ საყურადღებოა ქართული გვარები: **ცქიტიშვილი** მიღებულია ფორმისგან ცქიტის-შვილი; **მჭედლიშვილი – მჭედლის-შვილისაგან** და ა.შ.

მსგავსმა ფონეტიკურმა მოვლენამ შეაპირობა, რომ კონსტრუქცია **ოძრის-ხევი** მალევე გადაიქცა ბგერათკომპლექსად **ოძრი-ხევი;** მომდევნო ეტაპზე შეიკვეცა რთული სიტყვის მეორე კომპონენტიც და მივიღეთ ფორმა ოძრი-ხე. საყურადღებოა, რომ ეგ შუალა კონსტრუქცია დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში [არჩილ ბაგრატიონი, თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება, ქართული მწერლობა, 6, ნაკადული, თბილისი, 1989, გვ. 521].

ცნობილი ამბავია: ტოპონიმი, ჩვეულებრივ, იკუმშება, კარგავს ცალკეულ ბგერებს და მარტივდება. მაგალითად, იყო **მარტო-მყოფი** და გახდა მარტყოფი; იყო **ზედა ზადენი** და გახდა **ზედაზენი.**

აღნიშნული ფონეტიკური ინერცია შეეხო ფორმასაც **ოძრიხე** და მოგვცა მოსალოდნელი კომპლექსი – **ოძრხე.**

ესაა საყრდენი ფორმა, რომელიც სიტყვის წარსულსაც გვიშუქებს და მომავალსაც.

ამრიგად, მთელი რიგი ფონეტიკური პროცესების გამოისობით ხელთა შეგვრჩა სამცხის დედაქალაქის ცნობილი სახელწოდება **ოძრხე**, ოღონდ აქ საქმე გაგვირთულდა!

ცნობილი ამბავია: ქართულ ენას არ უყვარს რამდენიმე თანხმოვნის ერთად დაჯრა. მაგალითად, თუ სომხისათვის ჩვეულებრივია გვარი მკრტჩიანი, სადაც ზედიზედ **5** თანხმოვანია წარმოსათქმელი, ქართველი ცდილობს მის გახმოვანებას და ამბობს ასე – მიკირტიჩიანი. ესე იგი, სიტყვას ახმოვანებს „ი“ ფონემით. სამცხის დედაქალაქის სახელწოდებაშიც თავი მოიყარა სამმა ურთულესმა თანხმოვანმა: **ძრხ.** ქართული მეტყველების ეს დიდი პრობლემა ენას ფონეტიკური გარდაქმნების გზით უნდა დაეძლია და დაძლია კიდევაც. აღნიშნულის გამოისობით ფორმა **ოძრხე** ორი მიმართულებით განვითარდა. ეს გახლავთ „ა“ და „ბ“ მიმართულება.

ა) უწინარეს ყოვლისა, დაიკარგა „რ“ ბგერა და ვითარება ოდნავ შემსუბუქდა – ოძხე, ოღონდ ენამ საკმარისად ვერც ეს შედეგი მიიჩნია და უფრო შორს წავიდა - „ძ“ აფრიკატი უფრო მსუბუქი რთული თანხმოვნით შეცვალა. ასე მივიღეთ ოცხე. აქ თავისი როლი შეასრულა სხვა გარემოებამაც. ცნობილია, რომ ქართული ჰარმონიული კომპლექსები არ იცნობს კონსტრუქციას „ძხ“, ხოლო „ცხ“ სწორედ ასეთად არის ცნობილი. მაშასადამე, ენის ბუნებრივი მისწრაფებაა „ძხ“ შეცვალოს ბგერათკომპლექსით „ცხ“.

მაშასადამე, მიუღებელი კომპლექსი „ძხ“ ენამ შეცვალა მისთვის ბუნებრივი და მისაღები ჰარმონიული კომპლექსით „ცხ“.

ფორმა ოცხე (შევიხსენოთ გვარი ოცხელი!) მოგვიანებით საფუძვლად დაედო მთელი რეგიონის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რაიონის, სახელდებას. ფორმას **ოცხე** დაერთო დანიშნულების მაწარმოებლები სა-ე და ასე მივიღეთ ახალი ტერმინი: სა-ოცხ-ე→სა-ვცხ-ე→სამცხე.

„ვ“ ბგერის „მ“ ბგერად გადაქცევა ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა. შევიხსენოთ: რა-ოდენი-მ ე→რა-ვდენი-მე→რამდენიმე.

ამრიგად, ოძრხე ფორმის ერთი – (ა) მიმართულებით განვითარებამ მიგვიყვანა ორი ახალი ტერმინის გაჩენამდე. ესენია: **ოცხე** და **სამცხ**ე. საგულისხმოა: ძველი **ოძრის ხევი** მოგვიანებით, მაშინ, როდესაც ოძრხე იქცა ოცხე ფორმად, გახდა **ოცხის წყალი,** როგორც ეს მოსალოდნელი იყო [ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 664.].

მაშ, ასე:

ერთის მხრივ, ოძრხე-ოცხე-სამცხე, ხოლო, მეორეს მხრივ, ოძრის ხევი → ოძრხე → ოცხე → ოცხის წყალი.

ბ) არანაკლებ საინტერესო გამოდგა საძიებელი ფორმის განვითარების მეორე მიმართულება. **ოძრხე** აქ სულ სხვა ცნება-ტერმინს უდებს სათავეს.

ცნობილი ფაქტია:

ბუნებაში არსებობს არაერთი ქიმიური ელემენტი, რომლებიც მარადიულად იარსებებს და არ დაიშლება, თუ წყალი არ დაესხურა. წყალთან რეაქციის შედეგად კი მყისვე იშლება შემადგენელ ნაწილებად (მაგალითად, მარგანეცის კალიუმი).

სწორედ ასეთსავე ბუნებას ავლენს ქართულში აფრიკატი „ძ“. თუ მას წყლის მსგავსად „დაესხურა“ რომელიმე ხმოვანი, მაშინ ის იშლება შემადგენელ ელემენტებად; თუ ხმოვნის მეზობლად არ აღმოჩნდა, იარსებებს ხელშეუხებლად; მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ენას უჭირს „ძრხ“ (ოძრხ-ე) თანხმოვნების მიჯრით წარმოთქმა, იძულებული შეიქმნა, გამოეყენებინა რთული ძირის „ძრხ“ წარმოთქმის გამაადვილებელი „წყალი“, ანუ ხმოვანი. ერთ შემთხვევაში ეს ხმოვანი გამოდგა „უ“. ასე მივიღეთ ფორმა **ოზურხე**. როგორც ითქვა, „უ“ ხმოვანი აქ ასრულებს იმ წყლის როლს, რომელსაც ქიმიური ელემენტის დაშლა ძალუძს. ასე რომ, „უ“ ხმოვანმა გამოიწვია „ძ“ აფრიკატის შემადგენელ ელემენტებად დაშლა: **ოძურხე-ოდზურხე.** ასე მივიღეთ შუალედური ფორმა **ოდზურხე.** შემდეგ „დ“ ბგერა დაიკარგა და ხელთ შეგვრჩა ძალიან საინტერესო ფორმა **ოზურხე.** ეს გამაოგნებლად საკვირველი შუალედური კომპლექსი **ოზურხე** კიდევაც არის დაფიქსირებული ჩვენს კლასიკურ ლიტერატურაში ტოპონიმის, ქალაქის, აღმნიშვნელად. თავის ცნობილ პოემაში „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“ არჩილ ბაგრატიონი აღწერს ისტორიულ ფაქტს, როცა თამარ მეფის წინააღმდეგ ამბოხებულმა დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა გადაწვეს ათაბაგთა რეზიდენცია **ოძრხე,** რაკიღა ათაბაგი თამარს ვერ უღალატებდა. ეს ფაქტი ისტორიკოსებსაც დაუფიქსირებიათ. მათ გადამწვარ ქალაქად წარმოგვიჩინეს სწორედ **ოძრხე;** მაგრამ გამაოგნებლად საყურადღებო ისაა, რომ არჩილ მეფე ამ ტოპონიმს ასე მოიხსენიებს – **ოზურხე.** აი, მისი ტაეპი:

დასწვეს ქალაქი ოზურხე,
გიჟისა სთქვეს: „დააბი ეს!“

[არჩილ ბაგრატიონი, გაბაასება, ქართული მწერლობა, 6, გვ. 489.]

ამრიგად, ისტორიკოსები რომ **ოძრხე** ქალაქს ასახელებენ, არჩილი მიუთითებს დასახლებაზე **ოზურხე.**

გასაგებია: არჩილი ამ ფორმას თვითონ არ მოიგონებდა. მაშასადამე, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამგვარი დასახელების ტოპონიმი არსებულა, ანუ სამცხის დედაქალაქს ძველ სახელთან ერთად ამ სახელის მომდევნო, განვითარებული, სახელიცა ჰქონია. ეს ფორმა ასრულებს ალექსანდრიის შუქურის როლს: გვიჩვენებს, რომ აქედან მომდინარეობს სხვა ტოპონიმის ფორმაც. ეს გახლავთ **ოზურგეთი.**

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ განვითარდა „ოზურხე“ და მოგვცა „ოზურგეთი“.

ფორმის ფონეტიკური განვითარების პირველ ეტაპზე მივიღეთ ოზურხეთი:

ოზურხე-ეთ-ი→ოზურხეთი; მეორე ეტაპზე „ხ“ ბგერა შეიცვალა ქართული ენისათვის უფრო ჩვეული ბგერით „გ“, ამგვარად: ოზურხეთი→ოზურგეთი.

ცნობილია: ქართულ ბგერათა სისტემას მოეპოვება წარმოქმნის ადგილისდა მიხედვით შედგენილი ტრიადები, სამეულები: ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ... ამასთანავე, აღსანიშნავია: ქართული გ-ქ-კ სამეულის წევრები ხშირად ცვლიან უცხოური წარმოშობის სიტყვებში არსებულ „ხ“ ფონემას. მაგალითად, ესპანურად მამაკაცსა ჰქვია **ხორხე.** აქ ორი ცენტრალური ბგერაა ორი „ხ“. ქართულში ორივეს ენაცვლება „გ“ – **გიორგი;** უცხოური (თურქულენოვანი) სიტყვაა **ხალიკი.** აქ ცენტრალური ბგერაა „კ“. აზერბაიჯანულსა და ქართულში ენაცვლება „ხ“ და შესაბამისად გვაქვს „ხალხ“ და „ხალხი“; თურქული „იოკ“ აზერბაიჯანულად ასე ისმის: „იოხ“; სპარსელ მამაკაცსა ჰქვია „ვამიკ“, ხოლო აზერბაიჯანულად და ქართულად - „ვამეხ“; ერთ ადგილს რუსეთში ჰქვია „იაკუტია“, ცენტრალური ბგერაა „კ“. ქართულად ვიტყვით: „იაგუნდი“. აქ „კ“ ბგერას შეენაცვლა „გ“ ერთეული; რუსები ამ ძვირფას ქვას ასე უწოდებენ - „იახონტ“, სადაც „გ“ ქართულ ბგერას ენაცვლება „ხ“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ასე რომ, **ოზურხეთი** იოლად გახდებოდა ქართულისათვის უფრო ბუნებრივი კომპლექსი **ოზურგეთი.**

ბევრი მეცნიერი ფიქრობდა, რომ გურულები მესხეთიდან არიან გადმოსული, რომ დადინმა მათ კოლხეთის გული (მეგრულად „გური“) დაუთმო და იქ დაასახლაო.

ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, ეს მართლაც ასე ჩანს.

ირკვევა, რომ სამცხიდან გადმოსახლებულმა მესხებმა გურიის ტერიტორია აითვისეს, ხოლო, როგორც ხშირად მომხდარა ისტორიაში, არც ნინაპართა სამშობლო და მისი დედაქალაქი დაივიწყეს და ახალ ადგილას დააარსეს ახალი დედაქალაქი **ოძრხე-ოზურხე-ოზურხეთი-ოზურგეთი.** ამ დროს, როგორცა ჩანს, ისტორიული ფონეტიკური პროცესის შედეგად ფორმა **ოზურხეთი-ოზურგეთი** ჩამოყალიბებული ყოფილა. ამიტომაც დაერქვა გურულთა დედაქალაქს **ოზურგეთი.**

ამრიგად, ირკვევა სრულიად განსაცვიფრებელი ამბავი: **ოძრხე** ფორმამ, ერთის მხრივ, მოგვცა **სამცხე,** ხოლო, მეორე მხრივ, – **ოზურგეთი.**

ჩემი თავგადასავალი

(დასაწყ. იხ. წინა ნომერში)

ერთ დღეს შემოვიდნენ მეზობელ სოფლიდგან ორი მეგობარი კაცი, სოფელ ბეჟანოდგან, სომხები, კაროი და ქოქორაი. – გამარჯობათ, – გაგიმარჯოთ! – უთხარით ჩვენ. ამ კაცებმა მიიხედ-მოიხედეს. დიდი ბოსელია. ერთ გვერდზე აბია ოცდახუთი საქონელი, მეორე გვერდზე – ასი სული ცხვარი. ამათ თქვეს: – რა კარგად დაბრუნებულხართ. ცხვარი, საქონელი, სულ მოგირეკნიათ. ჩვენ უთხარით: – ჩვენ კარგ ადგილზე ვიყავით, პირველში საკოჩავის სტანციაზე ვიდექით. მუშის სახლებში დავხედეთ, საბალახე არ ვარგოდა, ჭყანყი ადგილი იყო და შემდეგში გადავედით თორში. იქ კარგი საბალახე იყო. კარგად გვყავდა ცხვარი და ძროხა. ჩვენ უთხარით: – შენ სად იყავიო. – კაი, ბიძია. მე გუჯარეთისკენ, ოსებში ვიყავი. რაც მყავდა და მქონდა სულ ოსებმა მომპარეს და ცარიელი წამოვედი. ჩვენ გაგვეცინა და ჩემმა ძმამ კიმოთემ უთხრა: არა უშავს რა, ბებერი კაცი ხარ, ვითომც სუფსარქისისთვის შეგიწირია. კარომ თქვა: – მეც აგრე ვფიქრობო. კიმოთემ უთხრა: – კარო ბიძია, როდის არის თქვენი ხიდრიელა, სუფსარქისმა ცხენი არნა აჭენოს. – ეხლა მალე იქნება სუფსარქისის ცხენის ჭენება, ქართველები უფრთხილდით, ბუქმა არ დაგახრჩოთ. ეხლა ხიდრიელა თქვენთვის მოდის, ძალიან სიფრთხილე გმართებთ. კიდევ გავიცინეთ, უთხარით: – არა კარო ბიძია, ხიდრიელა ქართველებს არაფერს ერჩის, სომხებს ახრჩობსო. ზოგი გითხარით, ამ ერთ კვირაში ქართველებს როგორი ხიდრიელა შეუდგებათ, ერთი ჯამი მარილი მომეკითო. მარილი მივეცით და წვიდნენ. ერთი კვირის შემდეგ ვნახოთ ახალქალაქის მილიცია ამოვიდა ჩვენს სოფელში. დაგვიძახეს: – აბა, ჩვენ გავრბივართ საქართველოში, თათარი მოდის, ჭაღსუიზე ჩვენი მენშევიკების ჯარი იდგა, თათრებსა და იმათ შეტაკება მოუხდათ. ჩვენ ჯარს აჯობეს თათრებმა, ბორჯომამდის არბევინეს, ეხლა ახალციხეში თათრის ჯარი დგას, აწყვერშიც. ჩვენი ჯარის მცირე ნაწილი ახალქალაქში დგას, ისინიც ბაღდანოვკაში წავიდნენ. მანდ თავი ვერ შეიმაგრეს, სომხებიც თათრებს ემხრობიან. ბიჭო, მაშინ ვთქვით, კაროს სცოდნია, იმიტომ ისე გველაპარაკა. მილიციები წავიდნენ ტაბაწყურში. რომ აიარეს ტაბაწყური, ეჩხუბა მილიციებს, იარაღი ნუ მიგაქვთ, ჩვენ ჩაგაბარეთო. რამდენიმე მილიციას თავი გაუტეხეს, იარაღი მაინც არ ჩააბარეს. მთაში გზა არ იყო, ცხენები ვერ წაიყვანეს, მანდ დატოვეს და ტაბაწყურელებს უთხრეს – თუ დავბრუნდით, ცხენებს წავიყვანთ, თუ არა, თქვენი საჩუქარი იყვესო. ამ საწყალმა ბალანთამ რაღა ქნას, ატირდა დიდი-პატარა, თათრები მოდიან, სულ დაგვხოცავენ, მთაში გზა არ არის, საით წავასხათ საქონელი, საქონელი დავტოვოთ, ჩვენ გავიქცეთ, ესეც არ იქნებაო. ბოლოს, რაც ჯეილები და გოგოები, ჯეილი ქალები იყვნენ, სულ გაიქცნენ. მე ჩვენს კიმოთეს ვუთხარი – შენ დარჩი, მე წავალ, პირი უსინჯე. მითხრა, – სანამ შენ მოდეგას ახვიდე, მე მთას გადავივლი, მაშ ამ საქონელს რა უყოთ, სავსემ დავანებოთ თავი და სულ ყველა წავიდეთ. მაშინ ვუთხარი: – შენ სულ ახალი ლოგინი გაქვს, თან წაიღე, თორემ თათრები წაიღებენ. – არ მინდა არაფერი, ოღონდ თავი გადავირჩინოთო. – მაშ წაიყვანე ირონდინაი, მარიაი და წადით. ირონდიას ვუთხარი: – შენ მაინც დარჩი, ჩემთან ამოდენა ცხვარ-საქონელს მოვლა არ უნდა? მითხრა, – გამიშვი, წავიდე, რად გინდა ჩემი საცოდაობა? მაშინ ვუთხარი, – სულ ყველა წადით. წავიდნენ. დავრჩი მარტო. ჩვენმა ლუკაანთ გიო ზარიძემ, თედო პავლეს-ძე მელიქიძემ, დატოვეს უპატრონოდ სახლი. საქონელი გაიქცა. ბევრი ეგრე ჯეილები სულ გაიქცნენ. დარჩნენ ბებრები. მინუტი მინუტს მოველოდით თათრების შემოსევას. გავიდა სამი დღე. ვნახოთ, დაღამებისას, აგანის გზიდგან, გადმოიწკიპნენ შავი თათრები, სამოცამდის კაცი რომ დავინახეთ, ხალხს შიშის ზარი დაეცა თავზე. დაუწყეთ ყურება. ისინი შემოვიდნენ, ბეჟანოს ბოლოზე სანალბანდოსთან დადგნენ. ჩამოეგებნენ ბეჟანოს ხალხი, მიემშვიდობნენ თათრებს. თათრებმა ჰკითხეს, ზევით რა სოფელიაო? უთხრეს, – ბალანთააო. ის, ის, რაღა სოფელი არისო. – ჭიხარულაო! ჭიხარულაში ქართველები არიანო? სომხებმა მიუგეს, – ნახევარი ქართველიაო. რომელ სოფელში უფრო ფინთი ხალხიაო? – ჭიხარულაშიო! – მაშ, ამაღამ, ჭიხარულაში წავალთო! წავიდნენ ჭიხარულაში. ქართველები ორი-სამი კომლი იყო, ორი ძმანი იყვნენ, სიდო და ზაქარია ბერიძეები. იმ ღამეს დიდი წვალება გამოატარეს, ბეჟანოელებმა უჩივლეს, თათრებთან ზაქარას შვილები ყაჩაღად დადიოდნენ, სომხებს ცარცავდნენო. ზაქარაი ძალიან ბევრი სცემეს, თოფი პირში ჩაუდეს, კბილები მოუჭირე, პირში უნდა ჩაგახალოთო. სიდოსაც წვერში ცეცხლი მისცეს. წვერ-ულვაში სულ დაუწვეს, ბევრი აწამეს. თათრებმა გადაათვალიერეს, ღარიბი ხალხია, არაფერი ქონდათ. დილა გათენდა თუ არა, მე მაშინვე ბალანთისკენ გამოვწიე. ხევის წყალზე რომ მოვიდნენ, ჩვენმა ზნიანმა ხალხმა პურ-მარილი გადააგებეს. მათმა უფროსმა ასათ მოლა ოღლმა მიიღო პურ-მარილი, გასტეხა პური, დააწო მარილზე და შეჭამა. პურ-მარილის გადამგებებლები იყვნენ ილიკო, ალექსი, გიორგი, ევგენი მელიქიძეები, პეტრე, ლავრენტი, ლექსო ზედგინიძეები, ლუკა, ლექსო, სერგო გოგალაძეები, ანდრო, ბაგრატ მაღრაძეები. ამათ დარიგება მისცა ასათ მოლა ოღლმა, ისეთ სახლში მიგვიყვანეთ, ქალები არ იყვნენ. ჩვენებმა იფიქრეს, ასეთი სახლი სიკოსია, კარგი დიდი სახლია. პირდაპირ გამოუძღვნენ. მოყავთ ჩვენსა. მეც სალდათური ტანისამოსში გამოწყობილი ვდგევარ, კარებზე ვსეირნობ. თათრებმა გამომიარეს გვერდზე, შენ მელიციონი ხარო? მე ვუთხარი, – არა ვარ! მეც ოჯახში ჩვეულებრივ გაშლილი მქონდა ყველაფერი, ესენი რომ სულ ყველანი შევიდნენ სახლში, მეც შევყევი. ვნახე, რომ სახლი გაუცარცავთ – დანა, მაკრატელი, სავარცხელი, ჩოთქი. შკაფი დაკეტილი იყო, კლიტე მოუწევიათ, მოუმტვრევიათ. შიგ ხილი, ტყლაპები იყო. დამსხდარან, გადაუფენიათ მუხლებზე, ჭამენ. ეს რომ დავინახე, არ მიამა, ვთქვი, – ეხლა მივარდე, თოფი ავტაცო, ესენი რამდენიმე დავხოცო, მაგრამ, მოთმინებას მივეცი თავი. ვნახოთ, ბოლო სად გავა-მეთქი. ჩვენებმა მოიყარეს თავი, პავლე ელიოზოვისგან იყიდეს ერთი ცხვარი. იძრო ერთმა თათარმა ხანჯალი, – მისმილ! – დაიძახა და გამოსჭრა ყელი. დაჭრეს, ჩაყარეს ქვაბში, ყაურმა გააკეთეს. ერთი მურტალი თათარი მოვიდა, – ბიძა, ფული თუ გაქვს, მე მომეცი, სხვები წაგართმევენო. უთხარი, – არა მაქვს-მეთქი ფინთ თვალზე შემომხედა. მე ვთქვი კარგი კაცი კაცს არ მოკლავს ესეთი მურტალი მალე გაიმეტავს კაცსა. ცოტა ხნის შემდეგ ერთმა მაღალმა კაცმა მითხრა ფული არა გაქვს მაქვს მეთქი. აბა, ვნახო, ამოვიღე პორტმანი, ნიკოლოზის ოთხი მანათი იყო. გახსნა, ნახა, ისევ მოკეცა და მომცა. თათრები გარს შემომერტყნენ, მეკითხებოდნენ, კარგი ცხენი ვის ყავსო. მეც ვეუბნებოდი, ჯარიდგან ახლა ჩამოვედი და არ ვიცი-მეთქი. პური რომ ჭამეს, წყალი მოსწყურდათ. მითხრეს, – ოჯახის პატრონი შენ ხარ, წყალი დაგვალევინეო. ერთი კარგი სპილენძის თუნგი მქონდა, იმით შემოუტანე წყალი. ბეჟანოდგან რამდენიმე კაცი იყო ამოსული, ვითომ თათრებისთვის უნდა ეთქვათ, ბალანთელები კარგი ხალხი არიან და არაფერი აწყენინოთო. ის კი არა, ისინი უფრო აბეზღავდნენ. ამათში ერთი ეღოი იყო, მგონია, თათრები რომ წყალს სვავდნენ, თურმის, ერთ თათარს ფული მისცა, ეგ თუნგი მოიპარე და მომეციო. ასათ მოლა ოღლმა მითხრა, – სიმონ, წერვა იციო? – ვიცი-მეთქი. – ერთი პრიკაზი დამიწერე, ჭიხარულას ბერიძე ზაქარაი და სიდოი აქ გავიდნენო. როცა ვწერდი, თუნგი გვერდზე მედგა. დავწერე, გავათავე. მივიხედე გვერდზე, თუნგი აეღოთ, ეღოსთვის მიეცათ. ეღოსაც წაეღო, გოგალაძე სერგოსთან შეენახათ. ასათას ვუთხარი – თუნგი მომტაცეს-მეთქი. ძალიან გაუჯავრდა. რა ქნას, კაცი ჩავარდნილა. ხედავთ, როგორი ქართველი ბიჭია, ძალაზე მოვიდეს, თქვენნაირს ხუთს აჯობებს. ასათამ დაიძახა, – კამისარი ვინ არისო. გოგალაძე ლექსომ უთხრა: – მე ვარო! მაშ, წადი, სოფელს შემოუარე, ფული მოკრიფე. ლექსო წავიდა. ამ დროზე ერთი თათარი მოვიდა ჩემთან, მითხრა, – ერთი წყვილი წინდა მომიტანე, შენ აღარაფერი დაგიშავდებაო. მე ოსმალოს თათარი ვარო. ცალი ლოყა წითელი ჰქონდა, ცალი – შავი. ოსმალურათაც ლაპარაკობდა. წაველი სიდედრთან, – დედა, ერთი წყვილი წინდა მომეცი, თათარს უნდა მივცე. საწყალი დაფაცურდა, ვერსად იშოვა, ფილოს გახადა ფეხიდგან. მოვიტანე, თათარს მივეცი, ძალიან მადლობელი დამრჩა, მითხრა – ეხლა შენ აღარაფერი მოგივა. თათრებმა რაღაც კარგს თვალზე დამინახეს, კარგად მიყურებდნენ. ლექსომ ფული მოკრიფა და, თურმე, მოიტანა და ერთ თათარს მისცა. ბოსლის შუაგულ ადგილზე თათრები შემომერტყნენ გარშემო, მელაპარაკებოდნენ. მეც კარგი თარაქმული თათრული ვიცოდი. მითხრეს, – სად ისწავლე თარაქმული? ვუთხარი – მეცხვარე გვყავდა, თარაქამა. ამ ლაპარაკში ეს წრე გაარღვია ლექსომ, შემოვიდა შუაში. მითხრა, – ნათლია სიკო, ფული გექნება, მასესხო! მე გული მომივიდა, შეუტიე: – შე კაი კაცო, ფული რომ მქონდეს, ამ ძმა ბიჭებს მივცემ, შენ კი არა! თათრებს ქართული ესმოდათ, შეუტიეს – წადი, მოშორდი, ფული რომ ქონდეს, ჩვენ წავართმევთო! ცოტა ხნის მერე ლექსოს დაუძახეს ოდაში, ერთმა უთხრა, – კომისარო, ფული მოიტანეო? – მოვიტანეო! – ვის მიეცი? – აღარ მახსოვს, ვიღაცას მივეციო. თურმის ვინც ეკითხება იმისთვის მიუცია, შიშით ვერ ეუბნება, შენ მოგეციო. მამაძაღლ თათარმა თოფის კონდახი დასცხო გულში, მაშინვე წაიქცა. მოკიდეს ხელი, ააყენეს, ფეხზე დააყენეს, დაუშინეს მათრახები. ზევიდგან მიწა ცვიოდა. დაბნიდეს და მიაგდეს გვერდზე. მაშინ ამოიღო ფული იმ თათარმა, რომელიც ეკითხებოდა, – ფული ვის მიეციო! უთხრა თავიანთ უფროსს, – აგერ მე მომცაო. ვიღაცას დაუბეზღებია – ლავრენტი ზედგინიძეს ფული ბევრი აქვსო. თათრებს გაუტიტვლებიათ, ტიტველა ჩაუყენებიათ შუაში, გინებით მოჰყავთ თავიანთ უფროსთან. უფროსი ოდის თავში ზის. მოიყვანეს ტიტველა კაცი, დააყენეს ოდის ბოლოში. მოახსენეს თავიანთ უფროსს: – აი, ამ კაცს ფული ბევრი აქვს, ჯარისთვის არ გვაძლევს. ეს რომ გაიგო მოლა ოღლმა, დაუძახა – გათირინ ისინბურდა, მოიყვათ, ნააქციეთ აქაო. მაშინ ლავრენტი თავისით წავიდა უფროსისკენ, – აჰ, აჰ, ისლდმ, ისლდმ, ისლდმ! მივიდა ნელა-ნელა და მიუჯდა უფროსს გვერდზე. თათრები რაღაც ლაპარაკს გაჰყვნენ, ეს კაცი დაავიწყდათ. ლავრენტი ზედგინიძემ დაიწყო ლაპარაკი: – ეი, თათრებო, ჩვენ გოკიელ თათრებთან დიდი მეგობრობა გვქონდა ქამალ აღასთან, სულეიმან აღასთან, მოლას შვილებთან – ამადასთან და მამადასთან, მთელი ქამალ ოღლები ჩვენი ბალანთის მეგობრები არიან. თათრებმა ეს რომ გაიგეს, აღარ სცემეს. ადგნენ, აქეთ-იქით დაიწყეს სიარული სოფელში. ხუთი ჩვენი მოაგროვეს, ერთი სოფელშივე მოკლეს. ოთხი ცხენი და რამდენიმე ფიჩვი, ხალიჩა წაიღეს და წავიდნენ მოდეგისკენ. ესენი ამ მიმავლობაში დავტოვოთ სხვების ამბავი მოვიხსენოთ: ამავე დღეს რამდენიმე საათი გავიდა, ვნახოთ ქვეითი და რამდენიმე ცხენოსანი მოვიდა, იკითხეს: აქ თათრები იყვნენ, რომელთაც სახლი მოასწავლეს, ჩემთან ჩამოხდნენ. ჩემი საქონელი ავუშვი, გეგე ბიძაანთ დავაბამთ. ცხენები დავაბით. თოფები, ხმლები აკრიათ ორს, რომლებიც უფროსები არიან. საჩქაროზე ხალხს დაუძახეს. მოგროვდა სოფელი. ჩვენ ოდაში ადგნენ ფეხზე და უქადაგეს ხალხს: – ხალხო, ჯამაათნო, ეხლა ახალქალაქი თათარს დარჩა, თქვენ დღეის შემდეგ ჩვენთან იქნებით, ახალქალაქში ზის დიდი უფროსი, გვარად კაშკენი. მე ვარ ნაჩალნიკის თანაშემწე ბირმ აღა, აგერ მეორე ხმალი რომ აკრია, ეივაზ აღა ეგ არის – პრისტავი; მესამე – იბრამ მოლა ოღლი ეგაც არის ჩვენი მდივანი, ამის ხალხი ჩვენი ჩაფრები არიან, გვინდა ყველა სოფელში ყარაულად დავაყენოთ, მოხეტიალე ვინმე არ მოვიდეს და არ გაგცარცვონ. თქვენთან დღეს ვინმე იყო? აქ ხალხს ამათი მოტყვილება მართალი ეგონა, სულ ყველაფერი გულახდილად ილაპარაკეს, – მე ხალხს თვალს ვუშვრები, ფეხზე ვადგამ, ვერავინ მიმიხვდა. ხალხი წავიდა, ერთი ცხვარი კიდევ მოიყვანა. ესენი ვითომ არ აკვლევინებენ, ცხვარი ცოდოა, თოხლი დაკალითო. დაკლეს ცხვარი, გოგალაძე სერგოსთან მოვიტანეთ, ქვაბი შედგეს, ყაურმას აკეთებენ. მე ამათ ზიზღით ვუყურებ, თვითონ ვინმე ერთ ლუკმა ხორცს ვინც ამოიღებს, იბრამაი ეტყვის, სიმონასაც მიეცითო. ვჭამ, მაგრამ ქვას თუ აქვს გემო, ისე იმას. საღამოთი მითხრეს, ერთ ცხენზე შეჯექი, ორსაც ზედ გამოვაბამთ, სხვებსაც ეგრე. წყალი არ იციან, ასწავლე ბიჭებს! გავიყვანე კარზე, სამ-სამი ცხენი გადავიბით ერთმანეთზე, წინა ცხენზე შევჯექი, გაუჯავრდი. შუა წამოყვა, უკანაი არ წამოყვა. შუა ცხენს უნაგირი გადასძვრა, ფეხებში რომ მოხვდა, დაუშინა ნიხლები და უნაგირი ერთიან დალეწა. მაშინ ვთქვი, – ეხლა კი მომკლავენ-მეთქი, ეივაზაი და ბარამი იცინოდნენ: ეგ არაფერი, ჩვენი ჯანი საღოლსუნ, ბევრ მაგნაირებს ვიშოვნით. ცოტა რომ მოღამდა, ვნახოთ, ეს წასული თათრები უკან მოვიდნენ. ერთმანეთი რომ დაინახეს, ერთმანეთს შესცინეს, ესენიც წაიყვანეს, ლექსო ზედგინიძის ოდაში დააბინავეს. ვნახოთ ბეჟანოში ამოვიდნენ სამი-ოთხი კაცი, ერთი იყო ობლეს აკოი. აკომ ამოიღო ნახევარი ჩარექი არაყი, დაასხა ტაქანზე. მიაძლია ბაირამას. ბაირამამ არ დალია, ის ნახევარი ჩარექი არაყი სულ ეივაზამ დალია და დათვრა. საღამოს ვახშამზე გავუმართე შტოლები, კარგი ქართული წითელი ჯამები დავუდგი, სომხებიც შორიახლოს ზიან, უყურებენ ჯამებზე. ყაურმა დაასხეს, დაალაგეს შტოლებზე. თათრებმა ჩაყეს ხელი. ეივაზა წამოვარდა, დასტაცა ხორცით სავსე ჯამს ხელი, სომეხს თავში სთხლიშა, ჯამი თავზე დაიფხვნა. იძრო ხანჯალი, ხორცით სავსე ჯამები სულ დაკეპა, ქონები სულ ბუხრის კერას მიექცა, იძრო ხმალი და გაექანა სომხებისკენ. ვნახოთ, ერთი შემოკვრით რამდენ სომეხს გავაგდებინებ თავსო. თათრები დაეხვივნენ, ძლივს ხელიდგან წაართვეს, მერე ეცა თოფს, უნდოდა ესროლა სომხებისათვის. აუკრეს ხელი, თოფი გაიცალა, თავანს მოხვდა. სომხებმა დახედეს, არ იქნა, გაიქცნენ. ჩავრჩი მე და ჭიხარულელი ოსტატ დავითას შვილი ამოი. საქონლის მოვლაში მეხმარებოდა. ეივაზამ მითხრა: – სიმონ, ხომ არ გეწყინა, სომხები რომ გავრეკეო, რა თქმა უნდა, მეზობლები არიან-მეთქი. ეგ ოტკა რომ მომიტანე, მეუბნებოდა – ჭიხარულელები დაიბარე და სცემეო. მე ქართველები მიყვარან, ქართველებს არა ვცემო, ქართული სიმღერა მიყვარსო. მოდი, თუ ძმა ხარ, ერთი იმღერეო. მან რომ ასე გულთბილად მითხრა, – მეც ქართული შიქასტა ვსთქვი ძალიან ომახიანად, ძალიან მოეწონათ, – ჩოხ საღოლ ნა, იახში, დედუნ, რა დაწოლის, დაძინების დრო მოუვიდათ, მივუტანე ორი ხელი ახალი ლოგინი, გავუშალე ბაირამას და ეივაზას, დანარჩენებს ფარდაგები. დაწვნენ ყველა, დაიძინეს. მე და ამოიც ოდის ბოლოზე მოვიკუნტენით. აბა, რას დამეძინება, ჯალათები თავზე მადგანან, იქვე ახლოს იწვნენ სხვა თათრები, მე განგებ ხვრინვა ამოვუშვი. ერთი მეორეს ეუბნება, – ხვალ ეს ქვაბები და კრუჩკა მე უნდა წავიღოო. მეორეც ეუბნება, – მეც ლოგინებს პირებს გადავაძრობ; მესამეც ეუბნება, – მეც იმ ჭრელ ფარდაგს წავიღებო. ესენი სულ კარგად გავიგონე, ეივაზაც ბაირამას ელაპარაკება, – ხვალ ამნაირად დავცარცვოთ ხალხი, ესენიც სულ კარგად გავიგონე. ერთი ნახევარი საათი დავაცალე და ვუთხარი: ამო, ადექ, ამო, წავიღოთ მეზობლებში ეს ქვაბები, ჭურჭელი, დავარეცხინოთ, ხვალისთვის მზად იყვეს, რომ ამ ჩვენ ძმებს დასჭირდებათ. ავიღე ეს მთელი ჭურჭელი, ჩავალაგე სერგოს ქვაბში და წავიღეთ სერგოსთან. შუაღამისას დავუძახე კარებიდგან, – საჩქაროზე გამოვიდა სერგოი. უთხარი, – ჯერ არ დაწოლილხართ? – არა, აგერ მივკრივართ კერას, არ გვეძინება. რა ამბავია ნათლია სიკო? ამბავი ასეთია, – ხვალ დიდი თალანი იქნება, ცარცვა-გლეჯვა, აი ეს ქვაბი მოგიტანე, შიგ ჩემი ჭურჭელი აწყვია, შეინახე, შენი რაც გაქვს, სულ დამალე. მე ვერსად მივსულვარ. წადი, სულ ყველას შეატყობინე, გადამალონ ყველაფერი. ესენი ასე, მაგრამ ლოგინის ჯავრი ჩამყვა. წაველ სახლში, დავწექი, აბა, რას დაგეძინება. თებერვლის თორმეტია. დილა რომ გათენდა, ლავრენტი ზედგინიძის ოდიდან ორი ხნიანი კაცი მოვიდა. ჩვენსა მოილაპარაკეს – სოფელს დავუძახოთ, ხალხს თოფები ვთხოვოთ. გაგზავნეს ჩვენები, ოცი კაცი. უთხრეს, – ოჯახში რამდენი კაციც არის, სულ ყველანი მოვიდნენო. ასეც მოიქცნენ. კაცები სულ ყველა მოვიდა. წამოდგა ყასიმ ალი ოღლი. დაიწყო ლაპარაკი: – აი, გურჯებო, ჩვენ სულ ვიცით თქვენი მდგომარეობა, თქვენ იარაღი გაქვთ, რამდენ თქვენს ტყვიას გადმოურბენია ჩვენს თავზე, სათვალავი არ აქვს. სულ ყველამ მოიტანეთ, ჩაგვაბარეთ, თუ არ ჩაგვაბარებთ, ჩვენ წამოვალთ, თქვენს სახლებში ვიპოვნით თოფებს, ფინთი საქმეებიც იქნება. შეჩოჩქოლდა ხალხი: – აბა, რას იტყვითო? ვერაფერი პასუხი ვერ მისცეს. გიორგი ნიკოს-ძემ უთხრა: – მე ჩაგაბარებთო. წავიდა, მოუტანა. ბაგრატ მაღრაძემაც ჩააბარა. სხვა არავინ. მხოლოდ ორი თოფი ჩააბარეს. მაშინ თათრებს გული მოუვიდათ: – მაშ, ჩვენ წავალთ თქვენს სახლებში, თქვენ აქ იყავითო. ჩვენს ბოსელში დაამწყვდიეს. თავად წავიდნენ სახლების გასაცარცვად და ხალხის ასაწიოკებლად. ერთი ყარაული გარე კარებზე დააყენეს, ერთიც ოდაში. ბარალეთი გაუცარცვავთ, ხურჯინები გატენილი ჰქონდათ. ჩვენს ოდას ყარაული არ შორდებოდა. მე ჩემი ლოგინებისას ვფიქრობდი, როგორ გადამერჩინა. ოდის ყარაული გამოვიდა და ბოსელში ხალხს ელაპარაკებოდა. მე მალვით შევიპარე ოდაში, საჩქაროდ ბალიშები შევიტანე, გავარღვიე ორივე პირები, გადავჭერი საპირეები, ტახტ ქვეშ შევყარე. ლეიბებიც აგრე, საბნები და ჭრელი ფარდაგი დავკუჭე, თითო შინლის კალთაში ამოვიფარე, გავიტანე დარბაზში. ნამჯა მქონდა, იმის უკან, კედელთან ჩავყარე, ზედ ბჯა დავაყარე. ყარაულმა ვერაფერი გაიგო, ვერც ჩვენ ხალხმა გაიგეს. გაველი, გარე ყარაულს ვუთხარი: – ცხვარი მშიერი მყავს, გამიშვი, ცხვარს ვაჭამო-მეთქი. მითხრა: – შენ ნება გაქვს, საითაც გინდა წადიო. გარეთ რომ გავედი, ვნახე თათრები შავი ნისლივით შესეოდნენ სოფელს. ცხვარი წყალზე წავასხი. ვნახე, რომ დიდ რუსთან ღორები დაბორტყავდნენ, ხანჯლით მუცლები გამოეღადრათ და წელებს ძირს ათრევდნენ. რომ დადიოდნენ, ფეხებს წელებზე იდგავდნენ. წელები მუცლიდგან იცლებოდა. ბეჟანოელები იტაცებდნენ. მიჰყავდათ თავიანთთვის უფასოდ. მთელი დღე ცარცვეს ხალხი. ნაცარცვი მოჰქონდათ, ჩვენ დარბაზში ინახავდნენ. ნადავლით დარბაზი აავსეს. ქალებს კაბები გახადეს, კაცები შუადღის მერე გაუშვეს სახლებში. მივიდნენ, აღარაფერი დახვდათ, საწყალი ქალები გაპუნკულ ინდოურებს გავდნენ. ლავრენტი ზედგინიძეს საბძელში ბზებს შუა დაემალა იორღა ცხენი, იპოვეს, უნაგირიც წაართვეს. შეკაზმული ცხენი ამოიყვანეს. ქურქიც გაეხადათ. ამოიტანეს ქურქი. მე ნავართვი, შევუნახე. ვნახოთ, რამდენიმე თათარი შემოცვივდა, ჩვენსა, ფარდაგისთვის და ლოგინისთვის. ნახეს, რომ აღარ იყო. მითხრეს, – სიმონ, რა უყავი ლოგინი. რა ვიციმეთქი. თქვენ ხალხმა წაიღეს. გაბრუნდნენ და წავიდნენ. როცა თათრებმა გული მოიოხეს, სოფელი სულ გაცარცვეს. დამწყვდეული ხალხი მაშინ გაუშვეს, კაცები რომ სახლში მივიდნენ, ახლა კაცებს დაუწყეს ცემა, – ჩქარა ფული მოგვეციითო, თოფს უშვერდნენ, უნდა მოეკლათ. ქალებს ეშინოდათ, მართლა მოკლავენო. სულს გარდა რაც ქონდათ, აძლევდნენ. გიორგი ნიკოს ძე და მარკოზ ვასილის ძე ენა ჩავარდნილები შემოცვივდნენ ჩემთან, – სიკო, არიქა, გვიშველე. დადიან სოფელში, ხალხს ძალიან მაგრად სცემენ, იქნებ გადაგვარჩინო. ჩვენს ერთ ძროხას ფეხი ამოვარდნილი ჰქონდა, მოდით ამ ძროხასთან დავდგეთ, თუ თათრები შემოვლენ, იტყვიან: – ესენი აქ რად არიანო. მე ვეტყვი, ძროხა-ნა ავაყენოთ-მეთქი. ვნახოთ, პანტელაი და გრიშაი შემოცვივდნენ, – მარკოზ ბიძია, ილიკო ბიძას თათრები კლავენო. მოკლავენ თუ აცოცხლებენ, მე ვერაფერს ვუშველიო. ვისაც რა ქონდათ, სულ ყველაფერი ნაართვეს. ვნახოთ, ოთელი მერალ ფაშა შემოვიდა, გიომ და მარკოზამ სულ კანკალი დაიწყეს. ძროხას წევა დაუწყეს. მითხრა, – სიმონ, ესენი აქ რად არიანო! – სთქვა და თან თოფში პატრონები ჩააწყო. ესენი ძალიან მშიშარი კაცები იყვნენ. ძალიანაც შეშინდნენ. მე ვუთხარი: – მარალ ფაშა, ესენი თავიანთ სახლიდგან მე მოვიყვანე ძროხის ასაყენებლად. მაშინ გაბრუნდა. დაღამებისას მოვიდნენ, თავიანთი ნადავლი ცხენებზე აჰკიდეს, ესტატეს კარგი დიდი ტახი ჰყავდა. ბეჟანოელებმა ისიც მოაკვლევინეს. სომხებმა ხარებს მოუბეს და წაიღეს. თათრებიც წავიდნენ. დარჩნენ ოთხი მაიმუნი თათარი. ეხლა ესენი დაერივნენ კაცებს, დაუწყეს უწყალოდ ცემა. ესენიც წავიდნენ. თათრები ნადავლ ვეშს ბეჟანოში შეინახავენ და ისევ უკან ამოვლენ. კარგი დიდი ვახშმობაა. თათარმა ერდოდგან ჩამომყვირა: – აი, სიმონ, ყაფი აჩ. გაველი. კარი გაუღე. შემოვიდნენ. საქონელს აუარ-ჩაუარეს, შვიდ ძროხაში ერთი მაკე დეკეულა გვყავდა, მსუქანი. – ეს წავიყვანოთ, ყაურმა გაკეთდებაო. ერთმა ბიჭმა ხელი შეუყო, უთხრა: – ცოდოა, მაკეაო. – იშინ ოხ ქასახ. აუშვეს და წაიყვანეს. მითხრეს: – კარებები სულ ღია იყვეს, არ დაკეტოთო. თურმის, დღისით, დაუზვერიათ, რაც კარგი საქონელი ყოფილა, სოფელში სულ ნაუყვანიათ. ორი საათი გავიდა. გარეთ გავედი. ვნახოთ, რა ქნეს თათრებმა. ეს ჩვენი დეკეული, ოთხი სხვისი ძროხა, ღამე, ბნელაში, გამოქცევიათ. გავუღე კარები, სულ ყველა შემოვრეკე ბოსელში და დავაბი.

სიკო მელიქიძე,
მასალა მოგვაწოდა **ზაზა მელიქიძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება უცვლელად

ორი თუჩქუღლეღოვანი ხელნაწერის შესახებ

ჩვენი გაზეთის მკითხველს გვსურს ამჯერად გავაცნოთ ორი ხელნაწერი, რომლებიც დაცულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკის თურქული და თურქულენოვანი კოლექციების განყოფილებაში. ბრიტანეთის ბიბლიოთეკა – გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ ბიბლიოთეკას, სადაც დაცულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან სხვადასხვა სახის 200 მილიონამდე მასალა

შარშან, სოციალურ ქსელ ტვიტერში, გადავაწყდით ორ ფრიად საინტერესო ხელნაწერს, რომელიც გაზიარებული ჰქონდა ბრიტანეთის ბიბლიოთეკის თურქული და თურქულენოვანი კოლექციების კურატორს ბატონ **მაიკლ ერდმენს.** მისი განმარტებით, ეს ხელნაწერები მათი კოლექციების ის ნაწილია, რომელიც წარმოადგენს თურქულენოვან არასტანდარტულ ხელნაწერს. როგორც მან გაგვიზიარა, ჯერჯერობით ბიბლიოთეკაში არ მომხდარა ამ ხელნაწერების მეცნიერული შესწავლა. თუმცა, მისივე ცნობით, ბიბლიოთეკაში სხვა, მსგავსი ტიპის ხელნაწერი არ ინახება. უცნობია, რას ეყრდნობა კოლექციების კურატორის ვარაუდი, მაგრამ მისი აზრით, ქართული ანბანით შესრულებული ხელნაწერები აზერბაიჯანულ ენაზეა. ხელნაწერის შესწავლის შედეგად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი **ზაზა შაშიკაძე** მიიჩნევს, რომ ხელნაწერის ენა წარმოადგენს თურქული ენის აღმოსავლეთ ანატოლიურ დიალექტს (Doğu Anadolu Türkçesi). ამასთან, მისივე აზრით, ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც თურქული ტექსტი ქართული ანბანით არის გადმოცემული.

ბატონ მაიკლ ერდმენს არ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, უშუალოდ სად შეიქმნა ეს ხელნაწერი, თუმცა გვიზიარებს ცნობას, თუ საიდან მოხვდა ისინი მათ კოლექციაში. აღმოჩნდა, რომ ხელნაწერები მათი კოლექციისათვის უჩუქებია ბრიტანელ ორიენტალისტს, სხვა, მის საკუთრებაში არსებულ მდიდარ კოლექციასთან ერთად.

***

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორს ბატონ **ზაზა შაშიკაძეს** და ამავე უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგსა და ფოლკლორისტს, ქალბატონ **თინა შიოშვილს,** რომლებმაც დიდი ინტერესი გამოხატეს აღნიშნული ხელნაწერების მიმართ. ბატონმა ზაზამ პროფესიონალურად თარგმნა და შენიშვნები გაგვიზიარა ხელნაწერებთან დაკავშირებით. ქალბატონმა თინამ კი შესანიშნავი სალექსო ფორმა მოუძებნა თაქარლამას და ბატონ ზაზას თურქულიდან ნათარგმნი ტექსტი იმ ფორმით შემოგვთავაზა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ცოტა რამ ისტორიასთან კავშირისათვის

ხელნაწერის განმარტებისთვის გთავაზობთ მცირეოდენ ისტორიულ ექსკურსს 1978 წელს ბენიამინ სილაგაძის მიერ გამოცემულ ნაშრომზე („ერაყი მამლუქთა ბატონობის ხანაში (1748-1831 წწ.)“ დაყრდნობით. ტექსტში მოხსენიებული **სულეიმან ფაშა** გახლავთ ბაღდადის ფაშა **სულეიმან ბუიუქი** (დიდი - თურქ.). როგორც ცნობილია, ერაყში ბაღდადის საფაშოს 1749-1831 წლამდე სათავეში ედგნენ ქართველი მამლუქები, მათ შორის სულეიმან ფაშა ბუიუქი (1780-1802), **ჰაფიზ ალი ფაშა** (1802-1807) და, ბოლოს, **დაუდ ფაშა** (1816-1831), რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ერაყის ჯარების თანამედროვე იარაღით აღჭურვასა და მის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნაში.

როგორც **ბენიამინ სილაგაძე** თავის ნაშრომში იმოწმებს **კ. რიტერს,** მათ დროს *„პორტას ბრძანებებს მხოლოდ იხილავდნენ, შესრულებით კი იშვიათად თუ მოიყვანდნენ სისრულეშიო“* (იქვე, 18). სულეიმან ფაშა ბუიუქი, წარმოშობით ქართველი, 1722 წელს ყოფილა დაბადებული, რომელიც ქულემენების (მამლუქების) ქართული დინასტიის დამფუძნებლად ითვლება. **მეჰმედ სურეიას** ცნობით, *„სულეიმანი იყო მონა მარდინის ვოევოდის მუჰამედ ეფენდი ბეგისა, რომელმაც ბაღდადში თავისი მოგზაურობისას ის სულეიმან ფაშა მიზრაკლს ჩააბარაო“* (1978.138). იგი 23 წელი სათავეში ედგა საფაშოს და მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მიმართულებით. მისი მოღვაწეობის შედეგად ერაყი მოკლე დროში გამხდარა *„უფრო დიდი და სანოვაგით მდიდარი ქვეყანა, ვიდრე რამდენიმე სამეფო ევროპაში“* (იქვე, 176). როგორც ბენიამინ სილაგაძე იმ პერიოდში ბაღდადში მყოფ ფრანგ კონსულს, **რუსოს** იმოწმებს, სულეიმან ფაშა *„უხვად იყო დაჯილდოებული ძვირფასი თვისებებით – შინებოდათ და ამავე დროს კიდეც ყვარებოდათ, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ერაყელებმა მას მეტსახელად სულეიმან „ბუიუქი“, ანუ სულეიმან დიდი შეარქვეს“* (იქვე, 179).

ხელნაწერი გარკვეულწილად ასახავს როგორც საფაშოში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს, ასევე საფაშოს კარზე არსებულ სამემკვიდრეო საკითხებს სულეიმან ფაშას გარდაცვალების შემდეგ. სულეიმან ფაშა ბუიუქს სამი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი ჰყოლია. რადგანაც მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ვაჟები მცირეწლოვანები ყოფილან, ეს სიძეებს უფლებას აძლევდა, რომ პოტენციურ მემკვიდრეებად ყოფილიყვნენ განხილულნი. 50 დღიანი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ *„როცა სიკვდილი მოახლოვდა, მომაკვდავმა იხმო სიძენი. ალი აღა თავის შემცვლელად დანიშნა და მისცა ზოგიერთი რჩევა-დარიგება“*, სხვებს კი მორჩილებისაკენ მოუწოდა (იქვე, 182).

როგორც ცნობილია, სულეიმან ფაშა აქტიურად იყო დაკავებული ქართველი ტყვეების შესყიდვით: მათი საშუალებით ზრდიდა გვარდიაში ქართველების წილს, შესაფერის განათლებას აძლევდა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდა. სამშობლოში დაბრუნების მსურველებს კი ათავისუფლებდა. ალბათ, ამ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული სიძის – ქართული წარმოშობის **ალი ფაშას** მისი ოჯახის წევრობაც და შემდეგ მისი მემკვიდრედ გამოცხადებაც. ალი ფაშა აფხაზეთში ყოფილა დაბადებული დაახლოებით 1762 წელს და სახელად **იოსები** რქმევია.

ხელნაწერის მერვე სტროფში მოხსენიებულია სულეიმან ფაშას დანარჩენი სიძეებიც: **ბასრის მუთასალიმი სელიმ აღა, ნასიფ აღა** და **ხაზინადარი დაუდ აღა.**

ხელნაწერის მეათე-მეთოთხმეტე სტროფებში აღწერილია ის დაპირისპირება, რომელიც არსებობდა ერაყში მამლუქთა ბატონობასთან დაკავშირებით. სულეიმან ფაშას გადაწყვეტილება, რითაც ალი აღა მის მემკვიდრედ ცხადდებოდა, ცხადყოფდა, რომ ძალაუფლება ერაყში მამლუქთა ხელში რჩებოდა, რაც განსაკუთრებით აღელვებდა როგორც ოსმალეთის სულთანს, ასევე ამ რეჟიმით უკმაყოფილო პირებს, იენიჩრებს და მათ მეთაურს **აჰმედ აღას.** ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა ალი აღასათვის ხელისუფლების ჩამორთმევა და, ამასთან დაკავშირებით, სულთან **სელიმ III**-საც კი აცნობა, საომრად მოემზადა და 7 აგვისტოს, სულეიმანის გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე, სროლა აუტეხა სასახლეს. ოთხთვიანი ბრძოლა ალი აღას გამარჯვებით დასრულდა, რაშიც დიდი როლი ითამაშა მოსახლეობამ, რომლებიც მხარს უჭერდნენ ხელისუფლების კანონიერ მემკვიდრესა და საფაშოს ფაქტიურ მბრძანებელს. დამარცხებული აჰმედ აღა სიკვდილით დასაჯეს (იქვე, 183).

პირველი ხელნაწერი შექმნილია 1802 წელს (ჰიჯრით 1217 წელს), სულეიმან ფაშა ბუიუქის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში, როდესაც ალი ფაშა უკვე საფაშოს ერთპიროვნული მმართველია. სავარაუდოდ, ხელნაწერის შექმნის თვე უნდა იყოს დეკემბერი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აჰმედ აღამ ბრძოლა 7 აგვისტოს დაიწყო, რომელიც ოთხ თვეს გაგრძელდა და დამარცხდა.

მეორე ხელნაწერი თარიღდება 1807 წლის 4 თებერვლით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს ქალაქ მარდინში. ტექსტში არ ჩანს, თუ ვის ეძღვნება იგი. თუ მისი ადრესატი წინა ტექსტთან რამენაირადაა დაკავშირებული, ის, ალბათ, ვერ იქნება ალი ფაშა, რადგანაც იგი 45 წლისა გარდაიცვალა და მისი მმართველობა მხოლოდ 5 წელს გაგრძელდა. ტექსტში კი აღნიშნულია, რომ *„სულ ოცდახუთი ამშვენებს წელი სიცოცხლეს მისას“.* თუმცა ფაქტია, რომ ხელნაწერი თარიღდება ალი ფაშას გარდაცვალების წლით.

ავტორის ვინაობის შესახებ

ორივე, 1802 და 1807 წლებში დაწერილი ხელნაწერის ავტორი, სავარაუდოდ ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს, რადგანაც 1802 წლით დათარიღებულ ხელნაწერში დაფიქსირებულია ვინაობა – **ახალციხელი აბრაამი (იბრაჰიმი),** ქართველი მონაზონი. მეორე, 1807 წლის ხელნაწერში კი ვინაობად მითითებულია **ტერ აბრაამი,** ქართველი მღვდელი.

ის, რომ ბაღდათის საფაშოს კარზე ახალციხელებს მუდმივი კავშირი უნდა ჰქონოდათ, დასტურდება იმითაც, რომ ერაყის კიდევ ერთ ცნობილ ფაშას, დაუდ ფაშას, საქართველოში დედამისისათვის გაგზავნილი წერილი **ანდრია ზუბალაშვილისთვის** გამოუტანებია. მისი ქათიბი, ანუ მდივანი კი ახალციხელი **იუსუფ აღა** (პეტრე იოსეფოვი) ყოფილა, რომელსაც ბენიამინ სილაგაძის თანახმად, უნდა დაეწერა კიდეც ქართულად დაუდ ფაშას წერილი დედისადმი *(„ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი“.* იქვე. 337).

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ხელნაწერების ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით, მეტ ცნობებს მივიღებთ. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ახალციხელი ქართველი სასულიერო პირი აბრაამი სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ან სომხური ტიპიკონის მქონე აღმოსავლეთის რომელიმე კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდა. როგორც ცნობილია, სომხური სუფიქსი „ტერ“, თან ერთვის საკუთარ სახელს, რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს პიროვნება სასულიერო პირია ან წინაპარი ჰყავდა სასულიერო პირი. „ახალციხური ქრონიკების" დღიურმატიანეში, სადაც მოცემულია XVIII-XIX საუკუნეების, კერძოდ, 1762-1833 წწ. სამი ახალციხელი კათოლიკე სასულიერო პირის დღიურები და, რომელიც 70-წლიან მდიდარ მიკროისტორიას წარმოადგენს მესხეთის კათოლიკე თემის შესახებ, სასულიერო პირი აბრაამი არ იხსენიება. თუკი ეს პიროვნება თავისი ბიოგრაფიით დაკავშირებულია ქალაქ მარდინთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარდინში მოქმედ სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდა. ისტორიის აღსადგენად დამატებითი წყაროების მოძიებაა საჭირო. იმედი გვაქვს, რომ ამ ხელნაწერებში არსებული დეტალები შემდეგი კვლევების საფუძველი გახდება. ამჟამად რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ მარდინის სომხური კათოლიკური საეპისკოპოსო (Archeparchia Mardinensis Armenorum) მოქმედებდა 1708-1972 წლებში და არაა გამორიცხული, რომ იქ ეროვნებით ქართველი სასულიერო პირებიც მოღვაწეობდნენ, რომელიც სომხურ ტიპიკონს ემორჩილებოდნენ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

თაქარლამა მის აღმატებულება ალი ფაშას





1.
აღა-ბეგებო, ერთი საქმის მინდა გამხელა,
ქვაზე ოქროთი ამოვკვეთოთ უნდა სახელი.
ალაჰმა მადლი მოგვანიჭა ჰოი, რამხელა,
და მოგვივლინა ძვირფასი სულეიმან ფაშა.
2.
ჭკვიანი, ბრძენი, მეცნიერი, დღემუდამ ვისიც
ირან-თურანში მუდამ ქება-დიდება ისმის;
სიცოცხლეს მისას დასდგომია უკვე დაისი –
სიკვდილის წყალი შეუსვამს სულეიმან ფაშას!
3.
სამოცდათვრამეტ წელს იგემა სიცოცხლის დღენი,
დაამარცხა და მოსპო ბევრი სასტიკი მტერი,
ერთად აძოვა, მადლიანმა, ცხვარი და მგელი,
მშვიდი ცხოვრება გვაჩუქა სულეიმან ფაშამ.
4.
ეპყრა არაბეთს ტახტი, იყო ქველი და ბრძენი,
მის ვეზირობას ოცდაოთხი ამშვენებს წელი;
მან პირველ სიძეს გადულოცა ტახტისა ბჭენი,
ოთხიდან ერთი აირჩია სულეიმან ფაშამ.
5.
ამბობს, ვმართეო ბრძნად ბაღდადი მე ხალხმრავალი,
დრო მოვიდაო, გადვიხადო აწ ჩემი ვალი,
ამ კურთხეულ ტახტს სხვას არ მივცემ, ნურვის აქვს თვალი,
ჩემი მემკვიდრე უნდა გახდეს ფირ ალი ფაშა!
6.
რჩეულმა ფურყანს[1] რომ დაადო ფიცისთვის ხელი,
ოთხივ ერთმანეთს შეეთვისნენ ნდობის გამხელით,
გრძნობით იკითხეს „ფათიხა“ და „ამინით“, ლხენით,
თქვეს: ჩვენ ოთხიდან რჩეული ხარ შენ, ალი ფაშა!
7.
მმართველობა რომ ალი ფაშას გადააბარა,
სამართლის კარი ხალხს გაეღო უმალ მთა-ბარად;
ვეზირი ფაშად აირჩიეს, ტახტისა ფარად –
ლომის მოდგმისა, თავად ლომი არს ალი ფაშა!
8.
ღირსეულია ალი ფაშა, ყოვლად შემკული,
სელიმ ფაშა კი – მოღალატე, ფლიდი, ორგული,
აღა ნასიფი მტერთან არის გარიგებული,
დაუთ ბეგისგან ვერვინ ნახა მტერი ვნებული.
9.
რადგანაც ღალატს სელიმ ბეგი არ ერიდება,
დუმს ალი ფაშა, შესაფერის დროს ელოდება,
ავი სიზმრებით სისხლის ცრემლი თვალთ ედინება.
ფეხქვეშ გეთელოს მტერი შენი, ფირ ალი ფაშა!

1 ყურანის 25-ე სურა.

10.
ერთგულებაზე იფიცება დღეს აჰმად აღა,
იანიჩარებს ეტმასნება გვერდს აი აღა,
ფაშობისაკენ იგი თავად ისწრაფვის ახლა
და ის არ იცის, რომ ვერვინ სძლევს ფირ ალი ფაშას.
11.
უნდა, რომ ბაღდადს ცალი მხარი ჩამოაცალოს,
ჰოდა, ამაგრებს ციხის ბურჯებს... ამაოდ წვალობს;
იმან არ იცის, რომ ქართველი მტერს არა სწყალობს,
საკუთარ ძალის იმედზეა იგი მარადჟამს.
12.
ამ ყიზილბაშმა ვერ გაიგო სიკეთის ფასი,
ომს ექადნება კატა ლომს და იწყებს სამზადისს;
ხოლო ეს ლომი ქართველია, უმადურ კაცის
პასუხი მზად აქვს – შეაჩვენებს, ამოსდებს ავშარს.
13.
ზოგიერთები ივიწყებენ, რა ევალებათ,
ცოდვის მორევში ყრიან ღვინო-არყით მთვრალები;
სულ ცოტა ხანში დაეთხრება ყველას თვალები,
რადგანაც ტახტზე აბრძანდება ფირ ალი ფაშა.
14.
მიუშვერია სასახლისთვის მას ზარბაზნები,
რვა დღე ვინ უნდა ასეიროს ასე ბეცები?
დაატუსაღეს უკვე მრავლად ქურდბაცაცები,
ქვეყანა მათზე სეირობს და არ ეტყვის „ვაშას“.
15.
მოღალატეს რომ შარიათით თავს წააცლიან,
მოიხრებიან წელში მტრები, აღარ აცლიან
ორგულ სელიმსაც, ბასრას უწევს მას ექსორია;
ასე ეკუთვნის მოღალატეს, ბოროტს და აშარს.
16.
სახელი მისი სულთნის კარზე უკვე ფრთებსა შლის,
სამართლიანად მიაკუთვნეს წოდება ფაშის;
ვერარა მტერი ძლიერებას მისას ვერ დაშლის,
რადგან ლომივით დაუხვდება ფირ ალი ფაშა.
17.
ქვეყნად ვერავინ ვერ დაამცრობს შენს მაღალ სახელს,
შენს კუთვნილ ტახტზე სხვა ვერავინ თვალს ვერ აახელს,
თუ მოღალატე გამოჩნდება, სიკვდილი ამხელს _
ეს შენი მტრების ხვედრი არის, ფირ ალი ფაშა!
18.
თავისუფლება ბაღდადელებს შენგანვე შვენით,
ყველა ნამაზის ლოცვაზე დგას მადლობის ჩენით;
შენმა მარჯვენამ დაამარცხოს დე, შენი მტერი,
სამართლიანი ღმერთი გფარავს, ფირ ალი ფაშა!
19.
მოგესპოს ყველა ორგული და მოქიშპე მტერი,
იყავ ჯანმრთელი, ბედნიერი და უვნებელი,
სამართლიანი ყოფილიყავ და პირნათელი,
დე, ხმალი შენი კარგად ჭრიდეს, ფირ ალი ფაშა!
20.
შესრულებულა ათას ორას ჩვიდმეტი წელი,
ოთხივ კუთხიდან სიხარული გერგოს უჩვევი,
დაენატრულოს სიცოცხლე და წაგექცეს მტერი!
ურყევი იყოს ტახტი შენი, ფირ ალი ფაშა!
21.
ბეითებს გიწერ მადლიერი, შენზე მლოცველი,
ღმერთმა მშვიდობა მოგანიჭოს და ჯანი მრთელი,
ალაჰი გყავდეს მადლიერი, სიკეთის მჩენი,
ხანგრძლივი იყოს ტახტიცა და დიდებაც შენი!

22.
ახალციხელი აბრაამის (იბრაჰიმის) — მონაზვნის
გურჯისხარ ბატონიც და სულთანიც ხარ, შაჰიც და
ბურჯიც, სიცოცხლეს შენსას შეეწიოს ალაჰის ფუნჯი,
შენი ბრძანება ქვას ესმოდეს, სწვდებოდეს მთასა!
ამინ!

1807, თებერვლის 4-ს, მერდინს:

არ ვარ ისეთი მცოდნე და ბრძენი,
ავხსნა სამყაროს ავი და კარგი;
ცას ვერ აზომავს მიწიდან ვერვინ,
წყლის ნაყვაა და ამაო ბარგი.

ამ ქვეყანაზე, სამოთხეს რომ ჰგავს,
ვნახეთ ბატონი და უფლისწული;
სამოთხის ხილზე გაზრდილს ჩამოჰგავს,
იმ ბაღის ტოტის ის არის წნული.

ბევრი მინახავს უმწიკვლო წესის,
მაგრამ მათ შორის არის რჩეული;
წმინდანი არის უძვირფასესი,
ვისკენაც ასე მიმიწევს გული.

ალმასს ჰგავს ოცდაოთხკარატიანს,
მარგალიტია ჯერ არნახული.

მარგალიტივით ამოთქვამს სიტყვას,
მოაფრქვევს ირგვლივ ლალის ციალით;
მან მედინამდე თვით ინგლისიდან
მედიდურად და რწმენით იარა.

ასე მგონია, მნახველი ყველა
იმისი ბრძნული სიტყვის ტყვე არის.

განა ვუჯერებ ნაამბობს სხვისას,
საკუთარ თვალებს ვარ მინდობილი;
მოხერხებული, მოშიში ღვთისა,
კეთილი ზნით და ქცევით ცნობილი.

ის ედარება მზის ჩასვლის მხრიდან
ამობრძანებულ კაშკაშა მნათობს;
სიბრძნის წყურვილით გონებას ზრდიდა,
მზესავით ნათელს ასხივებს, ათბობს.

სიკეთემ მისმა ძალა შესძინა,
ვით შვიდგზის ცეცხლში ნაწრთობი რკინა.

სულ ოცდახუთი ამშვენებს წელი
სიცოცხლეს მისას, საქებარს ასე
და საპატიო მისი სახელი
ალმასით უნდა დავწეროთ ქვაზე.

იცოცხლე დიდხანს, ცხოვრების დღენი
განვლე სიამით, სიკეთით, ლხენით!
ეს საჩუქარიც მიიღე ჩემი –
ტერ აბრაჰამის – ქართველი მღვდელის.

ბწკარედული თარგმანი
ზაზა შაშიკაძის,
პოეტური თარგმანი
თინა შიოშვილის





ვახტანგ გორგასალი

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან)

◀ დასაწყისი გვ. 2

წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ღმერთო წმინდაო, რომელმან დაჰბადე მიწისგან კაცი, და გვერდისა მისისგან აღუშენე დედაკაცი, და შეაუღლე იგი შემწედ მისდა, ესრეთ განაგე დიდებულებითა შენითა, არა ყოფად მხოლოდ კაცი ქვეყანასა ზედა. და აწ უფალო, ერთიანჰყოფდე მონათა ამათ შენთა ვახტანგსა და ბალენდუხტსა, რამეთუ შენ მიერ შეერთდების კაცი და დედაკაცი. შეაუღლენ ესენი ერთითა გონიერებითა, გვირგვინოსანჰყვენ ესენი შეერთებითა, და აკურთხე აწ ამათი პირისპირ შეყრა და შემდეგ ჟამს მათთა გვირგვინთა კურთხევაი საქორწინო, რომლისა შემდგომად იქმნებიან იგინი ერთხორც და ერთსულ. და განამრავლენ ყოვლითა კეთილითა ცხოვრებაი მათი, და აღიხვენ გვირგვინი მათი სასუფეველსა შენსა, უბიწოდ და შეუგინებლად და უშფოთველად დაიცვენ საუკუნოდ.

რამეთუ შენი არს სიმტკიცე, უფალო, და შენი არს სუფევა და ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

– ამინ! – ერთი ამოსუნთქვით შეაგებეს ქართლელებმა და პირჯვარი გადისახეს.

მიქაელმა კიდევ ერთხელ დალოცა ვახტანგ მეფე და შაჰინ-შაჰის ასული, მისი თანამეცხედრე, თავადაც ხელის ჩვეული მოძრაობით პირჯვარი გადაიწერა, თავი დახარა და ორიოდ ნაბიჯით უკუდგა.

ახლა ქართლის ცეცხლთაყვანისმცემელი ეპისკოპოსის, მოგვ ბინქარანის ჯერი იყო.

ბინქარანმა მეუფე მიქაელისგან განსხვავებული გზა არჩია: მან ჯერ ცეცხლის ქოთანში სურნელოვანი ფხვნილები ჩაყარა, მერე დაელოდა, ვიდრე კოჭობიდან ალის ენები წამოიმართებოდნენ და ფერად-ფერადად ათამაშდებოდნენ, თითქოს ჯადოქარმა შთაბერა სულიო, შემდეგ ის ქოთანი ფართო ლანკანზე მოათავსა, რომელიც ორ ყმაწვილს ეკავა და, მათთან ერთად, ახლად შეყრილთა ირგვლივ რამდენიმე წრე შემოუარა, ბოლოს ეს წმინდა ცეცხლით მოელვარე ქოთანი ვახტანგისა და ბალენდუხტის მახლობლად ძირს დადო და სიტყვის სათქმელად და დასალოცად თავს ზემოთ ხელებაღმართული მუხლებზე დაეცა, რათა სპარსული სიტყვაუხვობითა და შემკობით შესხმა ეწყო:

– ...ხოლო მაღალი მაზდა აჰურა წმიდისა ამა ცეცხლითა თაყვანისიცემის და თქვენცა დაილოცებით მის მიერ, რამეთუ, ვითარმედ იღაღადებს წმინდა წიგნი იგი ავესტა, „ეს ორი სული შეიქმნა ვითა სიზმარი მარჩბივად“ და აწ ბედნიერებისა ვარდი ჰყვავის უებრო პირმზე ბალენდუხტ ასულსა და მამაცობითა სახელთქმულ ვახტანგ მეფესა შორის, და ყვავილი იგი არა დაზრების და ზამთარსამცა აღჰყვავილდების, და გიხაროდენ! გიხაროდენ ვარდი იგი დაუჭნობელი.

მამისა შენისა სულთქმაო და ჭირთა ყოველთა ლხინად შემცვლელო ასულო ბალენდუხტ! აწ შენ მზე იქენ ქართლისა მეფისა, შენისა თანამეცხედრესი, რომელს ყოველივე მთანი და ბარნი, წყალნი და ზღვანი სამოთხედ გარდაუქციე, და რომელი ამიერიდან უშენობით ყოველთა მათ წყალთა, ზღვათა, მთათა და ბართა მიერ საბრალობელ იქნების, რამეთუ გულსა მისასა, ვითარცა გულსა შენსასა, აწ დაისადგურა გრძნობამ ღვთაებრივმა, რომელიც გააქარვებს სხუასა ბედნიერებასა და მასთან ერთად უბედურებასაცა. და ელვარება სახისა მისისა იქნების შენთვის საყვარელ და სხვისთვის სადრტვინელ, და აწ ვიხარით და ვიშვებთ სიხარულითა ამითა შეყრისა ჟამსა თქვენთასა.

დე, გფარვიდეთ წმინდა ცეცხლი ესე, ვითარცა კალთა დიდისა მაზდასი, და კურთხეული იქმენინ შენ, ერანისა მარგალიტო და ქართლისა ამიერიდამ პირმცხრალო მთვარეო, ასულო ბალენდუხტ!

და, კურთხეულ იქმენინ შენ, მეფეო ვახტანგ, ქვეყნისა შენისა და ერისა შენისა იმედო და ნუკვაო, რამეთუ დიდი არს ტვირთი იგი შენი, რომელ შენ იდევ ქედსა შენსასა ჟამსა ყმაწვილობისასა და აწცა მრავალ არიან საზრუნავნი შენნი, რამეთუ მოვლინებულ ხარ ნუგეშად არა მხოლოდ შენთა ქვეშევრდომთა ამა ჟამისასა.

იკურთხებოდის შეუღლებაი თქვენნი, რომელ დალოცა დიდმა მაზდამ აჰურამ და რომელი ნებავს დიდსა მას შაჰან–შაჰსა...

ბინქარან მოგვმა ოქროს ქოთნით წმინდა ცეცხლი მომავალ მეუღლეთა ირგვლივ კიდევ რამდენჯერმე შემოატარა, რასაც სპარსელთა მხრიდან დიდი ყვირილ-გნიასი და შეძახილები მოჰყვა.

ამის შემდეგ ვახტანგმა ისევ ვარაზს უხმო და რაღაც ხმადაბლა უბრძანა, რის შემდეგაც ვარაზი სპარს მეაქლემეს მიუახლოვდა და იგიც ტახტრევანაკიდებულ ცხოველს მინდვრის შუა ადგილისკენ წამოუძღვა.

ვახტანგმა უკვე სპარსულად უთხრა ბალენდუხტს ორიოდ სიტყვა, რომელმაც თავი დაუკრა, ხელი გაუწოდა და აქლემისკენ გადადგა ნაბიჯი. მეფემაც ხელი ჩასჭიდა და გვერდით მიჰყვა, ხოლო როცა ჭკვიანმა ცხოველმა ჩაიმუხლა, მეფემ მომავალ თანამეცხედრეს მსუბუქად მოხვია წელზე ხელები და ტახტრევანში ფრთხილად შესვა.

მოსულნი და დამხვდურნი მცხეთისკენ დაიძრნენ, თუმცა ერთმანეთში არ არეულან და კვლავ ცალ-ცალკე გუნდებად მიდიოდნენ.

წმ. ილარიონ ქართველი ფილოსოფოსი ღაყულიანელი

სიტყვა უფლის პატიოსანი ჯვარის ამაღლებაზე

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ჯვარით განაქარვა სიკვდილი და მის მიერ საუკუნო ცხოვრება მოგვმადლა. ამიტომ ყოველმა ადამიანმა, ვისაც სურს ეზიაროს ამ ცხოვრებას, თავისი ჯვარი უნდა იტვირთოს. აი, მოკლედ სწავლება იმ მარადიული ცხოვრების შესახებ, რომელიც ჯვარისაგან გვენიჭება.

„და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გველი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაი ძისა კაცისაი, რაითა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაი საუკუნო“ (იოანე 3, 14-15).

საიდუმლოებითი და აუხსნელია, ძმებო, ჯვარისმიერი სიბრძნე! და პირველი, რისი გაგებაც არ ძალუძს ჩვენს გონებას, არის ჯვარისაგან აღმოცენებული სიცოცხლე. ჯვარი იყო სიკვდილის იარაღი, ამასთან ყველაზე სამარცხვინო და დამამცირებელი; ახლა კი ეკლესია მას განადიდებს, როგორც ცხოველმყოფელს, სიცოცხლის მომნიჭებელს, ცხოვრებისა და უკვდავების ხეს, დაცემულთა აღდგინებას, ყოველთა მკვდრეთით აღდგომას, და საერთოდ, მიანერს ჯვარს ყველა იმ სიკეთეს, რომელთაც ჭეშმარიტი ქრისტიანი მოელის ამ ცხოვრებაში და რომელთა მიღების იმედიც მომავალ სამარადისო ცხოვრებაში აქვს. თუ როგორ მომდინარეობს ჭეშმარიტი ცხოვრება, სიცოცხლე ჯვარისაგან, – ეს ყველა დროში იყო საცთური ცრუ-მორწმუნეთათვის, და უგუნურება, სიცოფე – ამაოდ მბრძნობელთათვის. მაგრამ რასაც გონება ვერ სწვდება, ის რწმენამ უნდა დაინახოს და მოიცვას, და ჩვენც, განცოცხლებულთ ჯვარის მიერ, ბრალი გვექნება, თუკი არ ვიზრუნებთ ჯვარში დაფარული ცხოველმყოფელი ძალის შემეცნებას; მარადის ვიფიქროთ მასზე და გამუდმებით დავიმოძღვრებოდეთ მისგან, მაგალითისაებრ მოციქულ პავლესი, რომელიც კორინთოში ყოფნისას, სხვას არაფერს უქადაგებდა ამ ქალაქის მორწმუნეებს, სხვა არაფერზე მსჯელობდა და სხვა არაფერი ჰქონდა გულში, გარდა იესო ქრისტესი, *„და ესეცა ჯვარცუმული“ (I კორინთ. 2,2)*, ხოლო ცხოვნებადთა განმასხვავებელ თვისებად ჯვარის ძალის გამოცდილებითს შემეცნებას დაუდგენდა: *„რამეთუ სიტყუაი იგი ჯვარისაი წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩვენ, ცხორებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს“ (I კორინთ. 1, 19).*

ამრიგად, თუკი ეს ასე უნდა იყოს ჩვენთვის ყოველთვის, მით უფრო ახლა შეჰგავს ეს, როცა წმიდა ეკლესია მოგვიწოდებს პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის თაყვანისცემისათვის და ამით მიაქცევს მისკენ ჩვენს ყურადღებასა და გულს, მაშ, შევიმეცნოთ ჯვარის საიდუმლო, რათა დავინახოთ, თუ როგორ გამოედინება მისგან ჭეშმარიტი ცხოვრება.

გულით გვწამს და ბაგეებით ვაღიარებთ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ჯვარით სიკვდილის განმაქარვებელმა, საუკუნო ცხოვრება მოგვმადლა მის მიერ, და რომ ყველამ, ვისაც სურს ეზიაროს ამ ცხოვრებას, თავისი ჯვარი უნდა აღიღოს და ზიდოს. აი, მოკლედ, მოძღვრება ჯვარისაგან ჩვენდა მონიჭებული ცხოვრების შესახებ.

„გვწამს, რამეთუ უფალმან ჩვენმან იესუ ქრისტემან ჯვარითა თვისითა სიკვდილი წარხოცა და მისა მიერ მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო. საიდუმლოთა სამოთხე ხარ, ღვთისმშობელო, უმუშაკოდ აღმომაცენებელო ქრისტესი, რომლისა მიერ სოფლად ხე ცხორებისა დაენერგა“ , – გალობს წმიდა ეკლესია (ჯვართამაღლების საგალობელი კანონის მე-9 ირმოსი). და რაც ცხოვრების ხეა სიტკბოების სამოთხის შუაგულში, იგივეა ჯვარის ძელიც ამა ქვეყნის საშუალ- ღელესა ამას გლოვისასა და სიკვდილისასა. სამოთხეში კიდევ სხვა ხეც იყო, რომლის შესახებაც ნათქვამია: *„რომელსა დღესა შეჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“ (დაბად. 2, 17).* ჩვენმა პირველმშობლებმა – ადამმა და ევამ იგემეს და სიკვდილს ეწივნენ. მათი ურჩობით სიცოცხლე დაიკარგა მთელს მის სივრცეში: დაკარგულ იქმნა საუკუნო ცხოვრება, რამეთუ ცოდვით დაცემასთან ერთად სამოთხე დაიხშა, და გამოჩნდა ჯოჯოხეთი – რისხვისა და შეჩვენების ქვეშ მყოფთა სამკვიდრებელი; დაიკარგა სულიერი ცხოვრება, რადგან ადამიანის ღვთაებრივი გონების გაამპარტავნებით სულს განეშორა გულმოდგინე მოშურნეობით განმსჭვალული ზრახვა ღმერთისა და მისი სათნოყოფისათვის, რაც შეადგენს კიდეც სულიერი ცხოვრების არსობრიობას; დაკარგულ იქმნა სხეულებრივი სიცოცხლეც, რამეთუ ამის შემდეგ ითქვა: *„მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე“ (დაბად. 3, 19).* სიკვდილი გამეფდა მთელს ქვეყნიერებაზე და ადამის ყველა შვილში დაისადგურა ცოდვასთან ერთად.

„ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვაი სოფლად შემოხდა და ცოდვისა ძალით – სიკვდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“ (რომ. 5, 12). და მთელი კაცობრიობაც თითქოსდა ერთ მკვდარ სხეულს – გვამს წარმოადგენდა, ხოლო დედამიწა – მთლიანად ბინდბუნდით მოცულ სასაფლაოს ჰგავდა; ამიტომ მთელს კაცთა მოდგმაზე შეიძლებოდა თქმა იმ სიტყვებისა, ისრაელიანთა ძეებზე რომ უთქვამს წინასწარმეტყველს – *„ვიხილე ველი დიდი, სავსე ძვლებითაო“ (ეზეკიელი 37, 2).* მაგრამ როცა აქ, დედამიწაზე, სიკვდილი ისადგურებდა, ზეგარდმო დასაბამი ედებოდა ახალ სიცოცხლეს, ახალ არსებობას ღმერთის მხოლოდშობილი ძის მსხვერპლშეწირვაში, რომელმაც უთხრა თავის ზეციურ მამას: *„ესერა მოვალ... ყოფად ნებისა შენისა, ღმერთო ჩემო... შესაწირავი და მსხვერპლი არა გინდა, ხოლო ხორცნი დამიმტკიცენ მე“ (ფსალმუნი 39, 7-9).* ეს ნება მაშინვე იყო განცხადებული განჩინებაში დათრგუნულიყო გველის თავი; და მომავალი მსხვერპლის სიცოცხლე-შემოსილმა ძალამ მაშინვე დაიწყო მოქმედება რწმენით იმისა, ვისაც მომავალში ეგულებოდა მოსვლა. და ბოლოს, რაჟამს აღესრულნეს ჟამნი, მართლაც გარდამოხდა ქვეყნად ღმერთის მხოლოდშობილი ძე, მიიღო თავის თავში ადამიანური ბუნება, ევნო და მოკვდა ჯვარზე. ამ ჯვარისმიერი სიკვდილით მოკვდინებულ იქმნა სიკვდილი და ჭეშმარიტი სიცოცხლე დაუბრუნდა კაცობრიობას მთელს მის სივრცეში, რამეთუ ჯვარიდან უთხრა უფალმა ავაზაკსაც: *„დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“ (ლუკა 23, 43);* დაუბრუნდა სხეულებრივი სიცოცხლეც, როგორც ეს გაცხადდა განსაკუთრებული ნიშებით უფლის თვით ჯვარზე სიკვდილის ჟამს, როცა *„საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გვამნი შესვენებულთა წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით... და გამოეცხადნეს მრავალთა“* (მათე 27, 52-53).

კაცობრიობას დაუბრუნდა სულიერი ცხოვრებაც, რამეთუ ჯვარცმული უფალი იესო ქრისტე ყველა მონოდებილისათვის – „ჩინებულთათვის“ – გახდა *„ღმრთისა ძალ და ღმრთისა სიბრძნე“* საცხოვნებელად *(I კორინთ. 1,24)*, ხოლო ამგვარად ჭეშმარიტი ცხოვრება კვლავ გამეფდა ქვეყნიერებაზე. მხოლოდ ერთ ღმერთს აქვს თავის თავში სიცოცხლე, ცხოვრება. რამდენადაც ჩვენ ძალგვიძს ცხოვრება, იმდენად გვანიჭებს იგი ცხოვრებას ცხოველ თანაზიარობაში თავისთან. ცოდვამ გაწყვიტა კავშირი, თანაზიარობა ჩვენსა და ღმერთს შორის; ჩვენ დავკარგეთ ღმერთის კურთხევა და სიკვდილს ვეწიეთ. მაცხოვარმა, მიიღო რა თავის თავში ჩვენი ადამიანური ბუნება, თავისი ჯვარზე სიკვდილით შეგვარიგა ღმერთთან. ღმერთმა დაგვიბრუნა ჩვენ კეთილნებელობა, და ჩვენც განვცხოველდით. აი, როგორ და რატომ იქცა ჯვარის ძელი ხედ ცხოვრებისა და უკვდავებისა; აი, რატომ არის ჯვარი – ნათელი საუკუნო, მკვდართა აღდგომა, ყოველთა მკვდრეთით აღდგომა, როგორც ეკლესია გალობს (კანონში ცხოველსმყოფელი ჯვარისადმი).

მაგრამ ცხოვრების მომნიჭებელი წყარო თავისით როდი გადმოიღვრება ჯვარიდან იმათ განსაცხოველებლად, ვისაც არა აქვს სიცოცხლე, მსგავსად სამოთხის მდინარისა, ოთხ ნაკადად რომ მოედინება მთელი ქვეყნიერების დასარწყულებლად. ჩვენ თავად გვმართებს მივუახლოვდეთ მას, რათა განვიცხოველოთ ჩვენი ბუნების მკვდრადქცეული შედგენილობა მისი ცხოველმყოფელი ძალით; თავად უნდა მოვიხაროთ ქედი მის საფარველქვეშ, რათა ჩვენს გამხმარ და მკვდარ ძვლებს ძარღვები შესძინოს მან, ხორცი შეასხას, გარდაართხას ზემოდან ტყავი და თავისი სული შთაბეროს. უამისოდ კი, თუმცა ჯვარში მარადის იქნება დამკვიდრებული სიცოცხლე, ჭეშმარიტი ცხოვრება, მაგრამ ჩვენ უწინდებურად შეიძლება კვლავ მკვდარნი დავრჩეთ; უამისოდ თუმცა ყოველივე ჩვენს გარშემო აღდგება და განცხოველდება, მაგრამ ჩვენ სამუდამოდ შეიძლება დავრჩეთ გამხმარ და უსიცოცხლო ძვლებად.

მაშ როგორ და რითი ვეზიაროთ ჯვარის სიცოცხლის მომნიჭებელ ძალას? როგორ და რითი დავემყნათ ამ ერთადერთ ჭეშმარიტ ცხოველ ზეთისხილის ხეს? – *„რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა მოსლვაი, უვარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე“* – გვეუბნება თავად უფალი *(მარკოზი 8, 34).* ასევე მოციქულიც გვასწავლის: *„ხოლო ქრისტესთა მათ ხორცნი თვისნი ჯვარს აცვნეს ვნებითურთ და გულის თქუმით“ (გალატ. 5, 24).* არ არსებობს ჯვარის მტვირთველთათვის სხვა გზა ქრისტესთან თანაზიარების მისაღწევად, თუ არ თითოეულის მიერ თავისი ჯვარის აღება, რაც მდგომარეობს ხორციელი კაცის ჯვარცმაში მისი ვნებებითა და გულისთქმებით. ჩვენი განცხოველების წყაროა – უფლის მაცხოვნებელი მწუხარებისა და სიკვდილის გაზიარება, რასაც ასეთი გულმოდგინებითა და თავდადებით ეძიებდა მოციქული პავლე, რისთვისაც მას *„ნაგევად“* ჰქონდა მიჩნეული ყოველივე ამქვეყნიური, რათა ქრისტე შეეძინა *(ფილიპ. 3,8).* მაგრამ ამ თანაზიარობის მიღწევა ჩვენ შეგვიძლია არა სიხარულითა და სიამეებით აღსავსე ცხოვრებით, არამედ მწუხარებებითა და ჭირთა დათმენით, როგორიცაა შინაგანი მწუხარებები, გამოწვეული საკუთარი თავის ჯვარცმით. აი, სად არის ჩვენი სულიერი ცხოვრების დასაბამი!

ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანი გაორებული გახდა. მასში სხვა სჯული შევიდა, მოქმედი მისი არსების ნაწილებში – წევრებში, მბრძოლი გონების კანონის წინააღმდეგ და მისი დამტყვევებელი ცოდვის სჯულით, – შემოვიდა თითქოსდა სხვა პირი, სხვა ადამიანი, რომელსაც თავისი თავიც აქვს – ამპარტავნება, თავისი ხელებიც – ანგარების მოყვარება, თავისი სტომაქიც – ხორცის თნება; *„ამ, მოსულმა ადამიანმა შეავიწროვა უწინდელი ადამიანი, დასთრგუნა ჩვენი ადრინდელი ჭეშმარიტი ცხოვრება. იმისთვის, რომ მკვდრეთით აღვიდგინოთ და განვიცხოველოთ ეს ცხოვრება, ჯერ არს მოვაკვდინოთ ის უცხო ადამიანი, რომელიც ყოველივეს უკანონოდ დაეუფლა ჩვენში და მთელი ჩვენი საქმიანობის სული და გული გახდა. ცხოვნების მსურველმა უნდა წარიწყმიდოს ეს სული, მცნებისაებრ მაცხოვრისა“ (მარკოზი 8, 35).* და მართლაც, მხოლოდ ის ადამიანი, ვინც წარიწყმედს მას საკუთარი თავის შინაგანი ჯვარცმით, იწყებს ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებას. იმ ჯვარიდან, რომელზეც აღესრულება ცოდვილი ადამიანის მიერ საკუთარი თავის ჯვარცმა, – სწორედ და საკუთრივ მისგან აღმოცენდება საღმრთო მადლის ძალით თითოეულისათვის ჩვენი სულიერი ცხოვრება. რამეთუ როცა ცოდვის კაცის თავი – ამპარტავნება განიგმირება, მაშინ მის ნაცვლად სულში თავმდაბლობა დაისადგურებს; როცა ჯვარს მისი ხელები – ანგარებისმოყვარება მიემსჭვალება, მაშინ მის ნაცვლად უანგარობა დამკვიდრდება; როცა წვივები – ხორცის თნება გაიკვრება ჯვარზე, მაშინ მის ნაცვლად კეთილკრძალულება და უბიწობა იშვება; როცა, ბოლოს, მისი გული – თავისმოყვარება განიგმირება, მაშინ მოემადლება ადამიანს ღმრთივსათნო უარყოფა საკუთარი თავისა.

თავის უარყოფა თავმდაბლობასთან, უანგარობასთან და კეთილკრძალულებასთან ერთად წარმოადგენს სულიერი ცხოვრების პირველ აღმონაცენებს, პირველ სტიქიებს, და ამ ცხოვრებას შემდგომ მხოლოდ თავისუფლებაღა უნდა მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რომ გაიზარდოს, განმტკიცდეს და სისრულეში მოვიდეს. რამეთუ რაც უფრო მეტად მოიკვდინება ცოდვა, მით უფრო მეტად განცხოველდება სული; რაც უფრო გადაჭრილი და უმოწყალო იქნება საკუთარი თავის ჯვარცმა, მით უფრო სარწმუნო და კეთილწარმატებული აღმოჩნდება ჭეშმარიტი ცხოვრების აღორძინება მისი ხარისხების მიხედვით, რომლებითაც გადადის იგი ძალიდან ძალაში, ვიდრე თავისი ასაკის სისრულის საზომს მიაღწევდეს.

ასე მომდინარეობს ჭეშმარიტი ცხოვრება ჯვარისაგან. ვისწრაფოთ მისგან წარმოდინებული ცხოველმყოფელი წყაროსაკენ და, დაე, ნუ შეგვაშინებს ამ მაცხოვნებელ საქმეში ჯვარის ტვირთვის მტკივნეული მწუხარებანი. მართალია, დიდად საძნელო და შემაურთებელია ჯვარით შედგომა მაცხოვრის კვალად, მაგრამ მასთან ამაღლებული ნუგეშის ცემაცაა დაკავშირებული.

მძიმეა ეს გზა, მიმყვანებელი ცხოვნებად, მაგრამ მასზე მავალთათვის ასევე არსებობს საიმედო გაძლიერებანი. სწორედ ეს ჯვარი ქრისტესი, რომელიც საფუძველთა საფუძველი და დასაბამია ჩვენი განცხოველებისა შინაგანი ჯვარის მეშვეობით, იქცევა ჩვენთვის ნუგეშად და შეწევნად. ვინც შეიყვარებს მას და ამ სიყვარულით გადაიტანს თავის გულში, ის გამუდმებით დატკბება კიდეც მისი სიტკბოებით და აღივსება, შეიმოსება მისი ძალით. ასეთ ქრისტიანს ვეღარ აღაშფოთებენ ზრახვებისა და გულისთქმების მღელვარე ზღვის ზვირთები; ქრისტეს ჯვარი, მსგავსად მოსეს კვერთხისა, განაპობს და გადალახავს ამ ზღვას და უგანსაცდელო მსვლელობას მოანიჭებს მას. ასეთ ქრისტიანს ვერ შეარყევენ ვერც გულის შინაგანი ტკივილები მისთვის საყვარელ საგნებთან განშორების გამო, ვერც გარეგანი გაბოროტებანი უმართლობისა, რომელიც ყოველთვის მტრობს და ებრძვის სიმართლეს: უფლის ჯვარის საკურნებელი ძალა ზეჭარბად დაატკბობს სულის მწუხარებებს, როგორც ოდესღაც მოსეს მიერ წყაროს ნაკადულში შთადებულმა კვერთხმა განაქარვა წყალთა სიმწარე.

დაე, გაეცალოს მას ხსნისა და ცხოვნების ყველა მტერი: ყოვლადძლიერი ჯვარი მოიგერიებს და განგმირავს მათ, როგორც ისრაელის მტრებს განგმირავდა მოსეს (გადაჯვარედინებულ) ხელთა ზეაღპყრობა. მაგრამ რაც ყველაზე სასურველია, ასეთ ქრისტიანზე ქრისტეს ჯვარი ღმერთის კურთხევას გარდამოიწვევს მისი ყველა კეთილი წამოწყებისა და შრომისათვის, როგორადაც იაკობის გადაჯვარედინებულ ხელთა დასხმამ ეფრემსა და მანასეზე გარდამოიწვია მათ შთამომავლებზე სიკეთეთა სუხვე; – გარდამოიწვევს იმ კურთხევას, რომლის ძალმოსილი შეწევნითაც ადვილად, წარმატებულად, მრავალნაყოფიერად აღესრულება ნებისმიერი კეთილი და სასარგებლო საქმე და რომლისაგანაც ასეთი ადამიანი ისევე აყვავდება და გაიხარებს ქრისტეს ეკლესიაში, როგორც ხე, დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა. ესე იყავნ ჩვენ ყოველთა ზედა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელმან ჩვენი გულისთვის იტვირთა ჯვარი და მის მიერ განგვაცხოველა ჩვენ.

ამინ!

შეადგინა და თარგმნა

ვასილ გურკაძემ

***

ჯავახეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენ სულ 15-მდე სოფელია ქართველებით დასახლებული და ოთხი საერო სკოლა გვაქვს გამართულიო: ქილდასა, ბარალეთსა, ხიზაბავრასა და ხერთვისსაო. ხერთვისში ნახევარი მცხოვრებლებისა ქართველი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ისინიც აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაშიო. სამწუხაროდ, გვწერს კორრესპოდენტი, ქართული წიგნები ნაკლებადა გვაქვს აქეთაო. ერთ-ერთი წიგნი, რომელიც მოიპოვება სკოლებში ჩვენს ბედობაზედ, არის „დედა-ენაო“, მაგრამ მარტო „დედა-ენა“ საკმარისი არ არისო. სხვა წიგნებს-კი არც ფასით და არც მუქთად არავინ არ გვიგზავნის. ამას წინად „დედა-ენაც“ არ იყო ჩვენს სკოლებში და მასწავლებელი ქაღალდზე სწერდა ქართულს ანბანს და ისე ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას.

ამ ზაფხულს აქ გადმოვიდა აქ მღვდლად ნამყოფი მამა გიორგი ასათიანი, რომელიც დღეს წინამძღვარიან-კარში არის მღვდლათა და სამღვთო

ბარალეთის სასოფლო სკოლა

წერილის მასწავლებლადაო და იმან გადმოუტანა შეგირდებს საჩუქრად რამდენიმე ქართული წიგნიო. უნდა გეცქირნათ, რა სიხარბითა და აღტაცებით მიიღეს ეს სასიამოვნო საჩუქარი მოსწავლე ყმაწვილებმა და მაშინ დარწმუნდებოდით, რა ძლიერია ჯავახეთში სურვილი ქართულის წერა-კითხვის სწავლისა და საზოგადოთ ქართულის წიგნისაო. ერთხელ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მოგვაწოდა რამდენიმე წიგნი და დღესაც ვსთხოვთ, ნუ დაგვივიწყებს და ან საჩუქრად ან სწორედ გასასყიდად გამოგვიგზავნოს ქართველ მწერალთა ნაწერები ჩვენის მოზარდის ახალ-გაზდობისთვის, რომელსაც ასეთის სიხარბითა ჰსურს და სწყურიან სწავლა და ქართულის წიგნების კითხვაო. მეტად სასიამოვნოც არის და თან მეტად სამწუხაროც ეს ამბავი. სასიამოვნოა იმიტომ, რომ ასეთი სურვილი ჰქონიათ ჯავახეთში სწავლისა და სამწუხაროა კიდეც იმიტომ, რომ ჩვენ ყურადღებასაც არ ვაქცევთ ამ გარემოებას და არ გვინდა მივეშველოთ და დავუკმაყოფილოთ ხალხს ეს სურვილი, ვისაც ასხმიან ყურნი სმენად, ისმინონ.

გაზეთი „ივერია“ 1886 წელი, N212

სოფ. მუსხის სამრევლო სკოლის მოსწავლეები
და თანამშრომლები. XIX ს. 80-იანი წლები

ნება და ლიფული
(მოწერილი ამბები)

ახალციხის მაზრა, 13 თიბათვე. ახალციხის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი ორის სამამასახლისოსგან შესდგება. ერთია ურავლისა და მეორე – ლებისისა. ადგილი აქეთ მთა-გორიანია, წყალი ბლომად არის, თუმცა ღრმა ხევ-ღელეებში მომდინარეობს. ნიადაგი ნოყიერია, ჰაერი კარგია და მარგებელი, ზოგ სოფლებში მიწა სარწყავია, ბოსტნები და ბაღები აქვთ. ურავლისა, წყორძისა და ფულის ვაშლი, სხვა-და-სხვა ჯურისა, დიდად ნაქებია, როგორც გემოვნებით, აგრეთვე მშვენიერის სუნით. სამხრეთით მშვენიერი ტყეებია. ტყეებში მაღალ-მაღალი საბალახო სერები და გორებია. აქ მოუდით ზაფხულობით ცხვრები თუშებს. სულ ამ სამამასახლოში 26 სოფელია. ყველაზედ დიდს სოფელში აქ 35 კომლზე მეტი არ არის. გვარ-ტომობით მოსახლენი ქართველები, თათრები და ქურთები არიან. ამ მარტო ურავლის საზოგადოებაში რვა ქართველთ სოფელია: ანდრია-წმინდა, ღრელი, ტობა, მუსხი, ჯობარეთი, ზველი, ერკოტა და დადეში.

ამ სოფლებს ჰქონდათ სოფელს მუსხში ერთი სკოლა, რომელსაც „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ ინახავდა 1868 წლიდგან, კარგა დიდხანს. ვიდრე სკოლა არსებობდა, ხალხი ძლიერ გულ-გრილად ეკიდებოდა, თუმცა ადგილობრივი მთავრობა ზოგჯერ ძალასაც-კი ატანდა ბავშვების სწავლისათვის, მაგრამ ხალხს მაინც შვილების სწავლა ჭირივით ეჯავრებოდა. თუმცა ამ გაჭირებით მიდიოდა სკოლის საქმე, მაგრამ სკოლამ მაინც დიდი ნაყოფი მოიტანა. ბევრმა აქ ნასწავლმა კარგი სამსახურის ალაგი იშოვა და ცხოვრებაში წინ წავიდა. ერთი მუსხელიც მალე გაათავებს ტფილისის სასულიერო სემინარიას. მთავრობამ ამ ხალხის უყურადღებობის გამო აგერ ხუთი წელიწადია დაჰკეტა ეს სკოლა. ახლა ჩვენი სოფლელები გონს მოვიდნენ, ბევრს ნანობენ, იგრძნეს, რამდენად საჭიროა სწავლა, მეტადრე, რაც ეს ჯარის კაცის გაყვანა დაიწყო ჩვენში, მაგრამ გვიან-ღა არის. ახლა თვითონ უნდა ეცადნენ თავიანთ თავისათვის. მართალია გლეხ-კაცს ბევრი გადასახადი აწევს, მაგრამ, საცა 10 ან 20 მანეთი ეხარჯება ერთ კომლს, იქ ცოტა რამეც არ უნდა დაზოგოს იმ ნაირ აუცილებელ საჭიროებისათვის, როგორიც არის სწავლა-განათლება. არც ისე ღარიბები არიან აქაური გლეხები. ამათი შეძლება რომ შევადაროთ ქართლ-კახეთისა და იმერეთის გლეხობის შეძლებას, ესენი ბევრით აჯობებენ. ამათთვის ძნელი არ იქნება, რომ წელიწადში კომლზედ მანეთ ნახევარი გამოიღონ. შეუძლიან სთხოვონ „წერა-კითხვის საზოგადოებასა“ და ისიც დაეხმარება. ამ სახით საკუთარს სკოლას გაიჩენენ ისევ სოფ. მუსხში, ძველ სასკოლო შენობაში, რომელიც მზად აშენებულია და სამოსწავლო ნივთებიც ბევრი ისევ სრულად არის. ამ საგანზედ საფარის მღვდელმა მამა მეტრეველმაც ბევრი ურჩია მრევლს, მაგრამ დრო დღე-დღეობით მიდის და საქმე არ ბოლოვდება.

საჭიროს ვრაცხ ვსთქვა რამდენიმე სიტყვა აქაურ ადმინისტრაციაზედაც. ადმინისტრაციის ყურადღების გამო დღეს უკეთ მიდის სასოფლო საქმეები. მამასახლისები და მოსამართლენი სოფლისა უფრო ბეჯითად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას. ახალციხის მაზრა დაყოფილია სამ საბოქაულოდ: საბოქაულო ურავლისა, აწყვერისა და ადიგვნისა. მართალია, აქამდე, თუმცა ხშირად-კი არა, მაგრამ ხანდისხან მაინც არ აკლდა ამ ჩვენს ურავლისა და ლებისის საზოგადოებას ავაზაკობა, ე.ი. ქურდობა, ჩხუბი, საქონლის პარვა, თათრებში ქალების გატაცება და სხ. ამისთანები, მაგრამ ეხლა ამაზედ კრინტიც არ ისმის აგერ წელიწადია. ურავლის ახალმა ბოქაულმა, თავ. ლევ. ანდრონიკაშვილმა, რომელიც გამწესებულია აქ სიღნაღის მაზრიდგან, მოსვლისთანავე დაიარა თავისი საბოქაულო, რომელიც ორ საზოგადოებისგან, ურავლისა და ლებისა, და ერთმანეთზედ დაშორებულ და მთა ტყეებში 50 ვერსის სივრცეზედ დაფანტულ სოფელთაგან შესდგება, – შეჰკრიბა ხალხი და ჯეროვანი დარიგება მისცა ყველას, აუხსნა მათ მთავრობისა და კანონის წინაშე მოვალეობა-უფლებანი. ბოქაულმა მიაქცია ყურადღება აგრეთვე გზების უვარგისობასა და ხიდების უქონლობას, მართლაც, რომ ურავლისა და ლებისის საზოგადოების მცხოვრებნი ძრიელ დიდს გაჭირვებაში იყვნენ ამ მხრით. გასაყიდის რისამე ახალციხეს წაღება სხვაფრივ შეუძლებელი იყო, თუ არა ცხენსა, ან ვირზედ აკიდებული. დადგებოდა ზამთარი და ისევ გასაჭირი იყო სიარული, რადგან, აქ არის ერთი ხევი, რომელსაც სატალახეოს ეძახიან. ამ ხევში გადის საზოგადო ვიწრო გზა და აქვე მომდინარეობს ურავლის წყალი. ეს წყალი ზამთრობით ისე შეიკვროდა ყინულით, რომ დიდის სიფრთხილითაც საშიში იყო ცხენის გატარება და უბედურებაც ხომ არ ასცილდებოდა ხოლმე. ეს კიდევ არაფერი. ამ წყალმა გაზაფხულობით ისე იცის ადიდება, აქაურის მთების წყალობით, რომ არტანის წყალს არ ჩამორჩება, და ამ დროს ორთვემდისაც თითქმის მოისპობა ხოლმე ახალციხეს წასვლა. ვინ მოსთვლის, რამდენი ცხენი და კაცი დაურჩვია ამ წყალს. ამ გაჭირვებას იხელთავდნენ ხოლმე და იყენებდნენ ბაირამს აქაური ურიები და სომხები, რომლებიც, როგორც სურდათ, ისე ჰყიდდნენ სოფლებზე თავიანთს ფართალ-ფურთალს. ამ წყალდიდობაზედ ვერც მაზრის ექიმი და ვერც პოლიციის მოხელენი დროზედ ვერ მოეშველებოდნენ სოფლებს, რაც უნდა საჭირო ყოფილიყო, უნდა ძალიან შორის გზით მოეარათ. ახალმა ბოქაულმა სთხოვა მაზრის უფროსს, ბ-ნ ტიზენგაუზენს, მთავრობისაგან გამოეთხოვა ნება-რთვა ხიდის გაკეთებისა, საჭირო ხე-ტყეც უფასოდ უშოვა ხალხს, ხოლო ფული კი, რაც საჭირო იყო ოსტატებისა და რკინეულობისათვის, ზოგს თვითონ ბოქაული შეეწია და ზოგი ახალციხის მოქალაქემ პ. სეხნიევმა შესწირა. ამ რიგად გლეხებს მუშის მეტი არა წასვლიათ-რა. ერთს თთვეზედ ამ წელსვე მარტში საუცხოვო ხიდი დადგეს სოფ. მუსხის გვერდით, არტანის წყალზედ, ფოსტის გზის კიდურ და ეხლა აკეთებენ, იქიდგანვე დაწყებული, ფოსტის გზის მიმსგავსებულს გზას. ხალხი გულმოდგინედ მუშაობს და დიდ სიხარულშიაც არის. თვით ბოქაული არა შორდება მუშას და ისე ერთგულად ეკიდება ამ კეთილ საქმეს, რომ სხვა თავის საკუთარ საქმეზედაც არ იქნება ასე ბეჯითი. ეს გზა გაივლის მუსხიდგან ახალ სოფლის კიდურ და მივა ურავლის სამკურნალო მჟავე წყლამდე, რომელიც მუსხიდგან მდებარეობს ათ ვერსზედ. ამ გზას უეჭველად ამ ზაფხულასვე მორჩებიან და გაზრახვა აქვთ მომავალს წელს ამ ნაირივე გზა აიტანონ აქედგანვე ლებისის საზოგადოებაში, რომელიც მდებარეობს მაზრის საზღვრად, მთა ალაგას. წელსვე აკეთებენ და მორჩებიან საფარის მონასტრის გზასაც, რომლისთვისაც მაზრის უფროსმა ოთხის საზოგადოებისაგან გამოიყვანა მუშა. როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, ეს ყოველივე ხომ ამ ჩვენის ახალ მაზრის უფროსისა და ბოქაულის წყალობით მოხდა, თორემ ბევრი ჩაილულის წყალი ჩაივლიდა, რომ ისევ ადრინდელ ტანჯვაში ვყოფილიყავით: რა რჯული ხალხისც იყოს, ყველა მადრიელია აქაურ ახალ მაზრის უფროსისა და ბოქაულისა და ყველასაგან ქება და დიდება გაისმის. ღმერთმან ინებოს ამათი აქ ყოფნა მრავალ ჟამიერ. თუ რამდენად სარგებლობას მოუტანს ეს ხიდი და გზები აქაურ მცხოვრებთ და თვით საფარის მონასტერსაც, ეს ხომ ყველასათვის ცხადია.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ როგორც ყოველ ამ გაჭირვებაში ხალხს შემწეობა აღმოუჩინა ჩვენმა ბოქაულმა თავ. ანდრონიკაშვილმა, სხვა გზითაც არ დასტოვებს აქაურ ქართულ სოფლებს სიბნელეში და მოინადინებს შეაგონოს აქაურნი, განაჩენი შეადგენინოს სკოლის გამართვის თაობაზედ და ბარემ ეს სამადლო და საკეთილო საქმეც მოახერხონ.

ურაველელი,
გაზეთი „ივერია“, N 129, 1889 წ.

წერილი აწყურიდან

1893 წლის ბოლოს ახალციხის მაზრის ზოგიერთი სოფლებიდგან გადასახლდნენ ოსმალეთში რამდენიმე კომლი ქართველ-მაჰმადიანთა; ამ შემთხვევით ვისარგებლეთ ჩვენ და, რადგან ბორჯომის ხეობაში მიწის უქონლობის გამო ვიყავით ფრიად შეწუხებულნი, ვიხმარეთ ყოველი ღონის-ძიება, გავყიდეთ რაც-კი გვებადა და 25-მა ქართველ მოსახლემ გავბედეთ შეხიზვნა სოფ. აწყურში და ტყემლანაში 400 კომლ ქართველ-მაჰმადიანთა შორის; დავესახლეთ გარდასახლებულთა ადგილ-მამულებზედ, რომელნიც მათგან შევისყიდეთ და ამით, ცოტა არ იყოს, ჩავცვივდით ვალში. თანახმად ჩვენის თხოვნისა და ადგილობრივი საზოგადოების სურვილისა, ტფილისის სახაზინო პალატამ მოახდინა შესაფერი განკარგულება და ჩვენც ჩარიცხულ ვიქმენით აწყურის და ტყემლანის მცხოვრებთა შორის. სიშორისა გამო ჩვენგან მართლ-მადიდებლის მღვდლისა, რომელიც ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რათა დააკმაყოფილოს ხალხის სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი, მივმართეთ უმორჩილესის ბრძანებით 1 ივლისს, 1894 წელს, დამტკიცებულ იქმნა ახალი შტატი მომავალ აწყურის ღვთის-მშობლის მიძინების ტაძართან და სახელმწიფო ჯამაგირით (650 მანეთი). დაგვენიშნა საეკლესიო კრებული, რომელიც შესდგება მღვდლისა და მედავითნესაგან. ასე, ამგვარად გაიხსნა პანია სამრევლო იქ, სადაც ოდესმე ბრწყინავდა ნათელი ჭეშმარიტებისა, მძლავრობდა და კეთილ-დღეობდა მართლმადიდებელი ქართველთ ეკკლესია და სადაც მოღვაწეობდნენ ჩვენნი წინაპარნი.

მოგეხსენებათ, ის გარემოებაცა, რომელ „სამცხე-საათაბაგო“ ჟამთა ვითარებისა გამო დიდ ხანს იყო ოსმალეთის მფარველობის ქვეშე და ისიც უწყით, რომ ისლამის მიმდევართ შეუბრალებლად გაანადგურეს ჩვენნი მრავალნი ციხე-სიმაგრენი, გაძარცვეს და დაანგრიეს მდიდარნი და ფრიად შესანიშნავნი ეკკლესიანი, ხოლო მცხოვრებთა უმეტესი რიცხვი, ძალითა მახვილისათა გაამაჰმადიანეს; ამაზედ უარესი უბედურება სწვევია თურმე აწყურის მცხოვრებთა: ესენი ისე შეუვიწროებია ოსმალთა ძალდატანებას, რომ, გარდა სარწმუნოების გამოცვლისა, ხალხს სრულებით დაუვიწყებია მამა-პაპური ზნე-ჩვეულებანი და, სამწუხაროდ, დედა-ენაც – ქართული. გარშემო მდებარე სხვა სოფლებში ყველგან დაცულია წიგნი დედა-ენა, იქ პანია ყმაწვილებიც კი მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს, ხოლო აწყურში და ხერთვისში-კი, როგორცა დაბა და მრავალ მცხოვრებლებიან და გავლენიან ადგილებში, სრულიად აღმოუფხვრიათ ქართული ენა და, თუ ზოგიერთ მოხუცებულებმა იციან ქართული, მაინც არ ლაპარაკობენ ამ საგანზედ, რადგან მოლლების შთაგონებით დიდი ცოდვაა, თურმე, როდესაც მუსულმანი ლაპარაკობს უსჯულოების ენაზედ. ამ მიზეზისა გამო აიხსნება ის გარემოებაცა, რომ მიწის ძვირისაგან შერყეული შესანიშნავი აწყურის ტაძარი ღვთის-მშობლის მიძინებისა სრულიად გაუძარცვიათ, უწყალოდ უმტვრევიათ მშვენიერი ძვირფასი ჩუქურთმებიანი ქვები და ჯვრები, ხოლო მომეტებული ნაწილი მოუხმარებიათ თავიანთ შენობაებზედ; უზარ-მაზარი ძველი საკათედრო ტაძარი აწყურის ეპარქიისა – ეს დიდება ჩვენის წარსულის დროისა, ასეა დაცემული, რომ მისს აღდგენას რამდენიმე ასი ათასი მანეთი დასჭირდებოდა. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენის სიღარიბის გამო, არამც-თუ არ შეგვიძლია ხსენებული ტაძრის განახლება, არამედ ფრიად გვიმძიმს აღშენება სრულებით უბრალო სალოცავ-სახლისაც. ამისათვის საეპარქიო მთავრობის ნება-რთვით ჩვენ იძულებულნი ვართ მივმართოთ ყველა გულ-მტკივნეულ და ქველ-მოქმედ პირს უმორჩილესის თხოვნით, მოგვაწოდონ ხელი შეწევნისა, რათა დავაფუძნოთ სოფელ აწყურში სამრევლო ეკკლესია და სკოლა, რომელთა უქონლობა აქ ფრიად შესამჩნევია, ვინაიდგან აქაურ თათრებს და ებრაელთ აქვთ თითქმის ორ-ორი სალოცავი, ხოლო ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებასა აღვავლინოთ ხოლმე ღვთისადმი ლოცვა-ვედრება ტაძარში, აღვზარდოთ შვილნი ჩვენი სარწმუნოებრივ და ამითი ერთის მხრით დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილება და მეორეს მხრით ვუჩვენოთ ჩვენს მეზობლებს უპირატესობა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა და ნელ-ნელა გავუღვიძოთ მათ სიყვარული თავის თვის-ტომობისა – ქართველობისა.

ამ ჩვენს შევიწროებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს და შესაფერი შემწეობა აღმოგვიჩინეს შემდეგ პირებმა: მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ მემკვიდრე ცესარევიჩმა დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, ბ.ბ. გუბერნატორებმა: ტფილისისა, განჯისა, რიაზანისა და სხვა პირთა, რომელთა შემოწირულობითა ჩვენ უკვე აღვაშენეთ ტაძარ-სკოლის კედლები, განვამზადეთ სახურავი მასალა, გარდა თუნუქისა და აწ-კი შეგვიჩერდა საქმე, რადგან აღარა გვაქვს შეძლება, რომ დავამთავროთ შენობა. რაც შეეხება კანკელს, ხატებს, საეკკლესიო წიგნებს, შესამოსელს და სხვა საეკკლესიო სამკაულს: ზარებს, შანდლებს და სხ, უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ მხრივ დიდი ნაკლულევანება გვაქვს: არცა გვაქვს დახმარების იმედი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან, რადგან ჩვენი სამრევლო, ვითარცა დაფუძნებული სახაზინოს ხარჯით, არ ითვლება ხსენებულ საზოგადოების უწყებაში, ხოლო ხაზინისაგან შემწეობის თხოვნას (казенной субсидий) ვერა ვბედავთ, რადგან საკმაოა ჩვენთვის ის წყალობა, რაიცა უმაღლესად მოებულ იქმნა ჩვენზედ კრებულის განწესებით სახელმწიფო ხარჯითა.

ამა მოხსენებულ გარემოებათა გამო, ჩვენ, ვითარცა დაჩაგრულნი და შემწყვდეულნი მაჰმადიანთა უმრავლეს რიცხვთა შორის, გაბედულობით მოგმართავთ უმორჩილესის თხოვნით, რათა თქვენის გაზეთის შემწეობით გააცნოთ გულმტკივნეულ ქართველობასა ზემოხსენებული ჩვენი შევიწროებული მდგომარეობა, რათა როგორმე ქველ-მოქმედთა შემწეობით დავამთავროთ დაწყებული კეთილი საქმე, ადრესი: Въ Ахалцихъ. Благочинному Протоиерею Д.Хахуташвили, для передачи Ацкурской церкви.

22 ივლისი, 1895 წ. აწყური
გაზეთი „ივერია“, 1895 წ. N241

მატიანე

პორფილე არჯევანიძე (მარცხნივ პირველი) ოჯახის წევრებთან ერთად (მისი შვილიშვილის ავთანდილ წიქვაძის საოჯახო ალბომიდან)

ვინ იყო პორფილე არჯევანიძე?

წაღვერში, მდინარე გუჯარულას მარჯვენა მხარეს შეფენილ მარადმწვანე წიწვნარის ტყეს დღესაც „არჯევანიძის ტყეს“ უწოდებენ. ამ ტყეში დამსვენებელთა და მოაგარაკეთა მრავალი სახლია აშენებული, ზოგიერთი 50-60 წლის წინათ აშენდა, ზოგი თანამედროვე ნაგებობაა. ამ სახლების მესაკუთრენი საქართველოს გამორჩეული მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, მწერლები, პოეტები და საზოგადო მოღვაწეები არიან.

ვინ იყო პორფილე არჯევანიძე? რა დამსახურებისათვის შემორჩა დღემდე ამ ტყეს მისი სახელი?

როგორც დოკუმენტებითა და ადგილობრივების გადმოცემით ირკვევა, არჯევანიძე გასული საუკუნის 10-იან წლებში წაღვერში ყოველ წელს ცოლ-შვილით დასასვენებლად ჩამოდიოდა. მას ძალიან მოსწონებია წაღვერი, იჯარით აუღია ეს ტერიტორია და განუზრახავს თავისი საკუთარი თანხებით აეგო სკოლა-სანატორიუმი ფიჭვნარის ტყეში, ღორღების წყლის მარჯვენა მხარეს.

გადმოცემის მიხედვით, მეტად საინტერესო ისტორია აქვს ამ სანატორიუმის აგებას: მას ხარაგაულში დაუნგრევია თავისი საკუთარი სახლი და ამ ტყეში ამოუტანია. ვიცი მხოლოდ და კარგად მახსოვს, – ტყეში აშენდა სანატორიუმი ბავშვთათვის, რომლებიც ჩამოჰყავდა მას თვითონ და რომლებსაც ფორმად ჰქონდათ მწვანე ფერის ტანსაცმელი, თეთრი საზაფხულო ქუდებით.

ვალერიან ლომიძე

ანდაზები

– წვენიც შენი იყოს და ფოჩიცაო;
– ჭადი პურობას არ იზამსო;
– შეთვლით შვილი არ შეიქნებაო;
– მინდორო-თვალიანოო, კედელო-ყურიანოო;
– ქარის გარეშე ოჯახი ქარიაო;
როცა მამა კვდება, სახლს დედაბოძი ეცლება, როცა დედა – სახლი ჩამოიქცევაო;
– ისეთ ადგილას უნდა შეხვიდე, გამოსაქცევს არ ეძებდეო;
– თაგვი პატარაა, მაგრამ ზვინის ქვეშ არ იჭყლიტებაო;
– ვაჭარს ჰკითხეს: ვინ გაგყიდაო? და – ჩემმა სინდისმაო;
– ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდსო, გვიან ამდგარი – თვალებს იფშვნეტსო;
– გეჭირებოდეს, გეღირებოდესო;
– ნაყავ, ნაყავ და ისევ ნიორიო;
– უხეირო გინდ მყოლია, გინდ არაო;
– გარეთ გადი გახევხევდი (ამაყად გაისეირნე, პრობლემა არ შეიმჩნიო), შინ შემოდი – მოიგვარეო;
– ძილი მქონდა უყვედური, მან გამხადა უბედურიო;
– საყდარი დიდია, მაგრამ ხატი – პატარააო;
– ქვა თავის ადგილას მძიმეაო;
– მღვდელს თავისი ალელუიასი თვითონაც არ სჯეროდაო;
– სანამ ვშობდი, ყველას ვჯობდიო;
– აჭარელს სახლში თუ შეუშვებ, სიძეობას მოგინდომებსო;
– მეზობელმა ფეტვი თოკზე გამიფინაო;
– ყვავმა თქვა: ზღვას იქით რომ გავალ, თეთრ კვერცხს დავდებო;
– ვირი რომ წიხლს გიშენს, ერთს თუ სხვას მოარტყამს, ათასს თავის პატრონსაო;
– ყრუსათვის ორჯერ არა სწირავენო;
– ენა გულის მოციქულიაო;
– ღვინოს თუ დაუმეგობრდი, ნამუსს დაემშვიდობეო;
– გველმა კბენა არ იცოდა, კაცმა ასწავლაო;
– ბუმბულს სანამ ქარი დაუბერავს, თავი მძიმე ჰგონიაო;
– თუ კაცს ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო;
– წამწამი ისე არ გაიზრდება, რომ წარბს ასცილდესო;
– ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიადგება მზეო;
– სწავლა ცოდნის თესლია, ცოდნა – ბედნიერებისაო;
– ბრძენთან ბრიყვი რა მოსატანიაო;
– ავ კაცს მეზობლის წიწილა ბატი ეგონაო;
– მწყემსს ერთი დღე შეხვდა და ისიც ავდრიანიო;
– ცხენს თუ გააძღებ დოღში სხვა მიასწრებსო;
– უსირცხვილო სტუმარი მასპინძლის მტერიაო;
– ერბო-კვერცხის სიყვარულით ტაფას კოცნიდნენო;

მთქმელი *ნათლა კაჭკაჭაშვილი-სარიშვილი*, 68 წლის, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოლაჯური, ჩაიწერა *გიორგი სართანიამ* 2021 წელს.

თქმულებები

გადმოცემა ნასოფლარ ჭურას შესახებ

ერკოტის მაღლა, მთისძირში, ნასოფლარია; ადრე მას ერქვა ჭურა. იქ ცხოვრობდა ერთი უსინათლო მოხუცი, 102 წლისა.

ზევით „ირმის რქას“ უძახიან, მაღალი მთაა.

ამ უსინათლო მოხუცს სამი შვილი ჰყოლია. ერთ დღეს გამოსულან მისი შვილები და დაუნახავთ ამ მთაზე თეთრი რაღაცაა გადაფარებული. მოხუცს უთქვამს, ეგ რაა ერთი, ადით იქ და ჩამომიტანეთო. ასულან ვაჟები, მოუხვეტიათ, შეუგროვებიათ და ეს თეთრი მასა ჩამოუტანიათ.

უსინათლო მოხუცს ხელი შეუხია თუ არა, უთქვამს: ამის შემდეგ აქ ჩვენი ცხოვრება აღარ შეიძლება, უნდა წავიდეთ აქედანო; ეს თეთრი მასა თოვლიაო, აქამდე არ გამიგონია, აქ თოვლი მოსულიყოსო.

მანამდე იქ, თურმე, თოვლი არ მოსულიყო. თურმე ამ ადგილებში ხარობდა ვენახი; ახლაც ეტყობა, – ველური ჯიშებია აქა-იქ ნასახლარებში ამოსული.

ამ სოფლიდან წასული ხალხი, გადასულა დასავლეთის რაიონებში; ზედგინიძეების გვარით ახლაც ვხვდებით საქართველოს დასავლეთის რაიონების სოფლებში ხალხს, რომლებიც ნასოფლარ ჭურადან არიან წასულები

მთქმელი სტეფანე ვასილის ძე ბერიძე, 65 წლის. ასპინძის რაიონის სოფელი ერკოტა. ჩაიწერა სიმონ ძურდაძემ 1965 წელს. თსუ ფ. არქ. N 3875

გადმოცემა სოფელ ზველის შესახებ

ამ სოფელში სხვებზე ადრე მოშენებულან ზედგინიძეები.

ჩვენი მამა-პაპანი ცხოვრობდნენ გორში, ხიდისთავში. ამ ხიდისთავში ყოფილა თურმე ქართველი მღვდელი. ამ მღვდლის შვილს ჰყოლია კარგი ცოლი, რომლისთვისაც ბატონს დაუდგამს თვალი. ქალს ეს ამბავი უთქვამს მამამთილისათვის. როცა აღარ მოასვენა ბატონმა ეს ქალი, მამამთილმა დაარიგა: ბატონს უთხარი, მამამთილს ღამით ბაღში დავაწვენ და შენ ჩემთან მოდიო. ქალმა მართლაც ასე უთხრა ბატონს; ღამით მამამთილი დამალულა იქვე სახლთან, ეზოში. გაუშლიათ ლოგინი და შიგ კუნძი ჩაუდევთ მამათილის მაგივრად. ბატონი მოსულა და ხმლით აუკუწნია ეს საწოლი. ამ დროს ქალის მამამთილს, რომელიც გვარად ზედგინიძე ყოფილა, მოუკლავს ბატონი.

მღვდლის ოჯახი ამის შემდეგ გამოქცეულან ამ სოფლიდან. დღე იმალებოდა და ღამით მოდიოდნენ. ამოსულან ღობიეთში. აქ ყოფილა ასლან-ბეგი, თათრის ბატონი. უთქვამს მღვდელს ბეგისთვის თავისი თავგადასავალი და უთხოვია პატრონობა. სჯული თუმცა ერთი არა გვაქვს, მაინც გთხოვ, რომ შემიფაროო. მასაც შეუფარებია და ერთხანს ასე ცხოვრობდნენ.

მღვდლის შვილები ერთხელ წამოსულან სანადიროდ. ამ ადგილებში ადრე ყოფილა დიდი ტყეები. შემთხვევით ერთი ბიჭი წასწყდომია პატარა საყდარს (ეს საყდარი ახლაც დგას სოფლის ცენტრში). როცა დაბრუნებულა ასლან ბეგთან, უთხოვია, რომ ნება მომეცი იმ ადგილში დავსახლდეო. მასაც ნება დაურთავს. წამოსულან და დასახლებულან შემდეგ და გამრავლებულა ეს სამი ძმა.

ამჟამად 142 კომლია ზველში.

მთქმელი *მამია ილარიონის ძე ზედგინიძე*. ასპინძის რაიონის სოფელი ზველი. ჩაიწერა *სიმონ ჯაფარიძემ* 1965 წელს. თსუ ფ. არქ. N 3877

„ლექსო, არ დაიკარგები!“

სული

სული ყოველთვის თანამგზავრია,
შინაარსია არა სხეული,
სული სხეულის ბინადარია,
ზოგჯერ ჯანსაღი, ზოგჯერ სნეული.

შავ-ბნელი სული არ გათეთრდება
და არც წყლულივით განიკურნება,
სული სახეა ადამიანის,
მისი არსი და მისი ბუნება.

ღრმა ფესვებიდან საზრდოობს სული,
მისი სათავე ძველთაძველია,
ხან მდიდარია სიკეთით სავსე,
ხან ბოროტი და საძაგელია.

ჩვენ სული გვმართავს და ჩვენ კი სულსა,
მასთან ერთად ვართ ადამიანი,
დიდსულოვნებას მოაქვს სიკეთე,
სულმოკლეობას – მხოლოდ ზიანი.

თუ გვინდა ბოროტს სძლიოს კეთილმა,
უნდა შეგვეძლოს მონანიება,
საკუთარ სულის დამორჩილება
და არა სხვათა განსჯა-ძიება.

გამხნევება

თუ განსაცდელში აღმოჩნდი
არ ჩაიქნიო ხელიო,
მუდამ არსებობს ერთი გზა,
ჩიხიდან გასასვლელიო.

სოფელს მუდამ აქვს ავ-კარგი, –
კარგ ყმას მოშურნე მტერიო,
სიკეთეს თან სდევს სიავე,
როგორც მოსავალს მღრნელიო.

ასე იყო და იქნება,
წუთისოფელი ძნელიო,
თუ ჭკუა მოგეკითხება
გექნება სატანჯველიო.

ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის
გახსოვდეს სიბრძნე ძველიო,
მხნეობა ყოვლისშემძლეა,
შიში კი დამღუპველიო.

ავტორ მთქმელი *ზაურ ჯვარიძე*, 75 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭობარეთი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit – meskheti@yahoo.com